ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

შაბათი–კვირა

30 — 31 ივლისი, 2011 №179 (5560 ) ფასი: 30 თეთრი

„ახალი თაობა“+
კეისრები
8 ლარი
25 ივლისიდან
8 აგვისტომდე






## სამარშრუტო ტაქსებში 80 თეთრი არ გადაიხადოთ!

გვ.3

## რუსეთი აფხაზური ეკლესიის აღიარებას ვერ გაბედავს



გვ.4

საქართველომ საპასუხო ნაბიჯი შეი ლება უკრაინაში გადადგას

## რა მოხდა ბათუმის სასამართლოზე

გვ.5



ბათუმში ადვოკატს მანდატური თავს დაესხა

გვ.5



## რწმენა დიდი ნიჭია

გვ.7

როგორ დავიცვათ თავი ბოროტი სულისგან



## არც გლეხი ვარ და არც თავადი

გვ.6

სად სცემა ბარის დაცვამ დავით დარჩიაშვილს

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.



## ნაცნობობა აღარ ჭრის

გვ.8

ვინ შეარჩევს „ჯეოსტარის“ კონკურსანტებს

ISSN 1987-9385

## კვირის ქრონიკა





გვ.2







ლურჯი წითელი ყვითელი შავი

## ლალიძე მერიას მიკროავტობუსებზე ფასის დასაწევად ვადას ორშაბათამდე აძლევს



თბილისში მოძრავ მიკროავტობუსებს თბილისის მერიამ მგზავრობის ღირებულების შემცირებასთან დაკავშირებით რეკომენდაციები მისცა.

როგორც პარტია „მომავალი საქართველოს“ ლიდერმა გიორგი ლალიძემ განაცხადა, პარტიასა და მერიის სატრანსპორტო სამსახურის უფროს აკაკი ჯოხაძეს შორის მოლაპარაკებების შედეგად მიღწეულ იქნა შეთანხმება იმის შესახებ, რომ მერიამ ყველა სამარშრუტო ხაზის ხელმძღვანელს ფასის დაწევასთან დაკავშირებით რეკომენდაციები მისცეს. ეს ეხება როგორც ახალ, ისე ძველ სამარშრუტო ტაქსებს.

— მერიამ უკვე გასცა რეკომენდაციები მიკროავტობუსებით მგზავრობის ღირებულებასთან დაკავშირებით, თუმცა, აკაკი ჯოხაძემ აღნიშნა, რომ ტარიფის დაწევას გარკვეული დრო სჭირდება. ჩვენ მათ ვაძლევთ დროს ორშაბათამდე და, თუ ჩვენი მოთხოვნა არ შესრულდება, ფართომასშტაბიან აქციებს მოვაწყობთ, — განაცხადა ლალიძემ და დასძინა, რომ საუბარია ძველ სამარშრუტო ტაქსებში ტარიფის აქამდე არსებულ ნიშნულთან გათანაბრებაზე, ახალ სამარშრუტო ტაქსებში კი — ფასის ნაწილობრივ დაკლებაზე.

ლალიძემ აღნიშნა, რომ, მართალია, მერიას სამარშრუტო ხაზების მფლობელებსა და თბილისის მიკროავტობუსის ხელმძღვანელობაზე ზემოქმედების პირდაპირი ბერკეტები არ გააჩნია, თუმცა, მას მაინც აქვს საშუალება მგზავრობის ღირებულების რეგულაციისა.

— მერია აცხადებს, რომ მათ პირდაპირი ზემოქმედების უნარი არ აქვთ. იურიდიულად მართალაც ასეა, თუმცა, ფაქტი სახეზეა, თუ მერიას სურს ფასის დაწევა, ამას მიკროავტობუსების ხელმძღვანელობა აუცილებლად გააკეთებს. ჩვენ კარგად ვიცით, რა კომპანიაა ამ ტენდერში გამარჯვებული და რა პირობებში ჩატარდა ეს ტენდერი, — აღნიშნა ლალიძემ.

მისი თქმით, არ არსებობს საკითხი, სადაც საზოგადოების ერთსულოვნების შემთხვევაში ხელისუფლება უკან არ დაიხევს.

„მომავალი საქართველო“ მოუწოდებს სხვა პოლიტიკურ პარტიებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საზოგადოებას, შეუერთდნენ აქციას, რადგან ეს საზოგადოების უმწვავესი პრობლემაა.

მერიას სამარშრუტო ტაქსების გაიაფების რეკომენდაციით სხვა პოლიტიკურმა პარტიებმაც მიმართეს. ვიღაცები აქციებითაც დაიმუქრნენ. უგულავას, რა თქმა უნდა, მათი არ შეეშინდა. ისე, იქნებ გიორგი ლალიძის შეეშინდეს. სხვა თუ არაფერი, ეს ადამიანი გასულ წელს თბილისის მერის პოსტზე იყრიდა კენჭს.

## ზემო ომალოში უნიკალური არქეოლოგიური ნივთები აღმოაჩინეს

თუშეთში, ზემო ომალოში, სალმრთოს გორაზე, წვიმამ უნიკალური ნივთები გამორიყა, მათ შორის ისეთები, რომლებსაც ანალოგი არ აქვთ. ამის შესახებ ინფორმაციას რადიო „ჰერეთი“ ავრცელებს.

დიდგვაროვნის სამაროვანს ზღვის დონიდან 2 ათასი მეტრის სიმაღლეზე მიაკვლიეს. დიადემა, რომელსაც არქეოლოგიის ისტორიაში ანალოგი არ აქვს, ძველი წელთაღრიცხვის მერვე საუკუნეს განეკუთვნება. სავარაუდოდ, 2800 წლის წინათ გვირგვინი წარჩინებული გვარის ქალს ეკეთა.

ზემო ომალოში, სალმრთოს გორაზე, სხვა უნიკალური ნივთებიც აღმოჩნდა. სასაფეთქლე, საყურეები, ბეჭდები, წარმართული რელიგიის გამომსახველი ფიგურები ძველი ბრინჯაოს ხანას განეკუთვნება. სალმრთოს გორის ეს აღმოჩენა უნიკალური იმითაცაა, რომ პირველად, ადრექრისტიანული და წარმართული რელიგიის პერიოდის ნივთებს ერთად მიკვლიეს. ნაპოვნია ორი ჯვარიც.

ზემო ომალოში, სალმრთოს გორაზე, არქეოლოგიური სამუშაოები არასდროს ჩატარებულა.

მეცნიერები ამ ტერიტორიის დაწვრილებით შესწავლას აპირებენ. დაცული ტერიტორიების ეროვნულ სააგენტოში ფიქრობენ, რომ უნიკალური სამაროვნები ტურისტების დაინტერესებას გაზრდის.

## ნორვეგიელმა ტერორისტმა ქართველი გოგონაც იმსხვერპლა

23 ივლისს ნორვეგიაში საშინელი ტრაგედია დატრიალდა. 32 წლის ტერორისტმა ანდრეს ბრეივიკმა ჯერ ოსლოს ცენტრში მოაწყო აფეთქება, შემდეგ კუნძულ უტოიაზე მდებარე ახალგაზრდულ ბანაკს დაესხა თავს, სადაც ორი ქართველი გოგონა — ნათია ჩხეტიანი და თამთა ლიპარტელიანი იმყოფებოდნენ.



ბრეივიკი კუნძულზე პოლიციელის ფორმაში გამოწყობილი მივიდა. მან ახალგაზრდები შეკრიბა, ვითომ ინფორმაციის მიწოდების მიზნით. როცა ახალგაზრდები შეგროვდნენ, მან ცეცხლი გახსნა. მან 84 ახალგაზრდა იმსხვერპლა. ტერორისტის ტყვიას ვერც თამთა ლიპარტელიანი გადაურჩა.

თავიდან ის დაკარგულად მოიაზრებოდა. თამთას მისი მეგობარი ნათია ჩხეტიანიც ეძებდა. ნათიამ მეგობარი გარდაცვლილთა შორის ვერ იპოვა. ამან გააჩინა იმედი, რომ გოგონა ცოცხალი იყო. თამთა ლიპარტელიანი დაკარგულთა სიებში იყო შეყვანილი. ყველას ეგონა, რომ ის ძალიან მალე გამოჩნდებოდა. სამწუხაროდ, მოლოდინი არ გამართლდა და გოგონა მკვდარი იპოვეს.

შვილის მოსაძებნად ნორვეგიაში საგანგებოდ ჩავიდნენ თამთა ლიპარტელიანის მშობლები. მათ შვილის სიკვდილის შესახებ ინფორმაცია ნორვეგიაში ჩასვლის მეორე დღეს შეიტყვეს.

საქართველოს ხელისუფლებას გოგონას დაღუპვის შესახებ ინფორმაცია ნორვეგიის პოლიციამ მიაწოდა.

ის თითის ანაბეჭდებით ამოიცნეს. როგორც პოლიცია ამბობს, თამთას ცხედარი წყალში იპოვეს. მას 2 ტყვია აქვს მოხვედრილი.

მომხდარი ტრაგედიით მთელი მსოფლიო გაოგნებულია. ასეთი ტერორისტული აქტი არავის ახსოვს. ბრეივიკი ჩადენილ დანაშაულს არ ნანობს. როგორც ირკვევა, ის ამ ტერორისტულ აქტს 9 წლის განმავლობაში ამზადებდა.

## დუტა სხირტლაძემ სასამართლო პროცესი წააგო

თელავის რაიონულ სასამართლოში თელავის თეატრის მმართველმა დუტა სხირტლაძემ პროცესი წააგო. მოსამართლე გოგიტა თოთოსაშვილმა თეატრის კაპელდინერების საჩივარი დააკმაყოფილა და თეატრის ხელმძღვანელს სახელფასო დავალიანების სრულად გადახდა დააკისრა 2 604 ლარის ოდენობით, — აცნობებს „მედიანიუსს“ კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან.



სასამართლო პროცესზე თელავის თეატრის წარმომადგენელი ვახო მოსიაშვილი არ გამოცხადდა, რის გამოც სასამართლო სხდომა 10 წუთში დასრულდა.

— სასამართლოს მიაჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა სამართლიანია და სრულად უნდა დაკმაყოფილდეს. თეატრს დაეკისროს სამივე თანამშრომლისთვის ერთად 2 604 ლარის გადახდა. მხარეებს უფლება აქვთ, გადაწყვეტილება გაასაჩივრონ, — განაცხადა მოსამართლე გოგიტა თოთოსაშვილმა.

იმის გასარკვევად, აპირებს თუ არა თელავის თეატრი რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას, კახეთის საინფორმაცო ცენტრი თეატრის წარმომადგენელს დაუკავშირდა. ვახო მოსიაშვილის თქმით, თეატრი ამ გადაწყვეტილებას სამართლიანად მიიჩნევს და გასაჩივრებას არ გეგმავს.

— სასამართლოზე იმიტომ არ გამოვცხადდი, რომ თეატრის თანამშრომლების სახელფასო დავალიანება დავის საგანი არ არის და, შესაბამისად, თეატრს დაცვა არ სჭირდებოდა. ჩვენც ვიცით, რომ სახელფასო დავალიანება დასაფარი გვაქვს და უახლოეს 2 კვირაში თეატრი ამ დავალიანებას დაფარავს, — განაცხადა მოსიაშვილმა.

თელავის თეატრს სულ 6 კაპელდინერის სახელფასო დავალიანება აქვს, თუმცა სასამართლოში მხოლოდ სამმა იჩივლა. ვახო მოსიაშვილის თქმით, თეატრი შეეცდება, იმ კაპელდინერების დავალიანებაც 2 კვირის ვადაში დაფაროს, რომლებსაც სასამართლოსთვის არ მიუმართავთ.

შეგახსენებთ, რომ ეს უკვე მეორე საქმეა, რომელიც თელავის თეატრის თანამშრომლებმა თეატრის წინააღმდეგ მოიგეს. რამდენიმე თვის წინ თელავის თეატრის დაცვის სამსახურის ყოფილმა წევრებმა თეატრს სასამართლოში იმავე მიზეზით — სახელფასო დავალიანების დაფარვის მოთხოვნით უჩივლეს. სასამართლომ თეატრს სახელფასო დავალიანების დაფარვა დააკისრა. თეატრის წარმომადგენელი ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებდა, თუმცა მოგვიანებით გადაწყვეტილება შეცვალა. ვახო მოსიაშვილის თქმით, თეატრმა დაცვის ყოფილი თანამშრომლების სახელფასო დავალიანება უკვე დაფარა და მათ სასარგებლოდ 2 000 ლარზე მეტი გადაიხადა.

## ისრაელელ ოფიცრებსა და რიგით ჯარისკაცებს საქართველოში შესვლა ეკრძალებათ

ისრაელი საქართველოს აშკარად ცუდი თვალით უყურებს. მათ საქართველო უკვე რამდენჯერმე შეიყვანეს შავ სიაში. ჩვენი „გაშავება“, როგორც ამბობენ, ებრაელი ბიზნესმენების დაკავებას უკავშირდება. შავი



სიიდან საქართველო ისრაელმა უკვე რამდენჯერმე ამოიღო. ბოლოს შავ სიაში გასულ კვირას მოვხვდით. ამ სიიდან ჯერ არ ამოვულივართ. ჩვენი ხელისუფლება იმედოვნებს, რომ ამ სიას მალე ისევ დავაღწევთ თავს.

წინა შემთხვევებისგან განსხვავებით, ამჯერად, როგორც ჩანს, უფრო მძიმედ არის საქმე. ამ კვირის დამლევს ცნობილი გახდა, რომ ისრაელის თავდაცვის სამინისტროს გენერალურმა შტაბის ოპერატიულმა სამსახურმა გამოაქვეყნა ბრძანება, რომლის მიხედვითაც ისრაელელ ოფიცრებსა და რიგით ჯარისკაცებს 36 ქვეყანასა და ტერიტორიაზე შესვლა ეკრძალებათ.

გაზეთ „ისრაელ ა-იომ“-ის ცნობით, სიაში მოხვდნენ საქართველო, აზერბაიჯანი, ჩეჩნეთი, თურქეთი, ტუნისი, ეგვიპტე, ტაილანდი, იორდანია და სხვ. გამოცემის ცნობით, აღნიშნული სიიდან ამოიღეს სომხეთი, რომელიც იმ ქვეყნების ჩამონათვალში ფიგურირებდა, რომლებში გამგზავრებასაც ისრაელელებს ტერორიზმთან ბრძოლის ეროვნული შტაბი არ ურჩევდა.

## რუსეთის საპატრიარქოს აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე პრეტენზიები არა აქვს

ამ კვირაში საქართველოს პატრიარქი უკრაინაში იმყოფებოდა. ამ ვიზიტის ფარგლებში ის რუსეთის პატრიარქ კირილს შეხვდა. ილია II-ის რუსეთის პატრიარქთან შეხვედრას დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

ამ ფაქტის შეფასება არც მედიამ დაიზარა და არც პოლიტიკოსებმა. ჩვენი ხელისუფლება პატრიარქის ნაბიჯით, როგორც ყოველთვის, უკმაყოფილო დარჩა.

პატრიარქ კირილის განცხადებით, რუსეთის ეკლესიას არც ერთ სხვა მართლმადიდებელ ეკლესიასთან ისეთი ძმური ურთიერთობა არ გააჩნია, როგორიც საქართველოსთან აქვს.

— ეს სწორიცაა, რადგან სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები ჩვეულებრივი არ არის. როდესაც მხარეებს შორის ურთიერთობები სუსტდება, ეკლესიათაშორისი კვანძი უნდა გაძლიერდეს. ეკლესია, ქრისტე, მშვიდობისკენ მოგვიწოდებს. გადის დრო, იცვლება პოლიტიკური სიტუაციები, მაგრამ მეზობელი ერები კვლავ ერთად ცხოვრობენ და ეკლესიაც აგრძელებს ცხოვრებას. ღმერთმა ქნას, ჩვენი და თქვენი ურთიერთქმედება ემსახუროს ჩვენი ერთმორწმუნე ერისა და ეკლესიის კეთილდღეობას, — განაცხადა რუსეთის პატრიარქმა.

მოლაპარაკებების შემდეგ მან „უდიდესი კმაყოფილება“ გამოხატა „არცთუ უბრალო“ საკითხების განხილვასთან დაკავშირებით.

— ჩვენ განვიხილეთ საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შექმნილ ვითარებასთან“, — აღნიშნა რუსეთის პატრიარქმა. მისი თქმით, აშკარაა, რომ არსებობს საქართველოს საპატრიარქოს კანონიკური იურისდიქცია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე. „მეორე მხრივ კი ამჟამად არსებობს გარკვეული კანონიკური უწესრიგობა როგორც ერთ, ისე მეორე ადგილზე“, — განაცხადა პატრიარქმა კირილმა.

მისივე თქმით, განსაკუთრებით აფხაზეთში ბოლო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ „ეს კანონიკური უწესრიგობა ადამიანების სულიერ ცხოვრებას ვნებს. ამიტომ ღია, ძმურ გარემოში განვიხილეთ ეს საკითხი და მოვილაპარაკეთ, კვლავ გავაგრძელოთ ჩვენი საუბარი, რათა, ღვთის წყალობით, მომავალში გარკვეულ გადაწყვეტილებამდე მივიდეთ, რომელიც დაეხმარებოდა ამ ორ ეკლესიას მართლმადიდებელი ადამიანების ცხოვრების დამშვიდებაში, რათა დამყარდეს კანონიკური წესრიგი და, ყველაზე მთავარი, ეს ხელს შეუწყობს ნებისმიერი განხეთქილების აღკვეთას“, — ხაზგასმით აღნიშნა რუსეთის პატრიარქმა.

თავის მხრივ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ იმედი გამოთქვა, რომ ხშირი შეხვედრები ნაყოფს გამოიღებს.

მან მადლობა გადაუხადა პატრიარქ კირილს აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ქართული ეკლესიის იურისდიქციის დადასტურებისთვის, ასევე



— კიევში დაპატიჟებისთვის, სადაც, მისი თქმით, ის პირველადაა.

— ვფიქრობ, მომავალში ჩვენ კვლავ შევხვდებით. ეს კარგი დასაწყისია და გაგრძელებაც ძალიან კეთილი ექნება. ურთიერთგაგებით პრობლემების მოგვარებას შევძლებთ, — ბრძანა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა.

შორენა მარსაგიშვილი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 94-39-34
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სამარშრუტო ტაქსებში 80 თეთრი არ გადაიხადოთ!

შორენა კოწოწაშვილი

**— სახეზეა კიდევ ერთი ბიზნესთაღლითობა სააკაშვილის მხრიდან და აღმოჩენილია კიდევ ერთი ბიზნესგარიგება რუსულ კაპიტალსა და სააკაშვილს შორის. მოგეხსენებათ, რუსეთში მოღვაწე მები შარანგიები ნელ-ნელა ყველა მსხვილ ქართულ ბიზნესობიექტს ეპატრონებიან. ერთ-ერთი ბოლოდროინდელი მათი თაღლითობა გახლავთ ის, რომ ისინი 4 სატრანსპორტო კომპანიის მეშვეობით დაეპატრონენ თბილისის სამარშრუტო ხაზებს. აწიეს ტარიფები სამარშრუტო ხაზებზე და მოსახლეობისთვის შეუ ლებელი გახადეს სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობა, ხოლო მ ღოლებისათვის უკვე სერიოზული საფრთხე, რომ მათი ოჯახები ლუკმაპურის გარეშე დარჩებიან, — აცხადებს ლეიბორისტული პარტიის გენერალური მდივანი სოსო შატბერაშვილი.**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლეიბორისტული პარტიის ხელმძღვანელობა ოფიციალურად მიმართავს რუსეთის სათათბიროს თავმჯდომარე ბორის გრიზლოვს, სათათბიროს ყველა წევრს და სთხოვს, დასვან შესაბამის ორგანოებში შარანგიებისთვის რუსეთის მოქალაქეობის ჩამორთმევის საკითხი.

— გვაქვს პატივი გაცნობოთ, რომ რუსეთის მოქალაქენი და თქვენს ქვეყანაში წარმატებული ბიზნესის მფლობელები, ძმები რეზო და მერაბ შარანგიები წარმოადგენენ სააკაშვილის სასახლის მოლარეებს და ფინანსური თუ კრიმინალური გავლენებით ცდილობენ სააკაშვილის დიქტატორული, მოძალადე რეჟიმის გაძლიერებას. გარდა რუსული ბიზნესისა, მათ რუსული კაპიტალით ხელში ჩაიგდეს საქართველოში მოქმედი ყველა მსხვილი ბიზნესობიექტი. უფრო მეტიც, ამასწინათ მოახდინეს თბილისის სატრანსპორტო ქსელის მონოპოლიზაცია, დააწესეს რა მოსახლეობისთვის უმძიმესი ტარიფი. ვინაიდან ისინი მოღვაწეობენ რუსეთში, მოსახლეობაზე ეს არ მოქმედებს დადებითად თქვენი ქვეყნის კონტექსტში. ჩვენი ინფორმაციით, ძმებს და მამა შარანგიებს რუსეთის მოქალაქეობა მიღებული აქვთ ფალსიფიცირებით და თაღლითობით. გთხოვთ, დასვათ მათთვის მოქალაქეობის ჩამორთმევის საკითხი, — ნათქვამია ლეიბორისტული პარტიის ოფიციალურ მიმართვაში, რომელიც 29 ივლისს ოფიციალურად გადაეგზავნათ რუსეთის სათათბიროს წევრებს.

აღნიშნული განცხადება გუშინ სოსო შატბერაშვილმა ჟურნალისტებს გააცნო.

როგორც შატბერაშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, 25 თებერვალს მძღოლების მიერ გამართული აქციის შემდეგ, თბილისის ხელმძღვანელობა დაბეჯითებით ირწმუნებოდა, რომ მიუხედავად ტენდერში გამარჯვებისა, ე.წ. გამარჯვებული კომპანიები მგზავრობის ღირებულებას არ გაზრდიდნენ, რაც მორიგი ტყუილი აღმოჩნდა ხელისუფლების მხრიდან.

შალვა ნათელაშვილის თანაგუნდელები მოითხოვენ საქართველოს ხელისუფლებისგან, დაუყოვნებლივ შემცირდეს მგზავრობის ღირებულება სამარშრუტო ტაქსებზე და ის კვლავ 50 თეთრი გახდეს.

როგორც პრესკონფერენციზე ითქვა, ტენდერი დედაქალაქის მერიაში ჩატარდა ტენდენციურად და შარანგიების კომპანიებს არ გაუმარჯვიათ ტენდერში. შატბერაშვილის თქმით, შარანგიებს თბილისში ოფისიც არ გააჩნიათ და მათი მისამართები არის მათი კუთვნილი რესტორნები, იმდენად არასერიოზული აღმოჩნდა ეს კომპანიები.

რაც შეეხება იმ საკითხს, მართლაც თვითნებურად მოახდინეს თუ არა ძველი სამარშრუტო ტაქსების მფლობელებმა მგზავრობის ღირებულების გაზრდა, როგორც სოსო შატბერაშვილმა განმარტა, ეს ტარიფი არ არის მათ მიერ დაწესებული.

— ჩვენთან მძღოლები აფიქსირებენ, რომ მათგან მოითხოვენ 80 თეთრამდე გაზარდონ ტარიფი. ამ დროს მძღოლებმა გვთხოვეს, მოსახლეობისთვის მიგვემართა, არ გადაიხადონ 80 თეთრიანი ტარიფით. ბევრი მოქალაქე უკვე აღარ იხდის გაზრდილ ტარიფს და ამით მძღოლები აიძულებენ ხელისუფლებას, მგზავრობის საფასური ძველ ნიშნულს დაუბრუნონ, — აღნიშნა შატბერაშვილმა და იქვე განმარტა, რომ მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასი შემცირებულია და გაზრდილი ფასის პირობებშიც კი 50 თეთრიანი ტარიფი სრულიად საკმარისია.



სააკაშვილმა „მარშრუტკების" ბიზნესი მებ შარანგიებს ჩაუგდო ხელში

— როგორც გითხარით, მსოფლიოში ნავთობის ფასი მცირდება, საქართველოში კი მგზავრობის ფასმა მოიმატა. ეს იმას ნიშნავს, რომ სააკაშვილი ემზადება მომავალი არჩევნებისთვის. მას ფული შემოაკლდა იმიტომ, რომ გასაყიდი აღარაფერი დარჩა. ხელისუფლება უპრეცედენტო ნაბიჯზე მიდის და სატელევიზიო ანძასაც კი ყიდის. ამ ფონზე რა გასაკვირია, რომ ტარიფი აწიოს სამარშრუტო ტაქსით მგზავრობაზე, — აღნიშნა სოსო შატბერაშვილმა და ხელისუფლებას შეახსენა, რომ ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს და მოსახლეობა ამხელა წნეხს ვერ გაუძლებს.

რაც შეეხება იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს იმას, შარანგიებს რუსეთის მოქალაქეობა ექნებათ თუ არა ამ შემთხვევაში, როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, რუსეთის ხელისუფლება აცხადებს, რომ საქართველო მისი მტერია და ჩვენი ქვეყანა რუსეთის მტერ სახელმწიფოთა სამეულშია, ამ შემთხვევაში რუსეთის სათათბირომ უნდა იცოდეს, რომ მისი მოქალაქეები საქართველოს ხელისუფლებას აფინანსებენ.

— რუსული ბიზნესი აფინანსებს და აძლიერებს სააკაშვილს. ეს უნდა გაიგოს რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ, რაც მთავარია, რუსმა ხალხმა და მათ ჩამოართვან რუსეთის მოქალაქეობა. მოქალაქეობის ჩამორთმევით ჩვენ რუსეთის ხელისუფლება დაგვანახებს, რომ სააკაშვილი მართლა რუსეთის მტერი ყოფილა. თუ ეს ასე არ მოხდა, მაშინ გარიგება ყოფილა რუსეთის ხელისუფლებასა და სააკაშვილს შორის, — აღნიშნა შატბერაშვილმა და იქვე დააკონკრეტა, რომ მოქალაქეობის ჩამორთმევა არ ნიშნავს მათთვის ფულის ჩამორთმევას ან ანგარიშების გაყინვას.

პრესკონფერენციის ბოლოს სოსო შატბერაშვილს რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

***— ბატონო სოსო, კონკრეტულად რა ბიზნესს ფლობენ შარანგიები და მხოლოდ მათზე რატომ აკეთებთ აქცენტს? ხელისუფლება ხომ რუსეთიდან სხვა ბიზნესმენების მხრიდანაც ფინანსდება?***

— რა თქმა უნდა, არამხოლოდ შარანგიების ფული მოდის. ფული მოდის რუსი კრიმინალებისგან, კანონიერი ქურდებისგან, ე.წ. ქურდული ობშჩიაკიდან ფინანსდება სააკაშვილი და მისი ხელისუფლება. მაგრამ ამ წუთას აქცენტს ვაკეთებთ შარანგიებზე მხოლოდ ერთი მიზეზის გამო. მათ ხელში ჩაიგდეს სამარშრუტო ტაქსების ბიზნესი და მგზავრობა გააძვირეს. გაზრდილი ფასის გამო ხალხს გადაადგილების საშუალება მოუსპეს. უამრავი ზარია ჩვენთან ოფისში, რაც გვაიძულებს გადამწყვეტი ნაბიჯები გადავდგათ ძმები შარანგიების და საერთოდ, სააკაშვილის წინააღმდეგ. პოლიტიკაში ერთ-ერთი მრისხანე იარაღია მხილება. სააკაშვილი და რუსეთის ხელისუფლება აცხადებენ, რომ ერთმანეთთან არიან მტრულ დამოკიდებულებაში. ფაქტები მოწმობენ სხვა რაღაცას. რუსული კაპიტალი აფინანსებს და აძლიერებს მიხეილ სააკაშვილს. ამიტომ ეჭვქვეშ დგება გულწრფელობა რუსეთის ხელისუფლებისა, როდესაც აცხადებენ, რომ საქართველო არის მათი ნომერი პირველი მტერი და მიხეილ სააკაშვილი. რაც შეეხება შარანგიების ბიზნესს, ჩვენ რუსული საიტების მეშვეობით მაქსიმალური ინფორმაციები მოვიპოვეთ შარანგიებზე. მათ აქვთ რუსეთში კაზინოების ბიზნესი, რესტორნების ბიზნესი, ჯართის ბიზნესი, რაღაც წილები აქვთ ნავთობბიზნესშიც და ამ რუსეთში ნაშოვნი ფულით საქართველოში შეისყიდეს ძალიან მსხვილი ბიზნესობიექტები. შარანგიები არიან „ბილაინის", „ლიბერთი ბანკის", „სოკარის" წილის მფლობელები. მათ აქვთ სააფთიაქო ქსელი. ასევე მათ შეისყიდეს და დაანგრიეს ე.წ. დეზერტირების ბაზარი, რითაც უზარმაზარი ზიანი მიაყენეს ქალაქს. ბაზართან დაკავშირებით მინდა გითხრათ, რომ ჩვენ ვაფრთხილებდით ხელისუფლებას არ დაენგრიათ ბაზარი, რადგანაც იქ 11-სართულიანი შენობის აშენება, რასაც გეგმავდნენ, შეუძლებელი იქნებოდა იმიტომ, რომ იქ გადის მეტროს ორი ხაზი. გარდა ამისა, შარანგიები „სითი პარკის" და სასტუმროების ქსელის მფლობელები არიან. დაბოლოს, მათ საკუთრებაშია ის ოთხი სატრანსპორტო კომპანია, რომლებმაც სამარშრუტო ბიზნესი ჩაიგდო ხელში დედაქალაქში. მამა ლორენცო შარანგია და სამი ძმა: ლევან, მერაბ და რეზო შარანგიები არიან სააკაშვილის კიევში სწავლის დროინდელი მეგობრები. რა თქმა უნდა, ისინი თაღლითები არიან. ეს ქონება მათ თაღლითური გზით ჩაიგდეს ხელში. თავად პრეზიდენტი სააკაშვილი კი ამ თაღლითურად ხელში ჩაგდებული ქონებით მშვენივრად სარგებლობს.

***— თქვენ ახსენეთ, სააკაშვილი ფულს რუსეთიდან ქურდებისგანაც იღებსო. ეს ქართველი ქურდები არიან? ფაქტია სააკაშვილი ამაყობს იმით, რომ მან კრიმინალური სამყარო დაამარცხა.***

— ესენი არიან რუსეთში მოღვაწე ქართველი კრიმინალები, რომლებსაც ვითომ საქართველოში სააკაშვილი ებრძვის. მან ადგილობრივი კრიმინალები მართლაც დააპატიმრა, მაგრამ რუსეთში მოღვაწე ქართველი კრიმინალებისგან ფულს მაინც იღებს და შეუზღუდავად. სხვათა შორის, აქვე მინდა გითხრათ, რომ როდესაც შალვა ნათელაშვილი იმყოფებოდა ავსტრიის დედაქალაქ ვენაში და აქციაც კი გამართა ევროკავშირის წარმომადგენლობის შენობის წინ, ამ აქციაზე მოვიდნენ ქართველი ე.წ. კანონიერი ქურდები. ყველა მათგანს ნიღაბი ჰქონდა გაკეთებული. მივიდნენ ნათელაშვილთან და სთხოვეს — გვიშველე რამე, სააკაშვილის შიშით საქართველოში ვერ ჩამოვდივართ. ამ დროს ჩვენი ძალიან დიდი ღვაწლია, რომ სააკაშვილი ხელისუფლებაშიაო. გასაგები მიზეზის გამო ამ კანონიერი ქურდის გვარს არ ვასახელებ. შალვა ნათელაშვილმა ლოგიკურად უპასუხა, ახია თქვენზეო. მათაც თავი ჩაღუნეს, რადგან თავადაც ხვდებიან ამას და გაიმეორეს — ახია ჩვენზეო. აი, ეს პატარა ეპიზოდი ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ რა მოხდა სიმანდვილეში 2003 წლის რევოლუციის დროს და მანამდე. აფინანსებდნენ და აძლიერებდნენ სააკაშვილს. მოიყვანეს ხელისუფლებაში ის კრიმინალებმა. უფრო სწორად, მთლად კრიმინალების მოყვანილი არ არის, ამერიკელი „ქორების" მოყვანილია, მაგრამ გარკვეულწილად ხელი შეუწყვეს „კანონიერმა ქურდებმა". შემდეგ მათ სასჯელად მიიღეს უკუშედეგი. აქვე არ შემიძლია არ ვახსენო აწ უკვე გარდაცვლილი გუგე ცანავა, რომელიც აცხადებდა, რომ მე ყველაფრის ღირსი ვარო. მე ისეთი ცოდვა და ისეთი დანაშაული მიმიძღვის, რომ ყველაფრის ღირსი ვარ ამ ხელისუფლებისგანო. აი, რას გულისხმობდა გუგე ცანავა. ის გახლდათ წალენჯიხელი. საკმაოდ დადებითი და გავლენიანი პიროვნება, მაგრამ შეცდა. ის წალენჯიხის ესკორტი, რომელიც დაიძრა რევოლუციის დღეებში და შემდეგ აიკრიფა და აიკრიფა ესკორტის მიყოლებით ხალხი სხვადასხვა რეგიონებში, იყო გუგე ცანავას მიერ ორგანიზებული. შემდეგ მანაც, როგორც არაერთმა, ძალიან ინანა ამის გამო. შესაძლოა მისი გარდაცვალებაც მისი განცდების საფუძველზეც მოხდა. ის გულის შეტევით გარდაიცვალა. ასე რომ, მრავალი ადამიანი ნანობს სააკაშვილის და ამ ხელისუფლების დახმარებას.

***— ბატონო სოსო, მოდით ვისაუბროთ რა დაფინანსება მოდის ხელისუფლებასთან რუსეთიდან და რატომ არის რუსული ფული სისხლიანი მხოლოდ ოპოზიციისთვის? ოპოზიცია ირწმუნება, რომ მერაბიშვილი რუსეთში შემთხვევით არ იმყარებს პოზიციებს. ანალოგიურად იქცევა გიგი უგულავაც.***

— მეტსაც გეტყვით, რადგან უგულავა ახსენეთ. შარშან უგულავამ გააკეთა საინტერესო განცხადება. ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველოს ხელისუფლება ხმის ჩახლეჩვამდე გაჰკიოდა ნატო, ნატოს! უგულავამ ასეთი რამ განაცხადა: თუ რუსეთი ჩვენ დაგვიბრუნებს აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს, ჩვენ ნატოზე უარს ვიტყვით. აი, ასეთი სენსაციური განცხადება გააკეთა უგულავამ. ანუ რა გამოდის: ნატოც ხალხის სატყუარა ყოფილა. სინამდვილეში ჩვენი ხელისუფლება არის „ჩახუტებული" რუსეთის ხელისუფლებასთან და რუსეთის ბიზნესწრეებთან. ხომ ხედავთ, რა განცხადება გააკეთა უგულავამ, რომელიც ერთ-ერთი მთავარი ფიგურაა ამ ხელისუფლების. თურმე ეს ხელისუფლება ნატოზეც კი უარს იტყვის, თუ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დაბრუნდა. აბა, ჩვენ, ლეიბორისტები, რას ვამბობდით?! ჩვენ მუდმივად ამას ვაცხადებდით, რომ ჩვენ არ გვინდა ნატო. უარი უნდა ვთქვათ ნატოზე, თუ არ გვინდა დავკარგოთ იურიდიულადაც აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. ამისათვის ჩვენ ისინი გვეძახდნენ რუსეთის შპიონებს, რაც მერე თვითონვე განაცხადეს. რა გამოდის: ჩვენ თუ რამეს ვიტყვით პოზიტიურს, რუსეთის შპიონობა ყოფილა. ხელისუფლება თუ რამეს იტყვის, ეს პოზიტიური ყოფილა. ზუსტად ასევე ხდება ფულთან დაკავშირებით. თუ ქართული ოპოზიცია რუსულ ფულს მოიგდებს ხელში, მაგრამ სიმართლე გითხრათ, მე პირადად რუსული ფული ქართულ ოპოზიციაში ვერ ვნახე. ეს რომ რეალობა იყოს, მაშინ სააკაშვილი დააპატიმრებდა ამ ადამიანს და გამოამზეურებდა. მარტო ყვირილი ვიცი ამ ხელისუფლებისგან — ოპოზიცია რუსეთიდან ფინანსდებაო. თუ ხელისუფლება რუსულ ფულს გამოიყენებს და იყენებს კიდეც, ეს ყოფილა დიდი ეროვნული ნაბიჯები და მიღწევები. ფაქტია ეს ორმაგი სტანდარტია. სააკაშვილისთვის და მისი კლანის წევრებისთვის ყველაფერი დასაშვებია. სხვებისთვის კი არანაირი უფლება არ არსებობს.

***— ბოლო პერიოდში მოხდა ლარსის გახსნა, რომელიც თავიდან მხოლოდ ჩრდილოკავკასიელებისთვის იყო გახსნილი. რითი ახსნიდით ამ ფაქტს, ხელისუფლებას ფული შემოაკლდა თუ აქაც სომხური ინტერესები გაითვალისწინა?***

— მე აქვე მინდა გითხრათ, რომ სააკაშვილი ყველას ინტერესებს ითვალისწინებს, გარდა ქართველებისას. სააკაშვილი ემსახურება არა მარტო რუსეთის ინტერესებს, ემსახურება თურქეთის და აზერბაიჯანის ინტერესებსაც. ალიევი ყოველი არჩევნების წინ მოუწოდებს საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს, ხმა მისცენ სააკაშვილს. რაც შეეხება სომხურ ინტერესებს, ყველამ ვნახეთ, რა კანონი მიიღო საქართველოს პარლამენტმა რელიგიურ კონფესიებთან მიმართებაში. ამას ემატება ლარსის გახსნაც, რომელიც ემსახურება სომხურ ინტერესებს. ლარსით სარგებლობა შეუძლიათ სომხებს და არა ქართველებს. ანუ ამ შემთხვევაში სომხური სახელმწიფო ინტერესები დაკმაყოფილა. გამოდის, რომ ჩვენი სამხედრო გზა, ლარსის გამშვები პუნქტი ყოფილა სომხეთის სახელმწიფოს სამსახურში ჩაყენებული. ასევე რუსული ინტერესების სამსახურში.

***— ითქვა, რომ სომხური ლობი სააკაშვილს 5 მილიარდს გადაუხდის სომხური ინტერესების დაკმაყოფილებისთვის. რატომ წავიდა ამაზე პრეზიდენტი, საკუთარი სკამის შესანარჩუნებლად თუ ფინანსურად გაუჭირდა?***

— რა თქმა უნდა, სააკაშვილს ფინანსურად უკვე გაუჭირდა. სააკაშვილი პრეზიდენტობის პირველ წლებში საკმაოდ წელში გამართული იყო ფინანსურად. ჯორჯ ბუშის ხელისუფლება მას უხვად აფინანსებდა. შემდეგ პრეზიდენტს უამრავი ობიექტი ჰქონდა გასაყიდი, მათ შორის სტრატეგიული ობიექტებიც, „ენგურჰესი", „ჟინვალჰესი", ბათუმისა და ფოთის პორტები, თბილისის აეროპორტი და ა. შ. ამ ყველაფერს ყიდდა და ფინანსურად იყო საკმაოდ ძლიერად. 2008 წლის ომის შედეგად კი ხელისუფლებამ მიიღო 4 მილიარდ ნახევარი, რაც უკვე შემოაკლდა.

***— თქვენგან გამიკვირდა, სააკაშვილს ფინანსური პრობლემები აქვსო. ცხოვრება ხელოვნურად გაძვირდა, გაზრდილი ტარიფების ფონზე მოსახლეობა ღატაკდება. ხელისუფლების წევრთა მილიონები კი ერთ ნიშნა ციფრებს გაცდა.***

— სწორედ ამ გაზრდილი ტარიფებით ცდილობს სააკაშვილი შემოსავლების გაზრდას. მე არ ვამბობ, რომ სააკაშვილს გაუჭირდა, უბრალოდ, წყაროები, საიდანაც მას დიდძალი დაფინანსება მოსდიოდა, გადაეკეტა. მაგალითად, თბილწყალი უკვე გაყიდა, მეორედ ხომ ველარ გაყიდის? ახლა დაფინანსების ახალ წყაროებს ეძებს.

***— სხვა წყაროებში არ შედის საგარეო ვალები, რომელსაც ეს ხელისუფლება აქტიურად ზრდის?***

— კი, მართალია, საგარეო ვალებს მართლაც ზრდის ეს ხელისუფლება. 10 მილიარდს გადააჭარბა ამ ვალმა. ახლა ხელისუფლებამ თანხების ამოღების პოლიტიკა სხვა კუთხით წარმართა. რადგან ველარფერს ყიდის, ზრდის ტარიფებს, კომუნალურ გადასახადებს. სააკაშვილი ნემსის ყუნწში ძვრება, რომ ფული იშოვოს. თუ ფული არ უჭირს ხელისუფლებას, ასეთ უარყოფით ნაბიჯებს არ გადადგამდა.

***— დაბოლოს, ბატონო სოსო, ვისაუბროთ ხელისუფლების შიგნით ბიზნესინტერესების გადანაწილებაზე და პოლიტიკურ ამბიციებზე. ბევრი მიანიშნებს უგულავას გაძლიერებასა და მის ამბიციებზე.***

— უგულავა და მისი კლანი მართლაც ძალიან მოძლიერდა. ამავე დროს გაძლიერდა გიგა ბოკერიაც. მოგეხსენებათ, პოსტიც სერიოზული დაიკავა. უშიშროების საბჭოს მდივანი სერიოზული ფიგურაა. უგულავა და ბოკერია ემზადებიან საპრეზიდენტო პოსტის დასაკავებლად. ანუ თავისუფლების ინსტიტუტი ემზადება ხელისუფლების ჩასანაცვლებლად და პრეზიდენტის პოსტის დასაკავებლად. ასე რომ, ხელისუფლების შიგნით საკმაოდ მწვავდება კლანური დაპირისპირება, მას უპირისპირდება მერაბიშვილის დაჯგუფება. მერაბიშვილი ძალოვანებს აკონტროლებს და მოგეხსენებათ, ძალიან ძლიერია. წინ გვაქვს 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები. სააკაშვილს ვადა ეწურება. 2012 წელი იქნება საკმაოდ დაძაბული, რომელიც ძალიან დიდ გავლენას მოახდენს შემდგომ ისტორიაზე. ის, თუ ვინ დაიკავებს საქართველოს პრეზიდენტის პოსტს, ამაზე ბევრად არის დამოკიდებული ის, თუ ვის ექნება მეტი ფული.

# რუსეთი აფხაზური ეკლესიის აღიარებას ვერ გაბედავს

ნონა ცაბა ე

## ინტერვიუ ექსპერტ კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძესთან

***— ბატონო მამუკა, მოდით პატრიარქის კიევში ვიზიტი და რუსეთის პატრიარქთან შეხვედრა შევაფასოთ. ბევრი ექსპერტისგან მოვისმინე შეფასება, რომ ამას არანაირი რეალური შედეგი არ მოყვება და ყველაფერი ისედაც ნათელიაო. თქვენ ცოტა განსხვავებული შეხედულებები გაქვთ ამ ყველაფერთან დაკავშირებით, როგორია თქვენი შეფასებები?***

— ერთი შეხედვით, პრაქტიკული რეზულტატის იმედი არ უნდა გვქონდეს, მაგრამ მეორე მხრივ, ის რაც მოხდა კიევში, ეს არის ერთგვარი გზავნილები შესაბამისი მიმართულებით. ვიდრე შეფასებაზე გადავიდოდეთ, მოდით გავიხსენოთ, საერთოდ რატომ მოხდა ეს შეხვედრა. რასაკვირველია, საქართველოს საპატრიარქო წინააღმდეგი არ იყო რუსული საპატრიარქოს ხელმძღვანელობასთან შეხვედრის და პირიქით, ამის სურვილიც იყო, მაგრამ ეს სურვილი უფრო ზოგადი იყო და არ იყო გამოხატული კონკრეტულ თარიღში. თუმცა თემები იყო ძალიან ბევრი და მნიშვნელოვანი.

***— კონკრეტულად რა თემები გაქვთ მხედველობაში?***

— ეს იყო პირველ რიგში, რასაკვირველია, საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის მრევლზე. გარდა ამისა, იყო ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი, ისეთი, როგორიც არის ოფიციალურ თბილისსა და ოფიციალურ მოსკოვს შორის დიალოგის ფორმატი, რომელიც არ არსებობს და საქართველოს საპატრიარქო ყოველთვის ცდილობდა ამ დიალოგის შექმნისთვის ხელი შეეწყო. საქმე ის არის, რომ ექსპერტების დიდი ნაწილი მსჯელობს იმ შედეგების მიხედვით, რომელიც გამოქვეყნდა პრესაში და რომელიც ოფიციალურად გაჟღერდა. მე კი ვფიქრობ, რომ ჩვენ არ ვიცით მთლიანი სურათი ამ შეხვედრის შედეგებისა, იმიტომ, რომ მოლაპარაკებების ნაწილი იყო კულუარული. აქედან გამომდინარე, მე დარწმუნებული ვარ, რომ იქ სხვა თემებიც იყო განხილული, მათ შორის ის, რაზეც ვსაუბრობ, ანუ ორ ქვეყანას შორის დიალოგის ხელშეწყობა. გეტყვით იმასაც, რომ ძალიან მნიშვნელოვანია შეხვედრის ადგილი და ის, თუ ვისგან მოდიოდა ინიციატივა. შეხვედრა შედგა კიევში იმიტომ, რომ აღინიშნებოდა რუსეთის გაქრისტიანების დღე — მთავარი ვლადიმერის დღე, რომელმაც გააქრისტიანა რუსეთი. უნდა ითქვას ისიც, რომ კიევში შეხვედრა არ იყო შემთხვევითი, ეს იყო რუსეთის საპატრიარქოს ინიციატივა. ამასა აქვს მნიშვნელობა, რომ საქართველოს პატრიარქის იქ ჩასვლით მომხდარიყო დემონსტრირება ქართული და რუსული ეკლესიების მეგობრობისა და ამით გზავნილი მისცა კირილმა უკრაინელი მღვდელმთავრების იმ ნაწილს, რომლებიც უკრაინული ეკლესიის ავტოკეფალიაზე ზრუნავენ. ამით აგრძნობინა, რომ საქართველოს იმედი არ უნდა ჰქონდეთ. ეს კირილის დემარშული ნაბიჯია, რადგან ძალიან კარგად იცის კირილმა, რომ იმ შემთხვევაში, თუ მან აფხაზური ეკლესიის მიმართ არასწორი ნაბიჯი გადადგა, ამ შემთხვევაში საქართველოს ეკლესიას ხელი ეხსნება და მას შეუძლია უკრაინული ეკლესიის დამოუკიდებლობა აღიაროს. ეს კი ძალიან სერიოზული დარტყმა იქნება რუსეთზე, იმიტომ, რომ რუსეთი ამ შემთხვევაში კარგავს არა მხოლოდ ხუთ მილიონამდე მრევლს, არამედ კარგავს პრესტიჟს. ეს სახიფათოა რუსეთისთვის და ამიტომ იყო, რომ მაინცდამაინც კიევში დაპატიჟა საქართველოს პატრიარქი და მაინცდამაინც ამ დღეს. საქართველოს საპატრიარქოს, საქართველოს ხელისუფლებისგან განსხვავებით, ძალიან სერიოზული კოზირი აქვს ხელში და ეს კოზირი მას მანევრის საშუალებას აძლევს. ამიტომ არის, რომ კირილის გამონათქვამები იყო უაღრესად სასიკეთო, უაღრესად ორიენტირებული მეგობრობაზე ქართულ ეკლესიასთან და ერთხელ კიდევ ხაზგასმული იყო საქართველოს განსაკუთრებული მდგომარეობა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. თუმცა, მიუხედავად ასეთი განცხადებებისა, რუსული ეკლესია მაინც ცდილობს თავისი გავლენა შეინარჩუნოს აფხაზეთის ტერიტორიაზე. რუსული ეკლესია სერიოზულად შეშფოთებულია იმით, რომ ცხინვალის რეგიონის სასულიერო პირებიც და აფხაზეთის სასულიერო პირების ნაწილიც, დაუკავშირდა ბერძნულ ეკლესიებს. ბერძნული ეკლესია არის მართლმადიდებლურ სამყაროში რუსული ეკლესიის სერიოზული კონკურენტი. რუსეთის პატრიარქი ხედავს, რომ აფხაზური ეკლესიის ახალგაზრდა ნაწილი პირდაპირ ჩაეხუტა ბერძნულ ეკლესიას და ასევე ოსური ეკლესიაც. ეს იწვევს შეშფოთებას და აი ამ საქმეშიც უნდა, რომ მოკავშირედ გაიხადოს საქართველოს ეკლესია. თუმცა რამდენად გამოდგება საქართველოს ეკლესია ამ საქმეში მოკავშირედ, ეს მეორე საკითხია. აი, ეს არის ის ძირითადი საკითხები. ზოგადად ამ ყველაფერს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, დიდი მნიშვნელობა აქვს შეხვედრის ადგილს, წინადადებების პაკეტს, ასევე რუსული ეკლესიის სისუსტესაც მნიშვნელობა აქვს, რომელიც ქართულმა მხარემ შეიძლება გამოიყენოს. მოკლედ, ჩვეულებრივად არ მომხდარა ეს ყველაფერი და მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკული ნაბიჯები შეიძლება დღეს-ხვალ არ მოყვეს, ეს ყველაფერი ილექება მაინც და ამ ყველაფერს თავისი მნიშვნელობა აქვს.

***— ითქვა, რომ საქართველოს ხელისუფლების ინტერესებიც იდო ამ პაკეტშიო და ასეა?***




— რასაკვირველია და რაში გამოიხატება ეს. თუ ვიმსჯელებთ იმ ლოგიკით, რომელი ლოგიკის დემონსტრირებასაც ცდილობს საქართველოს ხელისუფლება, მაშინ ეს ასე უნდა იყოს. მარტივი ენით რომ ვთქვათ, დღევანდელი მდგომარეობა ასეთია, თბილისი და მოსკოვი ერთმანეთს არ ელაპარაკება. ანუ, ვის აძლევს ხელს ეს არდალაპარაკება, პირველ რიგში მოსკოვს. იმიტომ, რომ მასა აქვს ოკუპირებული საქართველოს ტერიტორიის ნაწილი და ძალიან კომფორტულად გრძნობს თავს ამ უზრობის რეჟიმში. არ ელაპარაკება თბილისს და რასაც უნდა, იმას აკეთებს ამ ტერიტორიაზე. მარტივად რომ ვთქვათ, მოსკოვში არ იღებენ თბილისიდან შესულ ზარებს. ის რომ თბილისიდან ვილაცამ დარეკოს მოსკოვში და თქვას, რას აკეთებთ აქ, ხალხნო, აი ამაზე პასუხის გამცემიც არავინ არ არის და ამ თვალსაზრისით მოსკოვი ძალიან კომფორტულად გრძნობს თავს საქართველოს ტერიტორიაზე. ჩვენ აუცილებლად გვჭირდება მოსკოვთან დიალოგის რეჟიმი, ის რომ რაღაცნაირად კორექტირება მოვახდინოთ იმ სიტუაციისა, რაც ხდება დღეს ჩვენს თავს. თან არის ძალიან ძლიერი ზეწოლა დასავლეთისა საქართველოს ხელისუფლებაზე, სულ რომ არ უნდოდეს საქართველოს ხელისუფლებას მოსკოვთან დალაპარაკება, ზეწოლა იმდენად დიდია დასავლეთიდან, რომ ბოლოს და ბოლოს, იძულებულია, რომ დაელაპარაკოს. სააკაშვილმა გაუგზავნა ოფიციალური წერილი მედვედევს. ჩვენ წერილის შინაარსი არ ვიცით, მაგრამ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ შეთავაზება იყო დიალოგის ფორმატისა. მედვედევმა იქიდან არანაირი პასუხი არ გასცა. ამ თვალსაზრისით საქართველოს ეკლესიას, რასაკვირველია, შეუძლია, რომ აიძულოს რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის ხელმძღვანელობა, რაღაცნაირად ხელი შეუწყოს ამ დიალოგის ფორმატის შექმნას. საქართველოს ეკლესიას შეეუძლია კარგი გაგებით, ჩიხში მიიმწყვდიოს რუსული ეკლესია, რომ ეს ნაბიჯი გადადგას. რუსული ეკლესიის გავლენა მედვედევის კარზე საკმაოდ დიდია, მიუხედავად იმისა, რომ ასეთივე ურთიერთობა აქვს კირილს პუტინთან. თუმცა აქ არის ფაქტორი თვითონ მედვედევისა და მისი მეუღლისა, რომლებიც თავს თვლიან რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის აქტიურ მრევლად. ასე რომ, ამ მიმართულებით მუშაობა შესაძლებელია. საქართველოს ხელისუფლების ინტერესების პაკეტის ჩადება რომ ვთქვი, მე აქ ვიგულისხმე ის, რომ სწორედ ამ მოლაპარაკების ფორმატის შექმნაზეა ლაპარაკი. ახლა ეს მოლაპარაკებები დეოკუპაციაზე იქნება, უბრალოდ ლაპარაკი იქნება, რომ ერთმანეთში კონტაქტი ჰქონდეთ, გარკვეულ სფეროებში ჰქონდეთ კონსულტაციები, ეს მეორე საკითხია. მთავარია, შეიქმნას გარკვეული ფორმატი იმისთვის, რომ საქართველოს მეტი უბედურება ასცდეს. თქვენ ახლა ხედავთ, რომ ყოველდღიურად რუსული საინფორმაციო საშუალებები ავრცელებენ სხვადასხვა რუსი ჩინოვნიკის გამონათქვამს იმის თაობაზე, რომ არიქა, საქართველოს ტერიტორიაზე ტერორისტები იმართებიან; არიქა, ამ კუთხეში არიან; არიქა, იმ კუთხეში არიან და აი ახლა გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ რუსები გარკვეულ ოპერაციებს გეგმავენ პანკისის ხეობაში აგვისტოს თვეში. ყველაფერ ამაზე რეაგირებაა საჭირო და აქტიური მოქმედებები იმისთვის, რომ ასეთი ტიპის ამბები არ მოხდეს. ამ თვალსაზრისითაც მე ძალიან მნიშვნელოვანი მეჩვენება საქართველოს პატრიარქის ვიზიტი კიევში. მით უმეტეს, თუ ვივარაუდებთ, რომ იმ წინადადების პაკეტში, რომელიც მან იქ წარადგინა და გააჟღერა, იყო საქართველოს ხელისუფლების გარკვეული წინადადებებიც.

***— და ფიქრობთ, რომ შესაძლოა შედეგიც დადგეს ამ კუთხით?***

— რასაკვირველია, ამის საშუალებას ვხედავ. იქ თუ არ გადააყოლეს ეს შედეგი მედვედევის და პუტინის დაპირისპირებას, მაშინ შესაძლებელია, რომ ასეთი ტიპის ურთიერთობები შედგეს. მიუხედავად იმისა, რომ მედვედევმა პასუხი არ გასცა სააკაშვილს, მე მაინც ვთვლი, რომ მედვედევის გუნდში ბევრად უფრო რეალურად უყურებენ საქართველოსთან დიალოგის დაწყების პროცესს, ვიდრე, ვთქვათ, პუტინის გუნდში და გარდა ამისა, მედვედევი უფრო მეტ ანგარიშს უწევს დასავლეთს, ვიდრე პუტინი. ამიტომაც გარკვეულ პერსპექტივას ვხედავ და იმედს ვიტოვებ, რომ ასეთი რამ შეიძლება მოხდეს. სხვათა შორის, უნდა გითხრათ, რომ ანქვაბის განცხადებაც ამ თვალსაზრისით გარკვეულწილად მენიშნა. მენიშნა იმ თვალსაზრისით, რომ მან თავისთვის არამომგებიანი რამ განაცხადა, მით უმეტეს, ამ წინასაარჩევნო მარათონში. მან თქვა, რომ საქართველოსთან დიალოგი შესაძლებელია, ლტოლვილების დაბრუნების პროცესზეც შესაძლებელია დიალოგი. მიუხედავად იმისა, რომ ეს სანახევრო განცხადება იყო, მაინც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ანქვაბი საარჩევნო მარათონის პროცესში მეტს ვერ იტყოდა, რაც თქვა, იმანაც საკმაოდ გაალიზიანა მისი ზოგიერთი სავარაუდო ამომრჩეველი. მე ვთვლი, რომ ეს არის სავარაუდოდ მთელი ამ პროცესების შედეგი, რაც ახლა ხდება. როგორც ჩანს, იქაც, მოსკოვში, ვიღაცას აქვს სურვილი, რომ გარკვეული ნაბიჯები ამ კუთხით გადაიდგას.

***— თქვენ პანკისი და ტერორისტების თემა ახსენეთ, რატომ გახდა დღეს ეს რუსეთისთვის ასე აქტუალური?***

— ეს ყოველთვის აქტუალურია მათთვის. ეს არის პიარტექნოლოგიის ნაწილი, რომელიც ემსახურება შემდეგ იდეას — მუდმივი მტრის ხატის შენარჩუნება და საზოგადოების ცნობიერებაზე ზემოქმედება შემდეგი ფაქტორით, რომ საქართველოდან არ შემოვიდნენ ტერორისტები და იქ რომ არ მზადდებოდნენ, ჩვენ ჩრდილოკავკასიას მოვუვლიდით. ეს არის პიარტექნოლოგიის ნაწილი, ამიტომ ეს ხშირად უნდა იმეორო და ასეც ხდება. ამ პიარტექნოლოგიებს რომ თავი დავანებოთ, არსებობს ასეთი ვითარება — ახლოვდება ოლიმპიური თამაშების თარიღი, ამ ოლიმპიურ თამაშებს თავისი პრობლემები აქვს. რუსეთის ხელისუფლება შიშობს, რომ ეს ოლიმპიური თამაშები საერთოდ არ ჩაიშალოს, მით უმეტეს, ახლა ირკვევა, რომ ჩრდილოეთკავკასიური იმარატის შემადგენლობაში ეს განხეთქილება ამოწურულია. ანუ დოკუ უმაროვი და ჩეჩენი საველე მეთაურები ვადალოვი და გაკაევი შერიგდნენ. ამ შერიგების შემდეგ ეს უფრო სერიოზული ძალა ხდება და უფრო მეტ ხიფათს წარმოადგენენ უსაფრთხოების თვალსაზრისით რუსეთის ხელისუფლებისთვის. მე მაქვს ეჭვი, რომ რუსეთის ხელისუფლება რეალურ შეტევას დაიწყებს იატაკქვეშეთზე, რომელიც ახლა, ამ შერიგების შემდეგ უფრო გაძლიერდა. გენერალური შეტევა ეს ისეთი შეტევა იქნება, რომ არავინ არავის არ დაინდობს. მე მეშინია, რომ ამ სიტუაციაში საქართველო არ მოხვდეს, ან საქართველოს ტერიტორიის ნაწილი. იმიტომ, რომ მთლიანად დაიცვას მთელი ეს ტერიტორია და აკონტროლოს, რუსეთს მხოლოდ თავის ტერიტორიაზე მოქმედება არ აძლევს ხელს, მას სჭირდება, რომ მიმდებარე ტერიტორიებზეც რუსის ჯარი იდგეს, რათა ექსცესები იყოს თავიდან არიდებული. ამიტომ, მე არ გამოვრიცხავ ათასგვარ უბედურებას. რუსეთს მართლა ობიექტურად სჭირდება სერიოზული შეტევა იატაკქვეშეთზე. იატაკქვეშეთი არის სერიოზული ძალა, მიუხედავად იმისა, რომ შეტაკებები ყოველდღიურად მიმდინარეობს და უამრავი ხალხი იღუპება, თვითონ იატაკქვეშეთის პოზიციების დასუსტება რუსეთის ხელისუფლებამ მაინც ვერ მოახერხა. ამიტომ, მე ვთვლი, რომ ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მათ შორის საბრძოლო ოპერაციების გადმოტანა საქართველოს ტერიტორიაზეც კი, თუ ეს დასჭირდა რუსეთს სტრატეგიული თვალსაზრისით.

***— თანაც არჩევნები ახლოვდება რუსეთში...***

— ოლიმპიადა, არჩევნები რუსეთისთვის არის სასიცოცხლო მნიშვნელობის, განსაკუთრებით კი ოლიმპიადა. ოლიმპიადა ეს არის პრესტიჟი, ეს არის ფული და ეს არის უსაფრთხოების ახალი სისტემა კავკასიაში, რომლის შექმნას რუსეთი ვერ ახერხებს და ვერც მოახერხებს იმ პოლიტიკით, რომელიც მას აქვს.

***— მოდით, კიდევ ერთი თემის შესახებ ვისაუბროთ, სანამ პატრიარქის ვიზიტი შედგებოდა, ხელისუფლებასა და საპატრიარქოს შორის დაიძაბა ურთიერთობა იმ კანონის მიღების შემდეგ. როგორ ფიქრობთ, რამდენად დარეგულირდა ეს ურთიერთობა?***

— რასაკვირველია, არ დარეგულირებულა და ეს ურთიერთობა კიდევ იჩენს თავს ძალიან მძიმედ. თვითონ ეკლესიის შიგნითაც არ არის ის სიტუაცია, ადამიანს რომ გაეხარდეს. საქმე რაშია იცით, საქართველოს საპატრიარქოს და პატრიარქს ახასიათებს ის თვისება, რომ მიუხედავად წყენისა და მიყენებული შეურაცხყოფისა, ამაზე მაღლა დადგეს და სახელმწიფო ინტერესები წამოწიოს წინა პლანზე. მე ვთვლი, რომ თუ მან შეასრულა გარკვეული თხოვნა ხელისუფლებისა ქართულ-რუსული დიალოგის შექმნის თვალსაზრისით, ამაში ვერაფერს ცუდს ვერ ვხედავ და პირიქით, ყოველგვარი წყენა ამ ვითარებაში გვერდზე უნდა იყოს გადადებული და აბსოლუტურად ლოგიკურად მოიქცა საქართველოს საპატრიარქო და აბსოლუტურად ლოგიკურად მოიქცა მაშინაც, როცა ის განცხადება გააკეთა, რომელიც გააკეთა, აბსოლიტურად ზომიერი და ის ყოველთვის ლოგიკურად და სწორად იქცევა. ის ცდილობს თავი აარიდოს ექსცესებს, გართულებებს და არ მისცეს საშუალება არავის, რომ ქართული ეკლესია ჩაითრიოს პოლიტიკანურ ინტრიგებში და თავისი საქმის კეთებაში შეეშალოს ხელი.

***— რატომ განაცხადეთ, რომ ეს პრობლემა კიდევ იჩენს თავსო?***

— რასაკვირველია, იჩენს, იმიტომ, რომ ჯერ ერთი, შეურაცხყოფა შეურაცხყოფად რჩება, შემდეგ ის, რომ დისკრედიტაცია მოინდომა მავანმა საქართველოს საპატრიარქოსი და ქართული ეკლესიის, ეს ხომ შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს. ის რომ ანტისომხურ ქმედებაში ჩართვა მოინდომა ვიღაცამ ქართული ეკლესიის, ესეც ხომ კარგად ჩანს. ეს ყველაფერი გროვდება და რაღაცა ფორმით აუცილებლად იჩენს თავს. ისიც ხომ ფაქტია, რომ გამოაშკარავდა ზოგიერთი მღვდელმთავრის პოზიცია, რა პრინციპით ცხოვრობს ის და რა პრინციპია მისთვის მნიშვნელოვანი. გაირკვა ზოგიერთისთვის ქართული ეკლესიის ტრადიცია და კულტურა არის უფრო მნიშვნელოვანი თუ პირადი კეთილდღეობა. ეს ყველაფერი გამოჩნდა, საზოგადოებამ ეს დაინახა და ეს ყველაფერი თავს აუცილებლად იჩენს. საბოლოო ჯამში ხელისუფლებამ ისეთი კანონი მიიღო, რომ არც მეორე მხარეს მოსწონს ეს კანონი, იგივე სომხური ეკლესიის მესვეურებს. რადგან ეს კანონი, პირდაპირ რომ ვთქვათ, დაკოდილი კანონია. თავიდან სხვა რამე იყო ჩადებული სომხური ეკლესიის საამებლად, მაგრამ სინამდვილეში გამოვიდა სულ სხვა. იმიტომ, რომ იქიდან ამოღებულია რაღაცეები. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ ამ კანონის მიღებით კმაყოფილი არ დარჩა არავინ. შეიძლება ხელისუფლებამ მოკლევადიან წარმატებას მიაღწია და შემკვეთების ნებასურვილი შეასრულა. მე შემკვეთში ცუდს არაფერს ვგულისხმობ, ხშირად ხდება ხოლმე, რომ ევროპული სტრუქტურები რაღაცას ინდომებენ და შემდეგ ჩვენი ხელისუფლება იძულებულია ეს ნაბიჯი გადადგას. ეს კანონი ვერ იმუშავებს ისე, როგორც წარმოუდგენია მაგის ავტორებსაც და შემკვეთებსაც, ხოლო ქართული ეკლესიის წყენა და გალიზიანება კი დარჩა. პრინციპში რა მოვიგეთ ამით, ვერც ვერაფერი, ვერავის გული ვერ მოვიგეთ, ვერავის ვასიამოვნეთ, პირიქით, ვაწყენინეთ საქართველოს საპატრიარქოს.

***— რას ნიშნავს ვერავის გული ვერ მოვიგეთ?***

— ჩვენმა საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ ის რაც ხდება ქართულ-სომხურ ეკლესიაში, ეს არ არის მხოლოდ ქართული სომხური მოვლენა. ჩვენ ვიცით, რომ სომხურმა ეკლესიამ ოფიციალურად ქართულ მხარეს მოსთხოვა ექვსი ეკლესიის გადაცემა. არაოფიციალურად ექვსასზეა ლაპარაკი თუ შვიდასზე, ეს მეორე საკითხია. ოფიციალურად მოსთხოვა ექვსი ეკლესია. ჩვენ თუ გვგონია, რომ ეს არის მხოლოდ ქართული და სომხური ეკლესიის პრობლემა, ეს ასე არ არის. ეს არის მხოლოდ ფრაგმენტი იმ საერთო დიდი ბრძოლისა, რომელსაც სომხური ეკლესია და სომხური საერთაშორისო ლობი აწარმოებს. მე თავიდანვე ვამბობ, რომ ამაში ცუდს ვერაფერს ვერ ვხედავ, უბრალოდ, ჩვენ ეს ამბავი უნდა ვიცოდეთ თავიდან ბოლომდე. ცოტა ხნის წინ, როგორც ჩანს, სომხური ლობის ინიციატივით ორმა წევრმა შეიტანა ამერიკის კონგრესში წინადადება იმის თაობაზე, რომ სომხეთმა აიძულოს თურქეთი, შეწყდეს ქრისტიანული ეკლესიების შევიწროება თურქეთის ტერიტორიაზე და დაუბრუნდეთ მათ კუთვნილი ქონება. აი ასეთია ჩამონათვალი ამ ქრისტიანული ეკლესიებისა: ეს არის ბერძნული-ქრისტიანული, სირიულ-ქრისტიანული, ბულგარული და, რასაკვირველია, სომხური ეკლესიების საკითხი. ამერიკის კონგრესმა მოუწოდა თურქეთს, რომ შეწყდეს ამ ეკლესიების დევნა და დაუბრუნდეთ მათ ქონება.

***— რას ითხოვს სომხური ეკლესია თურქეთის ხელისუფლებისაგან?***

— სომხური ეკლესია ითხოვს ოფიციალურად ასეულობით ძეგლს უკან, გარდა ამისა, არის სამოცამდე ყოფილი სომხური სემინარია და ლიცეუმი, რომელშიც ისინი მუშაობდნენ. ამ თვალსაზრისით თურქეთზე მიდის ძალიან ფართომასშტაბიანი შეტევა, იმდენად ფართომასშტაბიანი, რომ თურქეთი ამ თვალსაზრისით პასუხშიც აქტიური ვერ არის. ობიექტურად თუ ვიტყვით, მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ ეკლესიების დიდი ნაწილი თავის დროზე სომხური იყო, ოსმალეთის იმპერიის პერიოდში. უბრალოდ მე მინდა საზოგადოება მიხვდეს თვითონ მასშტაბს შეტევისა და თურქეთზე სხვადასხვა ქრისტიანული ეკლესიების მხრიდან, რომელსაც სათავეში უდგანან ამერიკელი კონგრესმენები. რაც შეეხება ჩვენ მიმართ წამოყენებულ მოთხოვნებს სომხური ეკლესიის მხრიდან, ეს არის მხოლოდ დიდი ბრძოლის მცირე ფრაგმენტი. სახელმწიფო და საზოგადოება მზად უნდა იყოს იმისთვის, რომ შესაბამისად ადეკვატური ნაბიჯები გადაიდგას.

## სასწრაფო დახმარების სამსახური მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადავიდა

სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური დღეიდან მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადავიდა.

როგორც „მედიანიუსს“ აღნიშნულ სამსახურში განუცხადეს, ამის მიზეზი ჰაერის მაღალი ტემპერატურის გამო მიღებული ტრავმები და გახშირებული გამოძახების ფაქტებია. საგანგებო რეჟიმის დროს გაზრდილი იქნება სასწრაფო დახმარების ბრიგადების რაოდენობა და დაწესდება მორიგეობა ტბებზე, თბილისის ზღვაზე და სხვა დასასვენებელ ადგილებში.

სინოპტიკოსთა პროგნოზით, დღეიდან ჰაერის ტემპერატურა როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში კიდევ უფრო მოიმატებს. 4 აგვისტოდან კი მისი კლებაა მოსალოდნელი.

**მედიანიუსი**

## ლეღვის ფოთლის ნახარშით დამწვრობამიღებული პაციენტი თბილისში გადმოიყვანეს

ზუგდიდიდან თბილისის დამწვრობის ცენტრში რეანომობილით პაციენტი გადმოიყვანეს, რომელმაც დამწვრობა ლეღვის ფოთლის ნახარშით აქვს მიღებული.

პაციენტს კანის 70 პროცენტი აქვს დაწვარი და რეანიმაციულ განყოფილებაშია მოთავსებული.

ექიმების თქმით, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა.

— სტაციონარში მოყვანილია 30 წლის ქალი, რომელმაც ლეღვის ნახარშის სხეულზე წასმისა და მზის სხივების ზემოქმედების შედეგად სხეულის თერმულ-ქიმიური დამწვრობა მიიღო. აღენიშნება მე 2 და მე 3 ხარისხის დამწვრობა. მდგომარეობა მძიმეა, — განაცხადა ექიმმა მერაბ ჯანჯღავამ.

იანა ჩხეტიანმა გარუჯვა ლეღვის ფოთლის ნახარშის საშუალებით სცადა. მან ნაყენი სახლში დაამზადა, კანზე წაისვა და მზეს 5 საათის განმავლობაში ეფიცხებოდა.

**მედიანიუსი**

## მიხეილ სააკაშვილი პერუს ახლად არჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციას დაესწრო



მიხეილ სააკაშვილი პერუს ახლადარჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციას დაესწრო. ოლანტა ჰუმალამ საქართველოს პირველი პირი ფიცის დადების ცერემონიალზე პირადად მიიწვია. სტუმრებს შორის მიხეილ სააკაშვილი ერთადერთი ლიდერია, რომელიც ამ რეგიონიდან არ არის.

ინაუგურაციაზე მთავრობათა მეთაურები, მაღალი რანგის დელეგაციები და საპატიო სტუმრები 109 ქვეყნიდან იყვნენ წარმოდგენილი.

**მედიანიუსი**

# რა მოხდა ბათუმის სასამართლოზე



სამოქალაქო მოძრაობა „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ ხელმძღვანელი ეკა ბესელია ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის ვერა დოლიძის საქმის შესწავლის თხოვნით იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიმართავს.

ბესელიას განცხადებით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ვერა დოლიძის ქმედება მოსამართლის ქცევის სტანდარტებს ცილდება და აშკარად ხელისუფლების ხელში ჯალათის ფუნქციის მატარებელია.

— იგი იხილავს აჭარის ტელევიზიასთან დაკავებული აქციის მონაწილეების საქმეს. საქმეზე მონიტორინგის განხორციელების მიზნით ჩავერთე, მაგრამ სასამართლო სხდომაზე პირველივე კრიტიკული მოსაზრების გამოთქმის შემდეგ, რომელიც ადვოკატ პაპიძის მიმართ უსამართლო მოპყრობას ეხებოდა, მოსამართლე ვერა დოლიძემ მოითხოვა სრულიად არაეთიკური და არაკორექტული ფორმით, „ფეხზე წამომიდექითო“ რაც იყო საკუთარი ძალაუფლების დემონსტრირების და სხვებისადმი უპატივცემლობის გამოხატვის მცდელობა. რასაც მოყვა ჩემი ბუნებრივი უარყოფა, ამის მერე მოსამართლე ვერა დოლიძეს ნერვებმა უმტყუნა და მოითხოვა დამეტოვებინა სხდომის დარბაზი. ამის შემდეგ მოსამართლე ვერა დოლიძემ კიდევ უფრო შეზღუდა დაცვის მხარე, ადვოკატი პაპიძე უკანონოდ ჯერ დააჯარიმა, შემდეგ პროცესიდან გააგდო და ბოლოს მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და ადმინისტრაციული წესით დააპატიმრეს, — განაცხადა ბესელიამ.

მისივე თქმით, საჭიროა დაუყოვნებლივ რეაგირება მოსამართლე ვერა დოლიძის სრულიად არაეთიკური, უკანონო ქმედებების გამო და იუსტიციის საბჭომ უნდა დაიწყოს მის მიმართ დისციპლინური დევნა.

მისი თქმით, ფაქტია, რომ განსასჯელების მიმართ ეს ფსიქოლოგიური ზეწოლის პირდაპირი გამოხატულებაა, რითიც მოსამართლე მათ წინასწარ აჩვენებს, რომ თუ ისინი საპროცესო შეთანხმებას არ დაეთანხმებიან, სასამართლო მათ მიმართ უფრო მკაცრი იქნება. დაცვის მხარის აქტიურობის განეიტრალება კი ამ ფორმით სცადა მოსამართლემ, რითაც გააიოლა განაჩენის გამოტანის პროცედურა.

ბესელია განცხადებით, მიმართავს ადვოკატთა ასოციაციას, აღმასრულებელ საბჭოს იმსჯელოს ამ საკითხზე, ასევე იუსტიციის საბჭოს და საერთაშორისო ორგანიზაციებს რეაგირებისთვის.

**ინტერპრესნიუსი**

# რუსეთის დათმობა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არაფერს ცვლის

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია მეორისა და რუსეთის პატრიარქ კირილის შეხვედრაზე, ასევე, რუსულ-ქართულ ურთიერთობაზე ამერიკული გამოცემა „სტრატფორი“ სტატიას აქვეყნებს.

— ვიდრე მოსკოვსა და თბილისს შორის, 2008 წლის ომის შემდეგ, ურთიერთობა დაძაბულია, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ ქვეყნების წამყვანმა ეკლესიებმა საერთო ენა გამონახეს. ის ფაქტი, რომ რუსეთის, უკრაინისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურები ერთმანეთს ხვდებიან — საკმაოდ არაერთმნიშვნელოვანია, რადგან ეს ეკლესიები თითოეული ქვეყნის ხელისუფლებისთვის პოლიტიკური ინსტრუმენტებია, — ნათქვამია სტატიაში.

იქვე აღნიშნულია, რომ საქართველოსა და რუსეთის ხელისუფლებას შორის არსებულმა პოლიტიკურმა უთანხმოებამ განაპირობა ის, რომ საქართველოსა და რუსეთის ეკლესიებს რამდენიმე წლის განმავლობაში არც თუ კარგი ურთიერთობა ჰქონდათ.

სტატიის თანახმად, საქართველოსა და რუსეთს შორის პოლიტიკური უთანხმოების მიზეზად 2008 წლის ომი გახდა. რუსეთმა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა და მათ სამხედრო გზით იცავს. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მოსახლეობის უმეტესობა მართლმადიდებლები არიან და ბოლო ოცი წლის განმავლობაში, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან დაძაბული ურთიერთობა აქვთ. 2008 წლის ომის შემდეგ ეს ურთიერთობები საერთოდ შეწყდა და ახლა, ამ რესპუბლიკებს, თეორიულად, საკუთარი ავტონომიური ეკლესიები აქვთ. რუსეთი კი სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ეკლესიის სასულიერო პირებს ასწავლის და აფინანსებს.

— პატრიარქ კირილის განცხადება იმის შესახებ, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია ოფიციალურად პასუხს არ აგებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ეკლესიებზე, არის რუსეთის დათმობა ილია მეორისთვის. ეს დათმობა, სინამდვილეში, არაფერს ცვლის, რადგან რუსეთი ორივე რეგიონის ეკლესიების თავისი ხალხით დაკომპლექტებას და ფულის ჩადებას. რუსეთს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან კავშირების გამყარება სურს, რათა ამ ურთიერთობებმა ხელი შეუწყოს რუსეთის გავლენის გაძლიერებას ქართულ რელიგიურ საზოგადოებებში. ქართული ეკლესია კი შესაძლოა, ხვდება, რა იმალება რუსეთის ამ მეგობრული ჟესტის მიღმა. თუმცა, ის მაინც იღებს რუსეთის რუსეთის ამ დათმობას იმ იმედით, რომ შეძლებს სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან რელიგიური საზოგადოების გამოყენებით მოლაპარაკებების დაწყებას, — ნათქვამია სტატიაში.

**ინტერპრესნიუსი**

# აშშ საქართველოს ისევ მხარს უჭერს



აშშ კვლავინდებურად მხარს უჭერს საქართველოს უფლებას, თავად აირჩიოს საკუთარი მომავალი.

ამის შესახებ ამერიკის ელჩმა საქართველოში ჯონ ბასმა პარასკევს სასტუმრო „შერატომ მეტეხი პალასში“ ჟურნალისტების იმ კითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომელიც რუსეთ-ამერიკის ურთიერთობებს შეეხებოდა.

საქართველო-აშშ-ის ურთიერთობები ელჩმა იმის „ნათელ მაგალითად“ დაასახელა, რომ „გადატვირთვის“ პოლიტიკა ამერიკის პრინციპების საზიანოდ არ ხორციელდება“.

— „გადატვირთვის“ პოლიტიკა იმთავითვე ისეთ სფეროებს ეფუძნებოდა, რომელშიც რუსეთსა და აშშ-ს საერთო ინტერესები აქვთ და ბოლო წლებში ამ სფეროებში ორივე ქვეყნისათვის გარკვეული პროგრესი შეიმჩნევა. ამასთან, „გადატვირთვა“ ჩვენი ინტერესებისა და პრინციპების საზიანოდ არ ხორციელდება. ამის ნათელი მაგალითი აშშ-საქართველოს ურთიერთობაა. კერძოდ, საქართველო კვლავ რჩება იმ საკითხად, რომელზეც ამერიკასა და რუსეთს აზრთა სხვადასხვაობა აქვთ. აშშ კვლავინდებურად მხარს უჭერს საქართველოს უფლებას, თავად აირჩიოს საკუთარი მომავალი, — განაცხადა ბასმა.

შეგახსენებთ, რომ ბოლო პერიოდში ბარაქ ობამას ადმინისტრაციის პოლიტიკური ოპონენტები სულ უფრო აქტიურად გამოთქვამენ უკმაყოფილებას აშშ-ის მიერ არჩეული საგარეო პოლიტიკური კურსის, კერძოდ, რუსეთთან „გადატვირთვის“ პოლიტიკის გამო და დარწმუნებულები არიან, რომ „გადატვირთვა“ ფაქტობრივად რუსეთის წინაშე დათმობებშია გადაზრდილი.

**ინტერპრესნიუსი**

## ჩიტაიას ქუჩაზე რამდენიმე ობიექტს ცეცხლი გაუჩნდა

პარასკევს თბილისში, ჩიტაიას ქუჩა №39-ში ხანძარი გაჩნდა. როგორც „მედიანიუსს“ თბილისის საგანგებო სიტუაციათა საქალაქო სამსახურში განუცხადეს, აღნიშნულ მისამართზე ავტომობილების პროფილაქტიკა, ჯართის მიმღები პუნქტი, ხისა და ძველი ავეჯის სარესტავრაციო საამქროები იყო განთავსებული. დაიწვა 250-270 კვადრატული მეტრი ფართობი, ასევე პროფილაქტიკაში მდგარი „ოპელ ასტრას“ მარკის 2 ავტომობილი. არავინ დაშავებულა. ხანძრის გამომწვევ მიზეზს ექსპერტიზა დაადგენს.

**მედიანიუსი**

## „ქართული პარტიის“ წევრების გადაბირებას ცდილობენ

ქართული პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარის ლერი ლაფაჩის ინფორმაციით, „ზოგიერთი ოპოზიციონერი პოლიტიკოსი ქართული პარტიის წევრების გადაბირებას ცდილობს“.

— ბოლო პერიოდში ცალკეული ოპოზიციონერი პოლიტიკოსები ქართული პარტიის„ ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლებს ხვდებიან და პოლიტიკური გუნდის შეცვლას ურჩევენ, კერძოდ, ქართული პარტიის„ რიგების დატოვებას და მათთან გაწევრიანებას სთავაზობენ. ამასთან, ისინი მოუწოდებენ ქართული პარტიის„ ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენლებს, თანაპარტიელებს ხმამაღალი განცხადებებით გაემიჯნონ, რომლითაც ისინი ქართული პარტიის„ საქმიანობას და პარტიის თანათავმჯდომარის ირაკლი ოქრუაშვილის პოზიციას დაგმობენ. ეს არის უზნეო, არაეთიკური საქციელი, — განაცხადა ლაფაჩმა და ოპოზიციურ ძალებს „პოლიტიკური პროზელიტიზმისგან თავის შეკავებსიკენ“ მოუწოდა.

**პირველი**

## ნორვეგიელი ტერორისტი ციხეში ნოუთბუქს, ინტერნეტსა და სპეციალურ დიეტას ითხოვს

ნორვეგიელი ტერორისტი ციხეში ნოუთბუქს, ინტერნეტსა და სპეციალურ დიეტას ითხოვს.

მას სურვილი აქვს, წვდომა ჰქონდეს „ვიკილიქსის“ საიტთან და საკუთარ მანიფესტთან.

ის ასევე უკმაყოფილოა ოსლოსთან ახლოს მდებარე ციხის საკვებით და სპეციალურ დიეტასაც ითხოვს. მედიასთან საუბრისას ციხის მოძღვარი გამოტყდა, რომ ცივსისხლიან ტერორისტთან პირისპირ შეხვედრის ეშინია.

ნორვეგიის სამეფო პროკურორის განცხადებით, საქმის სირთულიდან გამომდინარე, ტერორისტის სასამართლო პროცესი დაახლოებით 1 წლის შემდეგ გაიმართება.

მედიისთვის ცნობილი გახდა ასევე, რომ ტერაქტამდე 2 საათით ადრე ბრეივიკი სალონს სტუმრობდა.

— კარგად გამოეწყვეთ, აიღეთ იარაღი და გაუღიმეთ კამერას, — ასეთი ინსტრუქცია ნორვეგიელმა ტერორისტმა საკუთარ თანამოაზრეებს მისცა.

76 ადამიანის მკვლელი, როგორც ჩანს, კიდევ რამდენიმე ტერაქტის განხორციელებას გეგმავდა.

გამოძიების პროცესში დაიკითხება ასევე ბელორუსი ტერორისტი დიმიტრი კონოვალოვი. სამართალდამცავები ვარაუდობენ, რომ ბრეივიკს ბელორუსიაში მომხდარ აფეთქებებთანაც აქვს კავშირი.

**პირველი**

## ბათუმში ადვოკატს მანდატური თავს დაესხა



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი ბათუმის საქალაქო სასამართლოში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით შეშფოთებას გამოთქვამს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ადვოკატთა ასოციაციიდან აცნობეს, ბათუმის საქალაქო სასამართლოში ადვოკატ რომან პაპიძეს მანდატური თავს დაესხა. ადვოკატის განცხადებით, მას მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. ადვოკატის განმარტებით, მასზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით, რამოდენიმეჯერ მოხდა სასამართლოს მიერ მისი უკანონო დაჯარიმება.

ხატიაშვილის ინფორმაციით, სასამართლოს მხრიდან გაღიზიანების საფუძველი ადვოკატ რომან პაპიძის მიერ უფლებამოსილების შესრულება გახდა, რაც მანდატურის თავდასხმით დამთავრდა.

— მიუხედავდ იმისა, რომ ადვოკატი თავს იცავდა, ადვოკატს სასამართლოდან აცნობეს, რომ მის მიმართ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო, 18:30 საათზე გაიმართება სასამართლო პროცესი. ადვოკატი ბათუმის სასამართლოში დაკავებული მომიტინგეების უფლებებს იცავდა, — აცხადებს ხატიაშვილი, რომელიც ამ ფაქტს აფასებს, როგორც ადვოკატთა ინსტიტუციონალური დევნის გაგრძელებას. იგი მიმართავს საერთაშორისო ორგანიზაციებსა და დიპლომატიურ კორპუსს, არ დაუშვან სააკაშილის რეჟიმის მხრიდან ადვოკატთა კორპუსის დასჯა.

**პირველი**

## სანაპირო დაცვის დეპარტამენტის სამი თანამშრომელი დააკავეს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის II რანგის კაპიტანი ზებარ ცინცაძე, მასტერ-მიჩმანი ტრისტან ჩანქსელიანი და საპატრულო კატარღა ტორნადო“-ს მეთაური ლეიტენანტი ნუკრი მიქიაშვილი დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, ცინცაძემ, ჩანქსელიანისა და მიქიაშვილის დახმარებით, მის გამგებლობაში არსებული, დიდი ოდენობით სამსახურებრივი დიზელის საწვავი მიითვისა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის II ნაწილით გამოძიებას აწარმოებს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია.

დაკავებული პოლიციელები ჩადენილ დანაშაულს აღიარებენ. დანაშაული შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

**ინტერპრესნიუსი**

# არც გლეხი ვარ და არც თავადი

## სად სცემა ბარის დაცვამ დავით დარჩიაშვილს

ნანა მიშელაშვილი

**უმრავლესობის წევრი დავით დარჩიაშვილი ოცნებობს, რომ საკმარისი დრო და დიდი ფართობი ჰქონდეს, რათა პლასტილინის ქალაქები ააშენოს.**

დავით დარჩიაშვილი იხსენებს, რომ ბავშვობაში საკუთარ სამყაროში ცხოვრობდა. ეს სამყარო ძირითადად ისტორიული წიგნებისა და პლასტილინისგან შედგებოდა. დავით დარჩიაშვილის თქმით, მეათე კლასში იყო, ყველა გოგონებსა და ქუჩის ამბებზე ფიქრობდა, თავად კი ნაპოლეონის 800 პატარა ჯარისკაცი ჰყავდა. ნაპოლეონის გვარდიელების ძერწვის გარდა, დარჩიაშვილი ქალაქებსაც აშენებდა. დეპუტატი იხსენებს, რომ იმ დროს ვერაზე ტარაკანების პრობლემა იყო. ისინი მაინცდამაინც მის პლასტილინის ქალაქებს ემტერებოდნენ და ანადგურებდნენ. დავით დარჩიაშვილი არც იმას მალავს, რომ სკოლაში ცუდად სწავლობდა და არ უყვარდა მათემატიკა და ქიმია, სამაგიეროდ, უყვარდა ისტორია. რატომ არ გამოვიდა სამხედრო პირი, ვინ მიაღებინა ორჯერ ტვინის შერყევა და არის თუ არა ჯაზის სპეციალისტი?

**„ახალი თაობა“ დავით დარჩიაშვილს ესაუბრა.**

***— დარჩიაშვილები წარმოშობით საიდან ხართ?***

— საკმაოდ გავრცელებული გვარი ვართ როგორც კახეთში, ასევე მის გარეთ.

***— უშუალოდ თქვენი შტო საიდან არის?***

— ჩვენი შტო სიღნაღიდან არის. გვარში არის ორი განშტოება — დარჩიაშვილები და დარჩაშვილები. მე როგორც ვიცი, ჩვენი შტო იყო დარჩაშვილი, მაგრამ შემდეგ, მამაჩემიდან მოყოლებული, დარჩიაშვილებად ვწერივართ.

***— სიღნაღში ახლა სახლი გაქვთ?***

— ძალიან იშვიათად მიწევს იქ ჩასვლა. ძველი კარმიდამოა, რომელიც წინაპრებს ეკუთვნოდა.

***— ახლა იქ არავინ ცხოვრობს?***

— არა.

***— ბავშვობაში სიღნაღში ჩადიოდით?***

— ძალიან იშვიათად. მე თბილისში დავიბადე და გავიზარდე. რამდენადაც მამაჩემისგან ვიცი, მამა ისტორიკოსია. ჩვენი გვარის წარმოშობის ერთ-ერთი ლეგენდაა, ლეკიანობის დროს, როდესაც სოფელი გაიხიზნა, ვიღაცას დარჩა შვილი. აქედან წამოვიდა გვარი დარჩაშვილი. შესაძლოა, სხვა ვერსიაც იყოს. ერთხელ, ცხინვალში რომ დამიჭირეს, იქ ოსები მიმტკიცებდნენ, დარჩიევი ხარო, სამეგრელოში დარჩიები არიან. ზოგიერთი მეგობარი მეუბნება, დარჩია ხარო.

***— ე.ი. გვარის ინტერპრეტაცია ხდება კუთხეების მიხედვით?***

— ამ გვარის ფუძე საკმაოდ გავრცელებულია არა მარტო საქართველოში, არამედ ამიერკავკასიაშიც.

***— საგვარეულო შეკრებები გაქვთ?***

— არ გამიგია, საგვარეულო შეკრება შემდგარიყო. რომ ყოფილიყო, აუცილებლად მეცოდინებოდა.

***— საგვარეულო გერბი გაქვთ?***

— არა, ქიზიყის შტო უბატონო გლეხთა შტოა. მე ნამდვილად არ ვთვლი თავს არც გლეხად და არც თავადად. მგონია, რომ ეს ყველაფერი შუა საუკუნეებს ჩაბარდა. თუმცა, საქართველოში ყველას ასე არ ჰგონია.

***— ზოგიერთი ამაყობს, რომ თავადური შტოს წარმომადგენელია...***

— ღმერთმა ამაყოთ, არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, მაგრამ წარმომადგენლობით არ განისაზღვრება, ადამიანს რა შეუძლია და რა — არა.

***— ბავშვობაში დედულეთში ჩადიოდით?***

— დედაჩემიც საკმაოდ მოწყვეტილი იყო რეგიონებს. დედაჩემი თბილისელების მეოთხე თაობაა. ბაბუამისი თბილისში ცნობილი ექიმი იყო მენშევიკების დროს. ბაბუის მამას მამული ჰქონდა ოჩამჩირის რაიონში.

***— დედა მეგრელია?***

— წარმოშობით ასე გამოდის, თუმცა, დედაჩემის ბაბუის მამა ამბობდა, რომ აფხაზი იყო. დედა დემურიაა.

***— წერა რამდენი წლის ასაკში ისწავლეთ?***

— ნამდვილად არ მახსოვს. რასაც გვავალებდნენ პირველ კლასში, იმას ვწერდი. კალიგრაფია არ მივარგოდა. მწყობრად აზრის გადმოცემა ვისწავლე უნივერსიტეტში.



***— სკოლაში როგორი ბავშვი იყავით? როგორ სწავლობდით?***

— ცუდად ვსწავლობდი, მაგრამ ცელქი არ ვიყავი. ჩემს სამყაროში მყოფი ბავშვი ვიყავი. ეს სამყარო ძირითადად ისტორიული წიგნებისა და პლასტილინისგან შედგებოდა.

***— ძერწვა გიყვარდათ?***

— ძალიან. ეს ხშირად ხდებოდა დაცინვის ობიექტი: აგერ მეათე კლასში გადავიდა და ყველა რომ გოგოებზე ან ქუჩის ამბებზე ფიქრობდა, მე მყავდა 800 პატარა ჯარისკაცი ნაპოლეონის. კლასელები ამის სანახავად მოდიოდნენ, მაგრამ თან ფიქრობდნენ, ეს ბიჭი მთლად კარგად ვერ არისო.

***— ნაპოლეონი ბავშვობაში გიყვარდათ?***

— კი, ძალიან მიტაცებდა ფილმები, წიგნები.

***— მხოლოდ ნაპოლეონის ჯარისკაცებს ძერწავდით თუ სხვა ისტორიულ გმირებსაც?***

— ბოლოს ხან ვის ვძერწავდი და ხან ვის, მაგრამ განსაკუთრებით ნაპოლეონის გვარდიელების ძერწვა მომწონდა. პლასტილინის ქალაქებსაც ვაშენებდი. ზოგიერთს ვძერწავდი და მერე ვშლიდი. სამწუხაროდ, პლასტილინი არის ის მასალა, რომელიც იმტვრევა. იმ დროს ვერაზე ტარაკანების პრობლემა იყო და რატომღაც ჩემს პლასტილინის ქალაქებს ემტერებოდნენ.

***— ტარაკანები გიჭამდნენ?***

— კი.

***— პლასტილინს ახლაც რომ ხედავთ, სურვილი ხომ არ გიჩნდებათ, რაღაც გამოძერწოთ?***

— ჩემი ოცნებაა, დრო და ფართობი მქონდეს, რათა დიდი პლასტილინის ქალაქი ავაშენო.

***— თქვენს წარმოდგენაში როგორია ეს ქალაქი?***

— ხან მინდა, რომ შუა საუკუნეების ქალაქი იყოს, ხან მინდა, მე-19 საუკუნის ქალაქი იყოს.

***— მე-19 საუკუნის ქალაქი რატომ გინდათ, რომ ააშენოთ?***

— იმდროინდელი არქიტექტურა, ცხოვრების მაშინდელი სტილი, ფორმა რაღაცნაირად მაინტერესებს.

***— ბავშვობიდან პლასტილინის რომელიმე ფიგურა შემონახული გაქვთ?***

— არა, სამწუხაროდ, არაფერი. 16 წლის ასაკში ყველაფერი გამიფუჭდა. ცოლი რომ მომყავდა, ის იგონებს, რომ ერთხელ სახლში დამპატიჟა, ნაპოლეონი მაქვსო, მაცივარი გააღო, ვიფიქრე, ნამცხვარს გამოიღებდა და პატარა გამოძერწილი ნაპოლეონი გამოიღოო.

***— ეს ისტორია მართალია თუ მეუღლე იგონებს?***

— რაღაც ამდაგვარი იყო. მე მართლა მქონდა მაცივარში ნაპოლეონი, მაგრამ მაინცდამაინც მაგაზე დავპატიჟე თუ ნამდვილ ნამცხვარზე, არ მახსოვს.

***— მაცივარში ინახავდით გამოძერწილ ფიგურებს?***

— ხანდახან. ეს პლასტილინის ქალაქი და ჯარისკაცები თამაშის ნაწილი იყო. კლასელები მოდიოდნენ და თამაშის წესებს ერთად ვადგენდით.

***— ხატვა გიყვარდათ?***

— მიყვარდა, მაგრამ არ მისწავლია. ახლაც ზოგჯერ სესიაზე ან რაიმე შეკრებაზე როდესაც ვზივარ, რაღაცები მეხატვინება, უმეტესწილად — ისევ ჯარისკაცები.

***— სამხედრო პიროვნება რატომ არ გამოხვედით, ასე თუ მოგწონდათ სამხედრო სფერო?***

— რა პროფესიითაც დავკავდი, ეს მთლად უცხო არ იყო თავდაცვისა და უსაფრთხოებისგან. 90-იან წლებში აღმოვაჩინე, რომ არსებობს რიგი აკადემიური დისციპლინები, რომლებიც საშუალებას გაძლევს, სამხედრო საკითხებზე იმუშაო, მაგრამ სამხედრო არ იყო. ჩემი ბავშვობის გატაცება გადაიზარდა ე.წ. სამხედრო-სამოქალაქო თეორიის შესწავლაში და ბოლოს სადოქტორო დისერტაცია ამ საკითხზე დავიცავი. რაც შეეხება ოფიცრობას, ამას თავისებური ფიზიკური მონაცემები უნდა, თან ტექნიკური ცოდნა. მე ისტორიკოსი ვიყავი, თანამედროვე ოფიცერს ტექნიკური განათლება სჭირდება. ჯარში კი ვიმსახურე 2 წელი.

***— ჯარში სად იყავით?***

— ესტონეთში.

***— ნამდვილი ჯარი თქვენ მიერ შექმნილი ჯარისკაცებისგან დიდად განსხვავდებოდა?***

— კი. გამოვტყდები, რომ ზოგჯერ აღლუმისთვის მზადება და მწყობრი ნაბიჯით გავლა ესთეტიკურ სიამოვნებას მანიჭებდა.

***— ჯარში ერთ ნაწილში ბევრი ქართველი იყავით?***

— არა, ცოტა ვიყავით. სომეხი მეგობარი მყავდა, ერთი რუსი მეგობარიც მყავდა.

***— ეროვნული ნიშნით ჯარში ჩხუბობდით?***

— არა. იმ ნაწილში, სადაც მე ვმსახურობდი, ასეთ ფაქტებს ადგილი არ ჰქონია.

***— დავუბრუნდეთ ბავშვობას. რომელი საგნები არ გიყვარდათ?***

— ახლა ძალიან მცხვენია, მაგრამ მათემატიკასა და ქიმიას არ ვსწავლობდი.

***— ორიანი მიგიღიათ?***

— კი, როგორ არა. თავის დროზე ვერავინ ამიხსნა, რა კავშირი შეიძლება იყოს ჰუმანიტარულ და ტექნიკურ საგნებს შორის. ამიტომ დავრჩი ისტორიის სიყვარულის ამარა.

***— მასწავლებელს კლასიდან გაუგდიხართ სიცელქის გამო?***

— ცელქი არ ვიყავი, შესაძლოა მელაპარაკა ან მეხატა.

***— წყნარი კლასი გყავდათ?***

— მაინცდამაინც ცელქი და რევოლუციის მომხდენი კლასი არ გვქონდა. მერვე კლასის შემდეგ ერთმანეთში აურიეს სხვადასხვა კლასი და ამან ნაკლებად შეკავშირებული გახადა, პატარ-პატარა სამეგობროები უფრო გაჩნდა, ვიდრე ერთი კლასი. მერვე კლასამდე ერთად ვსწავლობდით მე და გია თორთლაძე. მერე ის სხვაგან გადავიდა.

***— სხვა რომელიმე დეპუტატი ან მინისტრი არის თქვენი კლასელი?***

— არა, არ მახსენდება. ჩვენ ვართ 60-იანელები.

***— მასწავლებელს რაღაცებს რომ „უჩალიჩებდნენ“, ასეთი კლასელები გყავდათ?***

— სკოლაში ეგეთებიც იყვნენ, თუმცა, მე ამით ვერ ვერთობოდი. ეს არ იყო ჩემი გატაცება, ვიჯექი და ნაპოლეონზე ვფიქრობდი... ერთხელ მახსოვს, შრომის კაბინეტში რაღაც მოხდა, ბოდიში ამ გამოთქმისთვის და ყველას უნდა დაეგინა, რომ მას ეს არ გაუკეთებია. ჩემი ჯერი რომ მოვიდა, გავჩუმდი, არ დავიგინებმეთქი, ყველამ ეჭვით შემომხედა, მაგრამ ბოლოს მიხვდნენ, ეს არ იგინებაო.

***— სკოლაში მართლა არ შეგიგინიათ?***

— მერიდებოდა, იმის შემდეგ შეიცვალა ცხოვრება, ჯარმაც გამაუხეშა.

***— მუსიკალური განათლება გაქვთ?***

— არა. ცოტა ხანი გიტარაზე დავდიოდი.

***— მერე როგორი შედეგი გქონდათ?***

— უნივერსიტეტში ჩემს კურსელებს ზოგჯერ ვართობდი. დიდი სმენის ნიჭით არ გამოვირჩევი, მაგრამ რაღაცას ვუკრავდი.

***— ახლა როგორ მუსიკას უსმენთ?***

— რასაც წავაწყდები, იმას ვისმენ. ამას წინათ ნუგზარ წიკლაურმა გამაშაყირა, კონფერენციის შემდეგ ბათუმში ბარში შევედით და ვიღაცას ჩემი თავი გააცნო, ეს ცნობილი ჯაზის სპეციალისტიაო. ის ბიჭი ახალგაზრდა ქართველი ჯაზმენი აღმოჩნდა. მან გამოკითხვა დამიწყო, რას ვუსმენ, რითი ვარ გატაცებული, ძალიან მომერიდა, ერთი-ორი რაღაც გამახსენდა და ვუთხარი, იმას ვუსმენ-მეთქი.

***— ქართულ სუფრას რაც შეეხება, როგორი თამადა ხართ?***

— ეგ სხვამ უნდა თქვას.

***— თამადობა ხშირად გიწევთ?***

— ხანდახან.

***— სუფრიდან ვინმე გაგიძევებიათ?***

— არა. ეგეთ კამპანიაში არასოდეს ვყოფილვარ, რომ თამადა სუფრიდან ვინმეს აძევებდეს.

***— როდესაც ხმაურობენ?***

— ეტყვი გაჩუმდნენ და გაჩუმდებიან. ძალიან ბევრ სუფრაზე მოვხვედრილვარ და არ შემხვედრია, რომ ყველაფერი ბოლომდე სპექტაკლად იქცეს, თამადა მანდატურებს ეძახდეს და ხალხი გარეთ გაჰყავდეთ. ცოტა ხნის წინ ჩხოროწყუში თამადა ვიყავი ქორწილზე, სადაც 300 კაცი იჯდა.

***— როგორ ჩაატარეთ ქორწილი?***

— მთავარია, რომ განეწყო, გულწრფელად ისიამოვნო და ასიამოვნო სუფრის წევრები. ჯარის მეგობრის შვილის ქორწილი იყო. მეგრული სუფრა მშვენიერია.

***— განსხვავებული სასმისით დაგილევიათ?***

— თუ ვიღაცა მაიძულებს, იმ შემთხვევაში. ჩემი ინიციატივით განსხვავებული სასმისით არ დამილევია.

***— კრამიტით დაგილევიათ?***

— არა. დიდი თასებით და ყანწებით დამილევია.

***— ჭინჭილით?***

— კი.

***— ყველაზე რთული რომელი სასმისიდან არის დალევა?***

— ერთხელ მახსოვს, ჭინჭილით რომ დავლიე და მაინცდამაინც არ მაწვალა. დიდი თასები უფრო მაშინებს.

***— სიყვარულის სადღეგრძელოს რომელი სასმისი უხდება?***

— სიყვარულის სადღეგრძელოს უხდება სიტყვები და არა სასმისი. ღვინის ჭიქას მნიშვნელობა აქვს, რა ფორმის არის. პლასტმასის ჭიქით სადღეგრძელო კარგად ვერ დაილევა.

***—საქეიფოდ როგორი ღვინო გირჩევნიათ?***

— ბოლო დროს ძალიან იშვიათად ხდება, რომ ღვინით ვიქეიფო, რასაც ტრადიციული ქეიფი ჰქვია, ჭიქების ბოლომდე დაცლა. ღვინის დაგემოვნება მირჩევნია.

***— საქეიფოდ არაყი ხომ არ გირჩევნიათ?***

— ღვინის უზომოდ სმას მირჩევნია პატარა ჭიქით ცოტა არაყი.

***— ყურძენი დაგიწურავთ?***

— დამიწურავს. მათ შორის ფეხებითაც.

***— ისე დამთვრალხართ, რომ მეორე დღეს არ გხსომებიათ, რა მოხდა წინა დღეს სუფრაზე?***

— თითქმის არასოდეს.

***— არც სტუდენტობის დროს?***

— სტუდენტობისას ანაგაში ვიყავით. ძალიან დამათვრეს კახელებმა, თან კახური ტანინიანი ღვინო მძიმეა, ზედმეტად არ უნდა დალიო, თუ განსხვავებულიც შეერია, მტრისას.

***— ხომ არ იჩხუბეთ?***

— არა. არ მახსენდება, რომ ნასვამობის გამო მეჩხუბოს. მახსოვს, იმ სუფრიდან მამაჩემმა წამიყვანა სახლში.

***— ბავშვობაში თავი გაგიტეხიათ?***

— ტვინის შერყევა მქონია.

***— რა ასაკში მიიღეთ ტვინის შერყევა?***

— სკოლაში, ჩხუბის გამო მივიღე.

***— აბა, მოჩხუბარი არ ვიყავიო?***

— არ ვიყავი, მაგრამ კლასელთან რაღაც უსიამოვნება მოხდა და ცოტა ხანი საავადმყოფოში-ვიწექი.

***— ქვა მოგარტყათ?***

— არა, ქვა არ მოურტყამს. ჩხუბის დროს, ხელების გაქნევა-გამოქნევისას, ცუდად მომხვდა, ტვინის შერყევა მქონდა.

***— დიდხანს იწექით?***

— რამდენიმე დღე. მოგვიანებით კიდევ ერთხელ მქონდა ტვინის შერყევა.

***— ე.ი. ორჯერ გქონდათ ტვინის შერყევა?***

— კი.

***— მეორედ რის გამო მიიღეთ ტვინის შერყევა?***

— ეს პოლონეთში მოხდა. უსიამოვნება მოხდა პოლონელებსა და ქართველებს შორის, უფრო სწორად, იქაურ ბარის დაცვასთან მოგვიწია ურთიერთობა. ბარის დაცვას ჩემი გაბარიტების გამო ვერ მოვერეოდი. გონება დამაკარგვინეს, იქაც საავადმყოფოში მოვხვდი, მერე ჩამომაფრინეს. ეს ხდებოდა მხედრიონის დროს. მაშინ იძულებული ვიყავი, ფული მესესხა, წავსულიყავი, კანფეტები ჩამომეტანა და აქ გამეყიდა.

***— ასეთი ბიზნესი გქონდათ?***

— არაფერი არ მქონდა, არც ფული და არც ბიზნესი. ყველა სადღაც მიდიოდა, მეც ვისესხე ფული, წავედი და დამთავრდა ტვინის შერყევით. მოკლედ, ვალი გავისტუმრე და ამ საქმისთვის ხელი არ მიხლია. სულ 500 დოლარის ამბავი იყო. ნაცნობებმა მთხოვეს, ფულს თუ ისესხებო. წავედი და ვესესხე, მაგრამ ეს ფული მეტროში მომპარეს. ავდექი და ვთქვი, წავალ პოლონეთში და იმ ფულსაც გავისტუმრებ-მეთქი, თუმცა, ასე დასრულდა ეს ამბავი..

***— მეუღლე რამდენი წლის ასაკში გაიცანით და შეუღლდით?***

— 23 წლის ასაკში გავიცანი და საკმაოდ მალე შევუღლდით. უნივერსიტეტში ისტორიულზე სწავლობდა ერთი კურსით დაბლა, შორიდან ვიცნობდი, მაგრამ ახლოს გავიცანი რთველში და იქ დავახლოვდით.

ნათია ხურცილავა

# რწმენა დიდი ნიჭია

## როგორ დავიცვათ თავი ბოროტი სულისგან



### ინტერვიუ ჯვრის მამის მოძღვარ, დეკანოზ მიქაელ ნაკაშიძესთან

***— მამა მიქაელ, როგორ მიდის ადამიანი რწმენამდე?***

— რწმენა, მე ვასაუბრობ თავისებურ რწმენაზე, ყველას აქვს. რაც შეეხება ქრისტიანულ რწმენას, ის ყველაზე მეტია და დიდია მთელს მსოფლიოში. ვიმეორებ, რა თქმა უნდა, ყველა ადამიანს აქვს თავისებური რწმენა. რწმენას უფალი ღმერთი ანიჭებს ყველას. როგორც მზის სხივები გადმოდის ადამიანზე, ისე გადმოდის რწმენა თითოეულ ადამიანზე, მაგრამ გააჩნია იმ მზის სხივებს როგორ მიიღებს ადამიანი, ასევე არის რწმენაც. თვით უფალი ბრძანებს, მე ყველას გულში ვარო, მაგრამ თუ გულის კარი არ გამიხსენით, ვერ შემოვალო. რწმენა ყველაზე გადმოდის, მაგრამ გააჩნია ვინ როგორ შეირგებს ამას, ვინ როგორ გაახარებს თავის რწმენას. თავისებური რწმენა სატანასაც აქვს. ქათამსაც, ქვეწარმავალსაც აქვს თავისებური რწმენა.

***— რაში გამოიხატება თავისებური რწმენა?***

— მაგალითად, სად უნდა წავიდეს, რა უნდა გააკეთოს, როდის შია, როდის სწყურია. ადამიანის რწმენა შეურყეველია. რწმენის გარეშე ადამიანის სიცოცხლე ამაოა. თვით უფალი ბრძანებს: მე ვარ ღმერთი თქვენი და არა იყვნენ სხვანი უცხონი ჩემსა გარეშე. ბევრი იბრალებს, მე ვარ ღმერთი, მაგალითად, იელოვა და სხვ. იელოვა სახარებაში არის ჩაწერილი, მაგრამ ისე ვერ თარგმნეს, როგორც საჭირო არის. ღმერთი ყველასთვის არის, მაგრამ გააჩნია ვინ როგორ ამართლებს. უფალი ღმერთი ასევე ამბობს: ვინც მე არ შემიყვარებს, არც მე არ შევიყვარებო.

***— მამაო, რომ ვისაუბროთ ჯვარზე, რა ფუნქცია აქვს ჯვარს მართლმადიდებლურ სარწმუნოებაში?***

— რას ნიშნავს ჯვარი? ჯვარს უდიდესი დატვირთვა აქვს ქრისტიანულ სარწმუნოებაში. მაცხოვარი ჯვარზე გაეკვრა, განა გააკვრეს, თვითონ გაეკვრა. რა, განა არ შეეძლო, რომ არ გაკრულიყო და თავი გადაერჩინა, მაგრამ წინასწარმეტყველება უნდა აღსრულებულიყო. მკვდარი აღადგინა ჯვრის გარდასახვით, ჯვრის გარდასახვით ბრმას თვალები აუხილა. განა არ შეეძლო, იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ქვებს ესროდნენ, ჯვარი გარდაესახა და იმ ქვეყნად გაესტუმრებინა, მაგრამ ამას უფალი ღმერთი არ დაუშვებდა. იესო ქრისტემ თავად გვიჩვენა ჩვენ, ადამიანებს, მიტევების მაგალითი. მან თავის მოწინააღმდეგეებს, იმ ადამიანებს, რომლებიც მას ლანძღავდნენ, შეურაცხყოფდნენ, ქვებს ესროდნენ, ეს ყველაფერი აპატია.

***— ბევრისგან გამიგონია, რომ რთულია პატიება, თქვენ რას ურჩევთ ადამიანებს, რომლებსაც უჭირთ პატიება?***

— მე მღვდელი ვარ და შეიძლება გინება ავიტანო, გამარტყან, ისიც ავიტანო, ვაპატიო, მაგრამ თუ ხანჯლით მოვა ვინმე, თავი ხომ უნდა დავიცვა. დიდად მორწმუნე უნდა იყო, რომ მხოლოდ ერთი სიტყვა უთხრა და ის უკან გაბრუნდეს.

***— სახარებაში საუბარია, მარჯვენა ლოყაში რომ გაგარტყან, მარცხენა უნდა შეუშვირო. როგორ ახსნით?***

— დიდად მორწმუნე უნდა იყო, თითქმის წმინდანი, რომ ეს შეასრულო. რომ გამარტყას და გამსრისოს? გააჩნია, რა მიზნით მოდის ადამიანი, მოსაკლავად თუ მოდის, თავი უნდა დაიცვა. მაგალითად, ტყეში ხარ და ხედავ, რომ ვეფხვი მოდის. თუ იცი, რომ შეგჭამს, თავი უნდა დაიცვა, უნდა გაიქცე ან რაღაც ქნა. თუ სამშობლოს გარეშე მტერი შემოესია, უნდა დაიცვა სამშობლო, ქვეყანა ხმლით იქნება თუ რითაც, რადგან ამ დროს მშვიდად ყოფნა შეიძლება უფრო დიდი დანაშაული იყოს. ისევ ყოფით პრობლემას რომ დავუბრუნდეთ, ადამიანმა უნდა შექმნა ისეთი სიტუაცია, რომ არავის არ აწყენინო. ადამიანი ბუნებით უნდა იყოს მიმტევებელი. თუმცა, ესეც ინდივიდუალურია, გააჩნია, რა სიტუაციაში როგორ, შეიძლება ერთხელ, ორჯერ, სამჯერ მიუტევო, აპატიო, მაგრამ ერთი და იგივე თუ მრავალჯერ გაიმეორა, მაშინ სჯობია, როგორც მაცხოვარი ბრძანებს: ერთხელ უქადაგო, ორჯერ, სამჯერ თუ გაიგო გაიგო თუ არადა, დაიბერტყე მტვერი და შეეშვიო. ასეა, სიტყვას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ნათქვამია, გაგებული ადამიანი ერთ სიტყვაში გაგიგებს, გაუგებარი კი ხუთი ათასში ვერ გაგიგებს.

***— როგორ მოდის ადამიანი ეკლესიამდე?***

— თვით ნიჭს უფალი აძლევს ადამიანს. ეს უნდა გამოიყენო.

***— რწმენა ნიჭია?***

— დიახ, აბა რა არის. უფალი მოგიწოდებს, გასწავლის, შეიძლება გამოგეცხადოს კიდეც. ამას უნდა მიუხვდეს ადამიანი. ბევრი რამ მასზეა დამოკიდებული. როგორც ერთი სიტყვა შეიძლება გადათარგმნო რამდენჯერმე, ასე არის.

***— რაც შეეხება ჯვარს...***

— ჯვარი ეს არის სიყვარული ზეცისადმი და სიყვარული ხალხისადმი.

***— ანუ ვერტიკალი და ჰორიზონტალი ასე იშიფრება?***

— დიახ. რაც შეეხება ჯვრის ქვედა ნაწილს, ეს არის მიწა, სასუფევლის დამკვიდრება.

***— ყველამ უნდა ატაროს ჯვარი?***

— ყველა ადამიანმა უნდა ატაროს ჯვარი და აუცილებლად ნაკურთხი უნდა იყოს. საიდან ხდება ადამიანი ქრისტიანი, მართლმადიდებელი, როდესაც ის ინათლება. ჩვენ ქრისტიანობა მას შემდეგ მივიღეთ, რაც მაცხოვარი იორდანეში მონათლა იოანე ნათლისმცემელმა. ლოცვა-კურთხევა მიიღო და მორჩილმა მონათლა ძე ღვთისა. ქრისტიანობა ნიშნავს მცნებების დაცვას. ქრისტიანობა სიყვარულის რელიგიაა და, უპირველეს ყოვლისა, ეს ნიშნავს მოყვასისადმი სიყვარულს.

***— ჯვარი როგორ უნდა ვატაროთ, კანს უნდა ედებოდეს?***

— დიახ. ჯვარი აუცილებლად უნდა ედებოდეს კანს. თუმცა, გარედანაც რომ ჰქონდეს ადამიანს, ამაში ცუდი არაფერია, რადგან ჯვარი ადამიანს იცავს. ჯვარი ერთგვარი საბუთია ადამიანის თუ ვინ არის ის და როგორი ადამიანია. თუნდაც რომ არ ჰქონდეს ადამიანს თავისი პირადი საბუთი, ჯვრის ტარება უკვე არის ერთგვარი საბუთი.

***— როდის უნდა გადავიწეროთ პირჯვარი?***

— მაშინ, როდესაც ამის შესაძლებლობა და სურვილი აქვს ადამიანს. პირჯვრის გადაწერა ყოველთვის შეიძლება, მაგრამ ყოველ ნაბიჯზე არა. უფალი ღმერთი არ უნდა შეაწუხო. უფალო დამეხმარე, უფალო დამეხმარე, ყოველ ნაბიჯზე არ უნდა შეაწუხო. ზომიერება არის საჭირო. ღმერთი ყველას ეხმარება, მან იცის როგორ და როდის უნდა დაეხმაროს ადამიანს. როგორც ადამიანს უნდა, ისე არ არის. შენ შეგიძლია სთხოვო და უნდა სთხოვო უფალს, თუ იმსახურებ, ის აუცილებლად მოგცემს. როცა გჭირდება, მხოლოდ მაშინ კი არ უნდა მოიხსენიო უფალი ღმერთი ჩვენი, არამედ მაშინ, როდესაც დილა გათენდება და სარეცლიდან წამოდგები. ლოცვაში წერია: რაჟამს ადგე, განეშორე სარეცელსა, დაიბანო პირი და დაიწყე ლოცვა. ვინც ლოცულობდეს, მას მიეცეს. თუ არ ილოცე, ისე არაფერი არ გამოვა. შეიძლება მოვიდეს, მაგრამ სატანისგან.

**პირჯვრის გადაწერა ყოველთვის შეიძლება, მაგრამ ყოველ ნაბიჯზე — არა. უფალი ღმერთი არ უნდა შეაწუხო. უფალო, დამეხმარე, უფალო, დამეხმარე! ზომიერებაა საჭირო. ღმერთი ყველას ეხმარება. მან იცის, როგორ და როდის უნდა დაეხმაროს ადამიანს.**

***— ეს როგორ?***

— დიდი ტანჯვის შედეგად, წვალების შემდეგ შეიძლება გამოგივიდეს, მაგრამ როგორც გითხარით, ეს ღვთისგან არ იქნება.

***— ლოცვას დიდი ძალა აქვს?***

— ლოცვას მართლაც დიდი ძალა აქვს. ლოცვის გარეშე ადამიანის სიცოცხლე ამაოა. ლოცვა ჩვენ გვჭირდება, ღმერთს არ სჭირდება. ლოცვა ღმერთმა ჩვენთვის შექმნა. სანთელიც, წირვა-ლოცვაზე დასწრებაც ჩვენ გვჭირდება. ჩვენ ვევედრებით, რომ ის დაგვეხმაროს, მოგვცეს ნიჭი, ჯანმრთელობა, მოგვცეს პური ჩვენი არსობისა.

***— ხშირად ადამიანები იფიცებიან, რამდენად არის ეს ეკლესიურად მისაღები?***

— ფიცი მიუღებელია. ფიცი არ არსებობს. სახარებაში წერია: ან ჰო, ჰო, ან არა, არა. ბევრმა იცის: ღმერთს გეფიცები. რა უფლებით იფიცები, არ შეიძლება, ღმერთის დაფიცება ცოდვაა. ეს ყველამ უნდა იცოდეს. დღეს ყველაფერზე იფიცებიან. თუ მართალი ხარ და ასი პროცენტით ხარ დარწმუნებული, პირჯვარი გადაიწერე.

***— ეს ხომ ერთგვარი წყევლა გამოდის, ადრე ხატზე გადაცემა რომ იყო...***

— რატომ? არა. რაც შეეხება ხატზე გადაცემას, ეს უდიდესი ცოდვაა. ეს წარმართულია. სანთლებს რომ ღუნავს და ხატს უკუღმა რომ იჭერს, ამის უფლება ვის აქვს, ეს ხომ საშინელებაა, დიდი ცოდვა. ეს ყველამ უნდა გააცნობიეროს. ვინც ამას აკეთებს, ის თვითონ დაიტანჯება. რა უფლება აქვს ადამიანს, რომ ეს ჩაიდინოს. ეს აკრძალულია. თუ შეურაცხყოფაზეა საუბარი, მაშინ მღვდელს უნდა უთხრას და სასჯელი მიიღოს. დავით გარეჯელი მიუხედავად თავისი მხცოვანი ასაკისა, შეევედრა უფალს, რომ მისთვის სასჯელი მიეცა იმისთვის, რომ თუ რამე დაავიწყდა და ვერ აღიარა აღსარებაში. მიუხედავად იმისა, რომ ის წმინდანი იყო, მაინც სთხოვდა ღმერს, რომ დასჯილიყო. გათხარა ორმო და იქ ჩავიდა, დღეში ერთ ჭიქა წყალს და ერთ ნაჭერ პურს იღებდა, ეს იყო მისი საზრდელი, ასე იცხოვრა 15 წელი. მან მთელი თავისი შეცოდებანი მოინანია. უფალი არ აძლევდა სასჯელს, მაგრამ მან თვითნებურად მოინანია. მან თავისი თავი გამოსცადა.

***— რას ურჩევთ იმ ადამიანებს, ვისაც აქვთ მონაწილეობა მიღებული ამაში?***

— აუცილებლად მივიდნენ ეკლესიაში და მოძღვარი ნახო, აღსარება უთხრან მოძღვარს, გულწრფელად მოინანიონ და შემდეგ თუ მოძღვარმა ნება დართო, ეზიარონ. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ხომ ჯოჯოხეთში წავა. მიუტევებელი ცოდვაა. უნდა ილოცოს ხშირად ადამიანმა, რომ რწმენა ჰქონდეს და მსგავს ბოროტებაში არ აღმოჩნდეს. რწმენის გარეშე ჩვენი სიცოცხლე ამაოა, სადაც არ უნდა წახვიდე, რწმენა თან უნდა ჰქონდეს ადამიანს.

***— მამა მიქაელ, ხშირად ამბობენ, ღმერთო გენაცვალე, ასევე ხატზე, ეს მისაღებია?***

— არავითარ შემთხვევაში. ხატზე ამბობენ: შენ გენაცვალე, ხატს რა სჭირს ადამიანის სანაცვლო. ასევე: შენი ჭირიმე, რა ჭირი სჭირს ხატს. ჭირი ჩვენ, ადამიანებს გვჭირს და არა ღმერთსა და ხატს, წმინდანებს. იმიტომ ვევედრებით უფალს, რომ ამ ჭირისგან გვიხსნას. ხატს ჩვენ თაყვანს ვცემთ. თაყვანს ვცემთ: მამასა და ძესა და წმინდას სულსა, ერთარსებასა და განუყოფელსა სამებასა.

***— ანუ ლოცვის კულტურა უნდა ვიცოდეთ?***

— რასაკვირველია. უნდა ვიცოდეთ, როგორ ვილოცოთ, როდის ვილოცოთ. ისე უნდა გითხრათ, რომ ტაძარი საერთოდ არ უნდა იკეტებოდეს. ღია უნდა იყოს, რადგან ის ღვთის სახლია. შეიძლება ვიღაცას დასჭირდეს ღამე ტაძარში მისვლა და ლოცვა, რა, არ უნდა შეეძლოს უფლის სახლში შესვლა და ლოცვა? სახლშიც კი შეუძლია, მაგრამ ტაძარში მთელი წმინდანები არიან. ყველა წმინდანი რომ გლოცავს, ამას ხომ სხვა მადლი და ძალა აქვს.

***— აღსარებაზე რომ ვისაუბროთ...***

— აღსარებას ადამიანი მოძღვარს აბარებს, მაგრამ ოლარის ქვეშ ადამიანია ზევით კი ღმერთი, იმ შემთხვევაში ადამიანი თავის გულს ღმერთს უშლის და არა მოძღვარს, ის მხოლოდ შუამავალია. მძიმე ჯვარი ტყუილა კი არ ჩამოიკიდა მოძღვარმა. ადამიანების, ერის ცოდვები მან უნდა იტვირთოს. მღვდელმა ფიცი დადო ღვთის წინაშე. რაც შეეხება აღსარებას, მხოლოდ გულწრფელი უნდა იყოს. სხვა შემთხვევაში წარმოუდგენელია. თუ ტყუილს იტყვი აღსარებაში, ეს რა აღსარება იქნება. აღსარებაში მხოლოდ სიმართლე უნდა იყოს. სასამართლო ხომ არ არის, რომ ვუთხრათ მრევლს მხოლოდ სიმართლე და მხოლოდ სიმართლე. სასამართლოში ბევრი ტყუილიც არის ერთი მხრიდანაც და მეორე მხრიდანაც, მაგრამ აღსარებაში ტყუილი წარმოუდგენელი და დაუშვებელია. არ მიეტევება, მეტი კი არაფერი. მღვდელი იმიტომ არსებობს ეკლესიაში, რომ მან დახმარება გაუწიოს მრევლს, რომ ის დაეხმაროს ადამიანს გაჭირვების თუ ლხინის ჟამს.

***— სახლის კურთხევა რამდენ ხანში ერთხელ შეიძლება?***

— უფალმა პირველად ზაქეს სახლი აკურთხა. ზაქე ყველაზე მდიდარი იყო. სახლის კურთხევა როდესაც უნდა ადამიანს, მაშინ შეიძლება, მაგრამ წელიწადში სამჯერ არის მიღებული, მაგრამ ზოგს ერთხელაც არა აქვს ნაკურთხი. ასეთ სახლებში ხშირად სატანა არის დაბუდებული. ხშირად გარედან შემოდის ბოროტი სული, გარედან შემოდის ან სტუმარს მოჰყვება და დაიბუდა. განა იმას უნდა, მანაც არ იცის. სახლის კურთხევის დროს იდევნება ბოროტი სული, კმევით, სახარების წაკითხვით და ნაკურთხი წყლის სხურებით, მაშინ განიდევნება ბოროტი სული და ოჯახის წინსვლაც აშკარაა. მე მოუწოდებ ყველა ადამიანს, რომ ღვთისნიერად იცხოვროს და ნაკლები პრობლემები ექნებათ, თუ უფალს მიენდობიან, უფრო ლაღად იცხოვრებენ.

# ნაცნობობა აღარ ჭრის

## ვინ შეარჩევს „ჯეოსტარის“ კონკურსანტებს

ეკა ირემაშვილი

პირველი აგვისტოდან „ჯეოსტარი 2011“ სრულიად საქართველოს მოივლის და კონკურსისთვის საუკეთესოებს შეარჩევს. „ჯეოსტარის“ შემოქმედებითი გუნდი შესარჩევ კონკურსებს თელავიდან დაიწყებს. კონკურსანტებს ახალი ჟიური შეარჩევს, რომლის დასახელების უფლებაც მარინა ბერიძეს არ აქვს. მან მხოლოდ ის გვითხრა, რომ შესარჩევ ტურებში ჟიურისთან ერთად იქნება დუტაც.

„ჯეოსტარის“ ახალი ვარსკვლავის ძიებისთვის შედგენილი გრაფიკი ასეთია: 1 აგვისტო — თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის თეატრი, 3 აგვისტო — გორის გიორგი ერისთავის სახელობის თეატრი, 6 აგვისტო — ქუთაისის კინოთეატრი „სულიკო“, 8 აგვისტო — ზუგდიდის კინოთეატრი „ატრიუმი“, 10 აგვისტო — ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის თეატრი. „ჯეოსტარისთვის“ შესარჩევი კონკურსანტების ძიება 12 აგვისტოს ბათუმში ილია ჭავჭავაძის სახელობის თეატრში დაგვირგვინდება.



„ჯეოსტარი 2011-ის“ შესარჩევ კონკურსსა და „რუსთავი 2“-ის მუსიკალურ პროექტებთან დაკავშირებით „ახალ თაობას“ მარინა ბერიძე ესაუბრა:

— „ჯეოსტარი 2011“-სთვის მზადება იწყება. ამ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას, ვინც 16-დან 30 წლისაა. რეგისტრაცია 28 ივლისს უკვე დასრულდა და ახლა რეგიონებში გავდივართ, რომ საკონკურსოდ კანდიდატები შევარჩიოთ. სტარტზე ვართ და ტაიმ აუტიც არ არის. შვებულება არ მეკუთვნის. მომწონს „ჯეოსტარის“ შესარჩევი ტურები, ბევრი შრომაა, მაგრამ — საოცრად საინტერესო. თვითონ პროექტი იმდენად საინტერესოდ ვითარდება ხოლმე, რომ მათთან მუშაობა დიდი სიამოვნებაა. ყველაფერი უნდა გააკეთო, რომ ჯეოსტარელებს შენი ბუმბერაზი კომპოზიტორი მოაწონო. მე მთელი თაობები მოვწამლე „ჯეოსტარში“ ქართული სიმღერით. კარგ უცხოურ სიმღერებსაც ვამღერებ, მაგრამ, სანამ თავისას არ იმღერებენ კარგად, საშველი არ იქნება. ქართველი კომპოზიტორები მინდა თანამედროვე შეფუთვაში. სტინგის კონცერტზე იყო აღებული ძალიან ბევრი ძველი მელოდია. შვიდი ნოტია სულ ამ ოხერ სანოტო სისტემაში, ამიტომ სიახლეები მუდამ საჭიროა. უამრავი მუსიკაა შედევრების შექმნილი, მაგრამ გააჩნია, ადამიანი როგორ ხედავს ამა თუ იმ მელოდიას. მეცხრე სიმფონია შეგიძლია ამოაყირავო და, თუ ნიჭიერი ხარ, მიიღებს ამას ხალხი. ვგიჟდები ექსპერიმენტებზე და რა ვქნა, რა გავაკეთო?

***— როგორია „ჯეოსტარის“ შესარჩევი ტურები?***

— რთულია „ჯეოსტარისთვის“ კანდიდატების შერჩევა. ვიღაცები ამბობენ, რა კარგია, როგორ ერთობითო. ეს ძალიან მძიმე ტვირთია. იმის მოლოდინი სულ მაქვს, რომ კიდევ ვიღაცას ვიპოვით. ვამაყობ იმით, რომ ყველა ჯეოსტარელმა ფინალისტმა გაამართლა.

***— თუ დარჩა რეგიონი, სადაც არ ყოფილხართ?***

— სვანეთი. რაჭაშიც არ ვყოფილვართ. ძალიან მინდა, წელს სვანეთში წავიდეთ და ალბათ წავალთ კიდეც.

***— როგორია თქვენთვის დღევანდელობა?***

— ძალიან მომწონს ახლანდელი ცხოვრების რიტმი. ძალიან მინდა, ამ დროში ვცხოვრობდე, მაგრამ 20 წლით პატარა ვიყო, ბევრად უფრო მეტს გავაკეთებდი. მართალია, დახოცილი მყავს გარშემო ხალხი, ბევრად უფრო ახალგაზრდები, მაგრამ საოცრად საინტერესო დროა. იმდენი რამე მოგვცა ინტერნეტმა, იმდენი შესაძლებლობა გვაქვს. როცა ადარებ, გინდა, ხარისხი კიდევ უფრო მაღლა აწიო. ვინმეს რომ ეთქვა, ორ დღეში ბავშვები სიმღერას დალეჭავდნენ და ისწავლიდნენ, ვერ დავიჯერებდი. ახლანდელ ბავშვებს მეტი გასაქანი აქვთ და მათ მაქსიმალურად ხელი უნდა შევუწყოთ. მორჩა მამიდაშვილობისა და ბიძაშვილობის ხანა.

***— ნაცნობობის ეპოქა დამთავრდა?***

— ნამდვილად დამთავრდა. არავისი მამიდაშვილობა არსად აღარ ჭრის, იმიტომ რომ ხალხი მიხვდა, ყველაფერს თვითონ წყვეტს. შენ უბრალოდ ძალიან კარგად უნდა უთხრა, რა არის კარგი და რა არის ცუდი. როცა ძალიან კარგია, იმას ძალიან ჩქარა ხვდებიან, შეიძლება, საშუალო დონე ვერ გაარჩიონ, კარგები კი ყოველთვის უყვართ. ასეა ეს ცხოვრება, სამაგიეროდ, არ გაპატიებენ შეცდომას და შენგანაც მაქსიმუმს ითხოვენ.

***— მსოფლიო ვარსკვლავების კონცერტებზე ხშირად დადიხართ?***

— ბათუმში ვიყავი სტინგისა და კრის ბოტის კონცერტზე და ფრთებგამოსხმული დავდიოდი. ისეთი კონცერტი იყო, სასწაული. იქ ვიჯექი და ვაფიქსირებდი, რომ ეს ყველაფერი ჩემს ქვეყანაში ხდება. ძალიან ბევრ კონცერტზე ვარ ნამყოფი ბევრ ქვეყანაში, მაგრამ საკუთარ ქვეყანაში საკუთარი ემოციების გაზიარება თანამემამულისთვის ძალიან მაგარი განცდაა, უცხოეთში კი მარტო ხარ და სული გეხუთება იმ ემოციებში. მე საოცრად ემოციური ადამიანი ვარ, ბათუმში ბოლოს უკვე სკამზე ვიდექი და ისე ვკიოდი, ხმა ჩამეხლიჩა. ჩემს ქვეყანაში მინდა კარგი ცხოვრება და კარგ კონცერტზე ჯდომა. ყოველთვის მქონდა იმის საშუალება, რომ წავსულიყავი და სერიოზული კონცერტები მენახა. ყოველთვის სინანულით მოვდიოდი, რატომ უნდა ვნახო მარტო მე და ჩემმა დანარჩენმა თანამემამულეებმა — არა-მეთქი. ხომ ძალიან რთული პერიოდი გავიარეთ, მაგრამ ყოველთვის გვქონდა იმის თავი, რომ სტუმარი მიგვეღო. ასე მოხდა ბათუმის კონცერტზეც. მათ შეაკოწიწეს თანხა და იყიდეს ბილეთი, იმიტომ რომ ეს არის სულის ზეიმი, ძალიან დიდ სტიმულს და მერე შრომისთვის დიდი ენერგიას გაძლევს.

***— ბევრიც ხომ აღმოჩნდა ისეთი, ვისაც გულით უნდოდა, მაგრამ ფინანსური პრობლემის გამო იმ კონცერტზე ვერ მოხვდა?***

— ალბათ ბევრი იყო ასეთი, მაგრამ არ უნდა გაბრაზდნენ. ტელევიზორში ხომ ნახეს ეს კონცერტი. მათ უნდა გაუხარდეთ. არ მინდა, ვიღაცამ თქვას, რა ჯანდაბად გვინდა ამდენი ფულის გადაყრა და სტინგის ჩამოყვანაო.

***— ხომ იცით, რომ ამბობენ?***

— ვიცი, რომ ამბობენ. ეს სულის ზეიმია. იცით, რა უნდა ვისწავლოთ? უნდა მოგვინდეს, რომ ძალიან კარგად ვიცხოვროთ და უნდა გავიგოთ, რომ ძალიან ბევრი უნდა ვიშრომოთ. სახლში მყავს 15 წლის დის შვილიშვილი, რომელიც ამბობს, რომ ჩავაბარებ, ვიმუშავებ კიდევაცო. ადამიანს უნდა გაუჩნდეს სურვილი, რომ გახდეს მდიდარი. კომუნისტური წყობილების დროს ასეთი მომენტი არ გვქონდა. ჩვენ ვიცოდით — დავამთავრე უმაღლესი, ვიშოვე სამუშაო, მაქვს კარგი ანაზღაურება, სადღაც უცხოეთში წახვიდოდი ტურისტული საგზურით და ეს გაკმაყოფილებდა. ეს ძალიან ცუდი იყო, შენ არ გქონდა განვითარების ჟინი და არც საშუალება. მე სულ მინდოდა ყოველთვის რაღაც მეტი. გადამარჩინა იმან, რომ მიყვარს ახალგაზრდები, ძალიან ბევრ რამეს ვსწავლობ მათგან და არასოდეს ვიტყვი, ამ ღლაპმა არ უნდა მასწავლოს-მეთქი. ახლა სხვა დროა, უკვე ზუსტად იცი, რომ შენ ზურგს უკან სუნთქავს ვიღაც და, როგორც კი ყურადღებას მოადუნებ, ის დაიკავებს შენს ადგილს. ამიტომ სულ ერთი ნაბიჯით წინ უნდა იარო. ეს ისწავლეს ახალგაზრდებმა, კიდევ მეტს ისწავლიან და ნახავთ, ყველაფერი კარგად იქნება. იცით, ვინ იქნება კარგად? ვისაც კომუნისტურ რეჟიმში არ უცხოვრია.

***— „რუსთავი 2“-ის მუსიკალურ პროექტებზეც ვისაუბროთ. „მელომანია“ მთელი ზაფხული იქნება?***

— რა თქმა უნდა. „მელომანია“ მთელი ზაფხული გაართობს მაყურებელს. ასე გადაწყვიტა „რუსთავი 2“-მა. ჩვენ მაყურებელს მაქსიმალურად გავულამაზებთ ორშაბათ საღამოს. საჭირო იყო ისეთი პროექტი, რომელიც მაყურებელს მოიზიდავდა და თან ოდნავ შემეცნებითიც იქნებოდა. გემოვნებიანი მუსიკა გვიდევს შიგ. ეს ზაფხულის გასართობი პროექტია და მივა იქამდე, სანამ დაიწყება „ჯეოსტარი“, თან ხალხი სულ რომ მუსიკაში იქნება, ამაზე კარგი რა არის. კარგი მუსიკა ხომ კარგ ხასიათზეც გაყენებს.

***— რთულია „მელომანიის“ მომზადება?***

— ძალიან რთული მოსამზადებელია და მძიმე პროექტია, ბევრი სიმღერაა ამოსაღები, შრომატევადი გადაცემაა, ბევრი სიმღერის „შიფროვკაა“ გასაკეთებელი. შიდასამზარეულო არავინ იცის, სამაგიეროდ, საღამოს ყავის, ჩაის ან თუნდაც ნაყინის თანხლებით მისი ყურება დიდი სიამოვნებაა. მეორე თემაა მანდ საინტერესო, ისევ ის ჩვენი მომღერლები, რომლებიც ჩვენია, „რუსთავი 2“-ის არის, გამოჩნდებიან კიდევ ერთხელ, აჩვენებენ თავიანთ კლასს, თან ისინი ძალიან შეუყვარდა ხალხს, ისევ ფორმაში არიან. სულ იყო იმაზე ლაპარაკი, რას გვაძლევს „ჯეოსტარი“, მერე სად მიდიან მისი მონაწილეებიო. ამ ერთმა წელმა დაამტკიცა, რომ ყველაზე პოპულარულები გახდნენ, ყველა ყველგან ეძახის, მათი ხარისხი არ ვარდება, პირიქით, სულ არიან ფორმაში, რადგან მათ ცოცხლად სიმღერის სკოლა აქვთ გავლილი, თან იციან, რა არის ცოცხლად სიმღერა, თან აქვთ შანსი, ბენდთან ერთად ეს ყველაფერი გააკეთონ.

***— რა არის თქვენი წარმატების ფორმულა?***

— ამას მეც სულ მეკითხებიან, რა არის წარმატების მომენტი, რაც აქვს „რუსთავი 2“-ის მუსიკალურ პროექტებსო. წარმატება მხოლოდ იმას მოაქვს, რომ ძალიან დიდი პროფესიონალების ჯგუფი მუშაობს. ჩვენ მივეკუთნებით გიორგი ხაბურზანიას პროდაქშენს უკვე რამდენიმე თვეა და გადანაწილებული გვაქვს, ვინ რას აკეთებს. ჩვენ ვქმნით გადაცემას და გარანტია გვაქვს იმისა, რომ ის არის ძალიან კარგი სურათი ტელეში. მე არასოდეს არავის ვუნახივარ საეთეროში. ეს არ არის ჩემი საქმე. იქ ისეთი პროფები სხედან, რომლებმაც ძალიან კარგად იციან, რა და როგორ გადაიღონ და არ სჭირდებათ მარინა ბერიძე.

***— აბა, სად არის საჭირო მარინა ბერიძე?***

— მარინა ბერიძე საჭიროა იმ პროდიუსერინგში, რომელსაც მოჰყვება ის მუსიკა, რომელსაც ჩვენ ვისმენთ. მარინა ბერიძის უკან ის გუნდია, რომელმაც ზუსტად იცის, როგორ აკეთოს ეს. სულ ვამბობ, რომ მე ვარ „შანელის“ სუნამოს მომპკურებელი პროექტზე. შეიძლება, ბევრს არ ესმის, ეს რა არის, მაგრამ ეს მათი პრობლემაა.

***— ეს რას ნიშნავს?***

— მე ვიცი, რა არის მუსიკალურად სწორად შეფუთვა და ჩვენმა პროდაქშენმა გიორგი ხაბურზანიას თამადობით იცის, როგორ შეფუთოს ესა თუ ის პროექტი ტელევიზიისთვის. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ასეთი თანხვედრა არც ერთ ტელევიზიაში არ არის და ამით ვამაყობთ ჩვენ ყველანი. საჭირო ადგილას საჭირო ადამიანები აღმოვჩნდით. ჩვენ ერთი გემოვნება გვაქვს და ერთ ენაზე ვლაპარაკობთ. ბევრი წელი უნდა დაგჭირდეს, რომ ამას მიაღწიო. სხვანაირად ეს არ კეთდება.

***— იგივე გადაცემა პირველ არხზეც გადიოდა. „მელომანია“ მისი ანალოგია?***

— კი, მეც მახსოვს პირველ არხზე ეს გადაცემა, ბახალა იყო წამყვანი. მაშინაც მირეკავდნენ და სულ მეკითხებოდნენ, რა როგორ გაეკეთებინათ. სულ ვამბობ, რომ ერთი დიდი პლუსი მაქვს — მე ბევრი წლის ვარ. ჩემ თვალწინ ძალიან ბევრმა პროექტმა ჩაიარა, რომლის მაყურებელიც ვიყავი. მაშინ ვინმეს რომ ეთქვა, ტელევიზიაში ვიქნებოდი, ძალიან გამეცინებოდა, იმიტომ რომ მეგონა, ტელევიზიაში ადრენალინი არ არის. თურმე სუპერადრენალინია ტელევიზიაში — ძალიან კარგი და საინტერესოა ტელევიზია, ყველაფერი შენ თვალწინ ხდება, თან ჩქარა, საოცარი ტემპია და სწორედ ეს ტემპი მხიბლავს.

***— რატომ ამოიჩემეთ ვანიკო და თიკა?***

— ასე შეგიძლიათ გვითხრათ, რას გადაეკიდეთ ამ დუტასო. ჩაწერებზე ჩემთვის ჩუმად ვუყურებ თიკა ფაცაციას. ისეთი გაზრდილია, ისეთი დახვეწილი, მომხიბვლელი, ისეთი საინტერესო სახეა, რომ აბსოლუტურად სხვა სახე წარმოიშვა ტელეწამყვანის ამ ეტაპზე. აუცილებლად მერე კიდევ ვიღაცას მოვსინჯავთ. ეს უკუქცევადი პროცესია. ახალი სახეები საჭიროც არის, მაგრამ, უნდა ვაღიაროთ — თიკა „მელომანიაში“ აბსოლუტურად განსხვავებულია, ვიდრე იყო „ნიჭიერში“. ეს ის მუსიკაა, რომელიც მას უყვარს, იცის და ხალისობს. ვანიკოც მოუხდა ამ ყველაფერს და მგონია, რომ თვითონ მოუხდნენ ერთმანეთს. კარგი ის არის, თვითონ ერთობიან. თუმცა, არ მიყვარს გადაჭარბებული გართობა, ზედმეტობა არ მხიბლავს. იქ არ უნდა მოაწყო ვაკხანალია. ეს ყველაფერი გაწერილია, ეს სცენარია, ყველაფერი ტექსტებში უწერიათ. ამაშია პროდაქშენის სიმაგრე. ვიღაცას უნდა ეგონოს, რომ ეს იმპროვიზაციაა, თუმცა, უნდა იყოს დადგმული. ძალიან ცუდი რამე მოაქვს ადგილზე გაკეთებულ და იაფფასიან იმპროვიზაციას.

***— როგორც მომღერალი, ხომ არ დაჩაგრეთ თიკა?***

— ეს მეც მაწუხებს ძალიან. სულ ვეუბნები, ცოტა ხანს მაცალე და შენთვისაც მოვიცლი-მეთქი. სულ დატვირთულია, ძალიან კარგი გოგოა, ძალიან დიდი პოზიტივი მოაქვს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ყველაფრისთვის, როცა შენი დანახვა უხარია ხალხს.

***— თავად უყურებთ „მელომანიას“?***

— აუცილებლად. მე ის ადამიანი ვარ, რომელიც ჩასაფრებული უყურებს ამ გადაცემას. ეგ მშველის ბევრს რამეში.

***— თქვენსავე თავს უსაფრდებით თუ სხვებს?***

— ჩემსავე თავს. თუ გუნდმა რამე ვერ გააკეთა, ეს ისევ ჩემი ბრალია. საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობა მაქვს ჩემს თავზე აღებული.

***— საკმაოდ ბევრს ხომ არ იღებთ საკუთარ თავზე?***

— ვიღებ და ძალიან დავიღალე, მაგრამ მე ასეთი ადამიანი ვარ. ასე მგონია, ჩემი ფრთის ქვეშ მყოფი ადამიანები, პირველ რიგში, მინდა, სიამოვნებას იღებდნენ შრომისა და მუშაობისგან. თუ არ არის, არაფერი გამოვა. ხანდახან მეუბნებიან, რა გაგვიწყალე გული, აბა, საქმე გაღიმებულებმა ვაკეთოთო? კი, მინდა, რომ გაღიმებულებმა აკეთონ საქმე და მათ უხაროდეთ ეს პროცესი. თუ მოიღუშნენ და დაიწყეს, ვაიმე, დავიღალე, მეზარებაო, ამას მაყურებელი მაშინვე იგრძნობს. რა ვქნათ, ყველანი ვიღლებით. მგონია, რომ ძალიან კარგ დროში ვცხოვრობთ. შეიძლება, ყველას არ მიეცა შანსი, მაგრამ, თუკი შრომობ, ზუსტად იცი, რომ შეფასებული იქნება, მაყურებლის სიყვარულზე დიდი შეფასება კი არაფერია. რომ ამბობენ, დამღალა პოპულარობამო, არ მესმის. ქუჩაში რომ გავდივარ და ხანშიშესული ადამიანები მადლობას მიხდიან, ამით ძალიან ბედნიერი ვარ. სულ არ მეგონა, რომ ასე შევუყვარდებოდი ხალხს, იმიტომ რომ საკმაოდ მწარე ენა მაქვს. მაგრამ ყველა მიხვდა, რომ სიმართლეს ვლაპარაკობ ყოველთვის. სანამ ვარ, ასე ვიტყვი. მე ველარაფერი შემცვლის. როგორც ხმამაღლა ვამბობ, რომ ჩემი დირექტორი არ დაბადებულა ამ ქვეყანაზე, ისე ველარ შევიცვლები, განა იმიტომ, რომ ცუდი თანამშრომელი ვარ, პირიქით, ბოლომდე ვეცდები, ყველაფერში დაგიჯერო, მაგრამ არ მიყვარს თითის ქნევა. სანამ ვარსებობ, ვეცდები, არ გავაკეთო ისე, რომ ვინმემ თითი დამიქნიოს, მაგრამ, თუ უსამართლოდ დამიქნიეს თითი, ძალიან ვბრაზდები.

***— რა ბედი ელის „ბრავოს“?***

— არ ვიცით. ჯერ ეს საკითხი ღიად არის დატოვებული. ახალ წლამდე „ჯეოსტარი“ გვაქვს და შემდეგ რა იქნება, ჯერ ცნობილი არ არის.

***— „ანა ბანას“?***

— „ანა ბანა“ ჩემი საყვარელი პროექტია. ის ჩემთვის ყველაფერია. ამით ძალიან დიდი საქმე კეთდება. ეს არის ბაზა, რომელიც მერე გაიზრდება და იქნება მსმენელიც, სოლისტიც და ყველაფერი. ჩვენ ძალიან კარგ ბავშვებთან გვაქვს ურთიერთობა. არავისი პროექტი არ არის. ამის იდენტური პროექტი არ არსებობს. ეს პროექტი ქალბატონი ლანა ქუთათელაძის თავში დაიბადა. ძალიან ვამაყობ იმით, რომ ჩემი ლანიკოა „ანა ბანას“ ავტორი. ეს არის ერთადერთი პროექტი, რომელსაც ჰყავს ქართველი ავტორი მუსიკალურ სივრცეში, არის აბსოლუტურად გამართული და უნდა არსებობდეს ყოველთვის. თუ ვინმე შეეხება, ძალიან გავბრაზდები.

***— ბრძანეთ, კრიტიკული ვარო. როცა თქვენ გაკრიტიკებენ?..***

— ვიღებ მშვენივრად, თუკი ეს არის აზრიანი კრიტიკა, მაგრამ, თუ ფეისბუქზე ვიღაც მწერს, „მეზიზღები, გენაცვალეო“, აბსოლუტურად არ მაინტერესებს. მინდა დასაბუთებული კრიტიკა, რომ გავითვალისწინო. „რაღაც უფრო სხვანაირი მინდა“, ამას არ მივიღებ. „რაღაც სხვანაირი ტური გააკეთე“. მაშინ მოდი და მითხარი, რანაირი. კრიტიკა ხომ გზრდის? თუკი გებრძვის სერიოზული ვიღაც, ესეც გზრდის. იდიოტმა, უნიჭომ და შეუმდგარმა არ უნდა გაგაკრიტიკოს. მე ვიცი ყველასთან ურთიერთობა — დაწყებული ვაჟა აზარაშვილით, ახალგაზრდა კომპოზიტორებითა და მომღერლებით დამთავრებული. ყურის გდება ვიცი კარგად და ეს არ არის ცოტა. აბსურდულ რაღაცებს არ ვუსმენ, არც ვპასუხობ და არც ვითვალისწინებ. ძალიან ბევრი წელია მიცნობ. რაღაც-რაღაცებზე თქვან, რომ არის ასეთი ქალი და რა გავაკეთოთ, ცუდად, მგონი, ეს ქალი არაფერს აკეთებსო. არ შემიძლია სხვანაირად და რა გავაკეთო? დღეს გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ყველას შეუძლია, ყველაფერი გააკეთოს. მე მაქვს ერთი პრინციპი — ლაპარაკით კი არა, საქმით დაამტკიცოს, რა შეუძლია. ხომ გაგიგიათ, მჯობნის მჯობი არ დაილევაო.

***— თქვენ თუ ხედავთ თქვენს შემცვლელს?***

— ასე არ ჩავკირკიტებულვარ. იმდენი საქმე მაქვს, აღარ მაქვს იმის დრო, სხვა რაღაცებს ვუყურო. ძალიან გამიხარდება, თუკი ვინმე გამოჩნდება. ეს ჩემთვისაც მეტი სტიმული იქნება.

***— თქვენი გადაცემები იცავს საავტორო უფლებებს?***

— „მელომანიაში“ არანაირი დაბრკოლება არ გვექნება საავტორო უფლებებთან დაკავშირებით. ჩემი ბედნიერებაა, რომ ამაზე ზრუნავს სხვა განყოფილება. ვაწვდი მათ სიას, რას ვიყენებ გადაცემაში და ისინი აბსოლუტურად ცივილიზებულ დონეზე აგვარებენ ამ საკითხს. ჩვენ ამას უნდა შევეჩვიოთ.

# ბრიტანეთის დედოფალმა კანიბალი ენტონი ჰოპკინსი რაინდად აქცია



**ვალიელ-ამერიკელი სერ ენტონი ჰოპკინსი აღიარებულია ერთ-ერთ უდიდეს მსახიობად. განსაკუთრებით ცნობილია კანიბალიზმის მიმდევარი სერიული მკვლელის, ჰანიბალ ლექტერის განსახიერებით 1991 წლის ფილმში „კრავთა დუმილი", რომლისთვისაც მან მიიღო ამერიკული კინოაკადემიის „ოსკარის" ჯილდო ნომინაციაში „საუკეთესო მამაკაცი მსახიობი". მისი ფილმებიდან აღსანიშნავია: „ადამიანი სპილო", „დრაკულა", „შემოდგომის ლეგენდები", „დღის ნარჩენები", „ზოროს ნიღაბი", „მსოფლიოს უსწრაფესი ინდიანი", „გაყინული გულები", „ნიქსონი", „გარდატეხა" და სხვ. ჰოპკინსი დაიბადა და გაიზარდა უელსში, ხოლო 2000 წლის 12 აპრილს მიიღო აშშ-ის მოქალაქეობა. 2003 წელს ჰოლივუდის დიდების ხეივანში ვარსკვლავი გაუხსნეს. „ოსკარის" ჯილდოსთან ერთად, ჰოპკინსს მიღებული აქვს სამი ბრიტანული აკადემიის ფილმების ჯილდო, ორი „ემი", „ოქროს გლობუსი" და სხვა.**

## ადრეული წლები

ჰოპკინსი 1937 წლის 31 დეკემბერს დაიბადა უელსის პორტ□ტელბოტის საგრაფოს პატარა ქალაქ მარგამიში. მისი მშობლები, მურიელ ანი და რიჩარდ არტურ ჰოპკინსი, საშუალო ფენას მიეკუთვნებოდნენ. ჰქონდათ საკუთარი საცხობი და დღე და ღამე მუშაობდნენ. სკოლის პერიოდი ენტონისთვის არანაყოფიერი იყო. ის ძალიან ცუდი მოსწავლე გახლდათ, მასწავლებლები ანტისოციალურ ტიპაჟად მიიჩნევდნენ და ამის გამო ძალიან ხშირად თავში სახაზავსაც უტყაპუნებდნენ. გარკვეული დროის შემდეგ ენტონი მიხვდა, რომ მას ნიჭი ხელოვნებაში ჰქონდა. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ხატვასა და პიანინოზე დაკვრაში. 1949 წელს მშობლების დაჟინებული თხოვნით ჩაირიცხა ჯოუნსის დასავლურ მონმაუზის ბიჭების სკოლაში. ჰოპკინსმა ჯოუნსის სკოლაში ხუთი სემესტრი ისწავლა, შემდეგ კი სწავლა ქოუბრიჯის საშუალო სკოლაში გააგრძელა. თუმცა, ისინიც ძლივს დაამთავრა, რადგან სწავლა მის სულში არ იჯდა.

15 წლის ასაკში ჰოპკინსი რიჩარდ ბარტონს შეხვდა. სწორედ მან შთააგონა და ხელი შეუწყო ჰოპკინს მსახიობად ჩამოყალიბებაში. მოხდა ისე, რომ 1957 წელს ჰოპკინსმა დაამთავრა მუსიკისა და დრამის სამეფო ვალიური კოლეჯი. არმიაში ორწლიანი სამსახურის შემდეგ იგი ლონდონში გაემგზავრა, სადაც კურსების გავლა დრამატული ხელოვნების სამეფო აკადემიაში დაიწყო.

## კარიერა

1965 წელს, რეპერტუარის შემდეგ, ჰოპკინსი შეამჩნია ლოურენს ოლივიერმა, რომელმაც ეროვნული სამეფო თეატრის წევრობა შესთავაზა. ჰოპკინსი, რა თქმა უნდა, დათანხმდა შემოთავაზებას, მოგვიანებით კი თავად ოლივიერის დუბლიორიც გახდა.

მიუხედავად იმისა, რომ თეატრში სერიოზული წარმატება ჰქონდა, ჰოპკინსი დაიღალა ერთი და იმავე როლების შესრულებით. მას ლტოლვა კინომსახიობობისკენ ჰქონდა. 1968 წელს მან განასახიერა რიჩარდ I ფილმში „ლომი ზამთარში". მასთან ერთად ფილმში თამაშობდნენ პიტერ ოტული, ქეთრინ ჰეპბერნი და ჯეიმს ბონდის ვარსკვლავი ტიმოთი დალტონი, რომელმაც საფრანგეთის მეფე ფილიპ II განასახიერა.

მიუხედავად თეატრში მიღწეული წარმატებებისა, იგი თანდათან ანებებდა თავს თეატრალურ მსახიობობას და ნელ-ნელა უშინაურდებოდა ტელე და კინოსამყაროს. მისი დებიუტი შედგა 1967 წელს ბი-ბი-სის ტელეგადაცემაში — „მწერი მის ყურში", სადაც მოკლე ეპიზოდურ როლში ითამაშა. ჰოპკინსის სატელევიზიო კარიერის პირველი ნაბიჯებიდან განსაკუთრებით დასამახსოვრებელია პიერ ბეზუხოვის როლი სატელევიზიო სერიალში „ომი და მშვიდობა" (1972), რომელიც გადაღებულია ლევ ტოლსტოის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით. ამის შემდეგ მას მოუწია შეგუება დიდ კარიერასთან, მრავალ ოვაციასა და ჯილდოსთან. ჰოპკინსს 1987 წელს ბრიტანული იმპერიის სარდლის



წოდება მიანიჭეს, ხოლო 1993 წელს — რაინდ-ბაკალავრის წოდება. 1996 წელს ჰოპკინსი საპატიო ამხანაგობისთვის უელსის უნივერსიტეტმა დააჯილდოვა.

ჰოპკინსმა განაცხადა, რომ ველომრბოლელ ბერტ მონროს განსახიერება 2005 წლის ფილმში მსოფლიოს უსწრაფესი ინდიანი იყო ყველაზე სასიამოვნო და ადვილი როლი, რაც მას ოდესმე უთამაშია, რადგან მათ შორის საკმაო მსგავსება მოიძებნებოდა.

2006 წელს ჰოპკინსი გახდა „ოქროს გლობუსის" სესილ ბ. დემილის ჯილდოს მფლობელი სიცოცხლეში მიღწეული წარმატებებისთვის. 2008 წელს იგი დაჯილდოვდა ბრიტანული აკადემიის ფილმების დაჯილდოების ამხანაგობის პრემიით.

2010 წლის 24 თებერვალს ცნობილი გახდა, რომ ჰოპკინსი შეასრულებდა მთავარ როლს მისტიკურ ტრილერში „რიტუალი". იგი ითამაშებდა მღვდელს, რომელიც არის „ეგზორციზმის ექსპერტი და მისი მეთოდებიც არ არის აუცილებლად ტრადიციული".

## მსახიობობის სტილი

ჰოპკინსი ცნობილია თავისი როლებისთვის წინასწარ საფუძვლიანი მზადებით. ერთ-ერთ ინტერვიუში მან აღნიშნა, რომ ერთხელ პროექტისთვის მზადებაში სცენარის მწკრივებს იმდენჯერ გადაავლო თვალი, რამდენჯერაც საჭირო იყო (ზოგჯერ რიცხვი 200-საც აჭარბებს), ანუ იქამდე, სანამ წაკითხული მწკრივები მისთვის ბუნებრივად არ იჟღერებდა. სწორედ ამის შემდეგ შეეძლო მას, „გაეკეთებინა ის ფიქრის გარეშე". სწორედ ეს აძლევს საშუალებას, როლი განასახიეროს თითქმის სრულიად ბუნებრივად, რაც ნიღბავს მის მიერ წინასწარ გაწეული მოსამზადებელი სამუშაოს მასშტაბს. მიუხედავად იმისა, რომ ეს გარკვეული ფრთხილი იმპროვიზაციის საშუალებას აძლევს, ამის გამო ხშირად მოსვლია კონფლიქტი რეჟისორთან, რომელიც სცენარისგან გადახვევას ინდომებს ან მსახიობისგან გადაჭარბებული რაოდენობის დუბლების გადაღებას მოითხოვს. ჰოპკინსის თქმით, სცენაზე მუშაობის დასრულების შემდეგ ის, უბრალოდ, სრულიად ივიწყებს მისი დიალოგის მწკრივებს. სხვა მსახიობები, როგორც წესი, საკუთარ პარტიას წლობით არ ივიწყებენ. რიჩარდ ატენბოროს, რომელმაც ჰოპკინსი ხუთ სხვადასხვა ფილმში გადაიღო, 1993 წლის ფილმ „ჩრდილების ქვეყანაში" გადაღებისას უკიდურესად გაუჭირდა ჰოპკინსისა და დებრა უინგერის წყვილის ერთმანეთთან შეწყობა ამ უკანასკნელის განსხვავებული მიდგომის გამო. მაშინ, როდესაც ჰოპკინსი გამეორებების მინიმუმამდე დაყვანას ამჯობინებდა, სპონტანურობის მიღწევის მიზნით უინგერი შეუწყვეტლივ მეცადინეობდა. ამ პრობლემის გადაჭრისთვის ჰოპკინსის ადგილს ვინგერთან მეცადინეობისას ატენბორო იჭერდა, ხოლო ჰოპკინსი ბოლო მცდელობისას შემოჰყავდათ გადაღებამდე. რეჟისორი აღფრთოვანებული გაიძახოდა:

— როდესაც მას უსმენ, არაჩვეულებრივი ნიჭით ცდილობს დაგარწმუნოს, რომ ეს მწკრივი მას მხოლოდ ერთხელ აქვს ნათქვამი. ეს გასაოცარი ჯილდოა!

ამასთან ერთად, ჰოპკინსი მიმბაძველობის ნიჭითაც გამოირჩევა. იგი ახამებს თავის ვალიურ აქცენტს იმ აქცენტთან, რომელსაც პერსონაჟი მოითხოვს. მან დუბლირება გაუკეთა მისი ბოლო დამრიგებლის, ლოურენს ოლივიერის ხმას, დამატებით სცენებში ფილმ „სპარტაკის" 1991 წელს გადაღებულ რიმეიკში.

## ჰანიბალ ლექტერი

ჰოპკინსის ყველაზე ცნობილი როლია კანიბალიზმის მიმდევარი სერიული მკვლელი, ჰანიბალ ლექტერი ფილმში „კრავთა დუმილი", რისთვისაც ჰოპკინსმა მიიღო კინოაკადემიის ჯილდო მამაკაცის საუკეთესო როლისთვის 1992 წელს. ამავე ფილმში მისმა პარტნიორმა ჯუდი ფოსტერმა იგივე ჯილდო ქალის საუკეთესო როლის შესრულებისთვის მიიღო. ფილმი ასევე დაჯილდოვდა ნომინაციებში საუკეთესო ფილმი, საუკეთესო რეჟისორი და საუკეთესო ადაპტირებული სცენარი. აღსანიშნავია, რომ ეს არის ყველაზე მოკლე შესრულება, რომელმაც მიიღო „ოსკარი" — ჰოპკინსი ეკრანზე მხოლოდ 16 წუთის განმავლობაში ჩანს. შემდეგში მან ხელახლა განასახიერა ლექტერი ფილმებში „ჰანიბალი" და „წითელი დრაკონი". „კრავთა დუმილში" განსახიერებული ჰანიბალ ლექტერი აღიარებულია ყველაზე საშიშ ბოროტმოქმედად ამერიკული ფილმების ინსტიტუტის მიერ. იმ დროს, როდესაც მას შესთავაზეს ამ როლის თამაში, ჰოპკინსი ბრუნდებოდა ლონდონის სცენაზე, მაგრამ როლზე დათანხმდა და არც უნანია. ჰოლივუდში რამდენიმეწლიანი მოღვაწეობის შემდეგ იგი დაბრუნდა ბრიტანეთში.

ჰოპკინსმა ითამაშა პორტრეტული ბოროტმოქმედი ტომას ჰარისის პირველ სამი ნოველის მიხედვით დადგმულ ფილმში. ავტორი ძალიან კმაყოფილი იყო მისი პერსონაჟის ჰოპკინსისეული პორტრეტის ხატვით. მიუხედავად ყველაფრისა, ჰოპკინსმა განაცხადა, რომ ფილ-



მში „წითელი დრაკონი" იგი ბოლოჯერ შეასრულებდა ამ პერსონაჟს, ამიტომ იგი აღარ გამოჩენილა შემდეგ სერიაში — „ჰანიბალი□აღსავალი".

## პირადი ცხოვრება

2007 წელს ჰოპკინსი ხელახლა გადავიდა საცხოვრებლად აშშ-ში. პირველად იგი ამერიკაში 70-იან წლებში ჩავიდა და მაშინ მისი მიზანი კარიერის გაუმჯობესება იყო, თუმცა 80-იან წლებში ბრიტანეთში დაბრუნდა. 1990-იან წლებში მიღწეული წარმატებების გამო ჰოპკინმა გადაწყვიტა კვლავ ამერიკაში დაბრუნება. 2000 წლის 12 აპრილს ჰოპკინსი გახდა ამერიკის სრულუფლებიანი მოქალაქე, რაც ქვეყნის გარშემო 3.000-მილიანი სახმელეთო მოგზაურობით აღნიშნა.

ჰოპკინსი დაქორწინებულია სამჯერ. მისი ცოლები იყვნენ პეტრონელა ბარკერი (1967-1972) და ჯენიფერ ლინტონი (1973-2002). დღესდღეობით ჰოპკინსი დაქორწინებულია კოლუმბიაში დაბადებულ სტელა აროიავიზე. პირველი ცოლისგან მას ჰყავს ქალიშვილი, აბიგაილ ჰოპკინსი, რომელიც ასევე მსახიობი და მომღერალია.

ჰოპკინსი მხარდაჭერას უცხადებს სხვადასხვა საქველმოქმედო ორგანიზაციასა და ფონდს. აღსანიშნავია მისი ისტორიული ადგილებისა და ლამაზი ბუნების ეროვნული მეურვეობის პრეზიდენტობა. იგი აგროვებს მარაგს სნოუდონიას ეროვნული პარკის დასაცავად. წიგნი, რომელიც აღნიშნავს ამ ძალისხმევას, „ენტონი ჰოპკინსის სნოუდონია", გამოუშვა გრაჰამ ნობლისთან ერთად.

ჰოპკინსი ასევე მხარს უჭერს სხვადასხვა ფილანტროპულ ჯგუფს. იგი არის მოხალისე მასწავლებელი რუსკინის მსახიობობის სკოლაში სანტა მონიკაში, კალიფორნიაში, სადაც თავად ცხოვრობს.

ჰოპკინსი ალკოჰოლიკია. იგი დადიოდა 12-ეტაპიან სამკურნალო თერაპიაზე ალკოჰოლისკენ მიდრეკილების შესაჩერებლად. სწორედ ამის დახმარებით 1975 წელს ჰოპკინსმა შეწყვიტა ალკოჰოლის სმა. ჰოპკინსის თქმით, იგი ვეგეტარიანელია.

2008 წელს იგი დაკავებული იყო წონის დაკლების პროგრამით და უკვე 2010 წლისთვის დაიკლო 80 გირვანქა (დაახლოებით 36 კგ).

ჰოპკინსი ცნობილია, როგორც ხუმარა გადასაღებ მოედანზე, ეპიზოდის გადაღებამდე ძაღლივით ყეფს, რითაც გარშემომყოფებს ახალისებს.

ჰოპკინსი არის ტომი კუპერის თაყვანისმცემელი. 2008 წლის 23 თებერვალს საზეიმოდ გახსნა კუპერის ძეგლი მის მშობლიურ ქალაქ კერფილში. ცერემონიისთვის ჰოპკინსმა დაიხურა საფირმო ნიშანი ფესკა და შეასრულა კომიკური რუტინა.

თავისუფალ დროს ჰოპკინსს უყვარს კითხვა, პიანინოზე დაკვრა და დივიდი ფილმების ყურება. სწორედ ამის გამო მას ხშირად იწვევენ „ოსკარის" დაჯილდოების დროს ხმის მიცემის ჟიურიში.

ასევე ძალიან უყვარს აბსტრაქტული პეიზაჟების ხატვა.

## მუსიკა

ჰოპკინსი ნიჭიერი პიანისტია. 1986 წელს მან გამოუშვა სინგლი, სახელად „დაშორებული ვარსკვლავი". სინგლმა ბრიტანეთის ჩარტში 75-ე ადგილი აიღო. 2007 წელს ჰოპკინსმა განაცხადა, რომ დროებით უნდოდა სცენას მოშორებოდა და მსოფლიოს გარშემო ემოგზაურა. მას ასევე აქვს დაწერილი მუსიკა საკონცერტო დარბაზებისათვის სტეფან ბარტონთან თანამშრომლობით. ეს კომპოზიციები შეიცავს „დროის ნიღაბს", რომლის მსოფლიო პრემიერა შედგა დალასის სიმფონიურ ორკესტრში 2008 წლის ოქტომბერში. ასევე აღსანიშნავია კომპოზიცია „შიზოიდური სალსა".

## რეჟისურა

1996 წელს ჰოპკინსმა გამოუშვა პირველი ფილმი, „აგვისტო", რომელიც გადაღებულია თავისი რეჟისორობით. ფილმის სცენარი არის ჩეხოვის ნაწარმოების „ძია ვანიას" ვერსია. მან პირველად დაწერა სცენარი ექსპერიმენტული დრამის, პროპელერის მრეცხავისასთვის, რომლის პრემიერა შედგა სანდენსის ფილმების ფესტივალზე 2007 წელს.

ჰოპკინსი არის ბი-ბი-სის სიტუაციური კომედიის „მხოლოდ სულელები და ცხენების" ფანი. ერთხელ მან აღნიშნა, თუ როგორ უნდოდა ამ სერიალში თამაში. მწერალმა ჯონ სულივანმა წაიკითხა ეს ინტერვიუ და თავის გონებაში შექმნა ჰოპკინსის მსგავსი პერსონაჟი, დენი დრისკოლი, ადგილობრივი ბოროტმოქმედი. ახალი სერიების გადაღება, რომელშიც უნდა ეთამაშა ჰოპკინს, დაემთხვა „კრავთა დუმილის" გადაღებას, ამიტომ შეუძლებელი გახდა, ჰოპკინსს ეთამაშა ბი-ბი-სის სიტკომში. ჰოპკინსმა როლი თავის მეგობარს როი მარსდენის დაუთმო.

## საინტერესო ფაქტები

ფილმს „დრაკულას" გადაღებისას ჰოპკინსს სერიოზული დაპირისპირება მოუხდა რეჟისორ ფრენსის ფორდ კოპოლასთან. მიზეზი კი დაფა იყო, რომელიც ჰოპკინსს გაუტყდა და მისი საფასურის გადახდა დააკისრეს, თანაც ისე, რომ ოდნავ აღემატებოდა რეკვიზიტის ფასს.

ჰოპკინსი ყოველთვის მიიჩნევდა, რომ სტანისლავსკის სისტემა გამოუსადეგარია და არ შეიძლება ძალადობა საკუთარ სხეულზე, თვით ხელოვნების გამოც.

1987 წელს დედოფალ ელისაბედისგან ჰოპკინსმა სერის ტიტული მიიღო. ელისაბედის აზრით, მსახიობმა დიდი წვლილი შეიტანა მსოფლიოში ბრიტანული ხელოვნების პოპულარიზაციაში.

ჰოპკინსის საყვარელი ფილმებია „დღის დასასრულს", „ჩრდილების ქვეყანა" და „ბაუნტი".

# ჩამოვიდა, ნახა და გაიმარჯვა

**მეტალურგი (საქართველო) — რენი (საფრანგეთი) 2:5**

**თბილისი. ეროვნული სტადიონი. 5.999 მაყურებელი**

***0:1 ბუკარი (17), 0:2 ბუკარი (31), 1:2 ჯაფარიძე (41), 1:3 პიტროიპა (43), 1:4 ფერე (49), 2:4 რაზმაძე (56, პენ.), 2:5 პიტროიპა (70)***

***30-ე წუთზე ბუკარიმ თერთმეტმეტრიანი ვერ გამოიყენა (მეკარე)***

**მეტალურგი:** ბედიაშვილი (ბათიაშვილი 46), კვახაძე, მურველაშვილი, ორბელაძე, ჯაფარიძე, რაზმაძე, მაისურაძე, მიქაბერიძე (მახვილაძე 33), გეწაძე (ტყემალაძე 67), მოდებაძე, ქობალია

**რენი:** კოსტილი, თეოფილე-კატერინე, მანგანე, პიტროიპა (ტეტე 72), ფერე, ბუკარი (მონტანო 65) კანაბიკი, მვილა, ბრაიმი (კამარა 61) დუმბია, დანზე

**გაძევება:** მურველაშვილი (28)

რა ვთქვათ? თავს ზემოთ ძალა არ არის — „მეტალურგი" ვერ გადაახტა საკუთარ თავს და ფრანგულ კლუბთან უშანსოდ დამარცხდა. „რენი" ჩამოვიდა, ნახა, გაიმარჯვა — თანაც ისე, რომ „ოფლი არ გამოსვლია". ბოლო წუთები ნამდვილი საცოდაობა იყო, გულშემატკივართა დიდმა ნაწილმა სტადიონი ნაადრევად მიატოვა, ტრიბუნებზე დარჩენილებმა კი საიმედო ვერაფერი ნახეს. „მეტალურგს" საერთოდ აღარაფერი შეეძლო, „რენმა" კი კარგად წაივარჯიშა და, სიმართლე რომ ვთქვათ, დაგვინდო. „მეტალურგი" ყველაზე უსუსურად მატჩის ბოლო წუთებზე გამოიყურებოდა და საფინალო სასტვენმა ყველა დაგვასვენა, პირველ რიგში — თავად ქართული გუნდი.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ სრული შემადგენლობით მოთამაშე რუსთაველები მეტოქეს რაიმეს დაუპირისპირებდნენ, მაგრამ, ვინც თამაში ნახა, დაგვეთანხმება, რომ „მეტალურგი" ნებისმიერ შემთხვევაში განწირული იყო.

არც გვქონდა იმის ილუზია, რომ საქართველოს მესამე გუნდი საფრანგეთის მეექვსე გუნდს დაამარცხებდა, მაგრამ მცირე იმედს მაინც ვიტოვებდით, რომ „მეტალურგი" „რენს" გვარიან წინააღმდეგობას გაუწევდა და, თუ დადებით შედეგს ვერ შესწვდებოდა, ღირსეულად მაინც დამარცხდებოდა.

ფაქტია, ამ ორი გუნდის კლასს შორის იმხელა უფსკრული აღმოჩნდა, რომ თამაშის დეტალური მიმოხილვა ყოველგვარ აზრს კარგავს. ვფიქრობთ, გასახსენებლად გოლებიც საკმარისი უნდა იყოს.

„მეტალურგმა" თამაში სწრაფ ტემპში დაიწყო და შეტევასაც შეეცადა, თუმცა ფრანგები მოვლენათა განვითარებას დინჯად აკვირდებოდნენ და სულ მალე მოედნის სრული ბატონ-პატრონები გახდნენ. ყველაფერი ნათელი მას შემდეგ გახდა, როდესაც ფრანგულმა გუნდმა პირველად გადააბიჯა მეტოქის ნახევარზე. აკი ამბობდა მათი მწვრთნელი მატჩის წინ — არ ვიცი, „მეტალურგი" როგორი გუნდიაო, მაგრამ მათთვის ყველაფერი ნათელი მეხუთე წუთისთვის გახდა. სანამ გოლი გავიდოდა, „რენს" სამჯერ შეეძლო გატანა და ამის გაკეთება იმდენად იოლად შეეძლო, რომ განადგურება უკვე გარდაუვალი ჩანდა.

მე-17 წუთზე „რენის" შემადგენლობაში ერთ-ერთმა ყველაზე გამორჩეულმა აბდულრაზაქ ბუქარიმ შეტევის მარჯვენა ფლანგზე ბავშვივით მოატყუა ლაშა ჯაფარიძე და, როდესაც ყველას ეგონა, საჯარიმოში ჩააწვდიდა, მოულოდნელად კარში დაარტყა და მახვილი კუთხიდან გაიტანა.

28-ე წუთზე კი მასპინძლები უიმედო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ბუქარი მეკარეს გასცდა და გიორგი მურველაშვილმა ვარდნით შეაჩერა. ეს უკანასკნელი — გაძევებით, „მეტალურგი" კი პენალტით დაისაჯა. გრიგოლ ბედიაშვილმა დაზარალებულს თერთმეტმეტრიანი კი აუღო, მაგრამ ორიოდე წუთში ბუქარიმ შეცდომა გამოასწორა და „რენის" მრავალსვლიანი კომბინაცია დააგვირგვინა — 0:2.

ტაიმის ბოლოს კიდევ ორი გავიდა. შეტევაში ჩართულმა ლაშა ჯაფარიძემ შორეული დარტყმით სტუმართა კარი ეფექტურად დალაშქრა, თუმცა ერთ წუთში პიტროიპამ იმავე ჯაფარიძის უსუსურობით ისარგებლა და სტატუს-კვო აღადგინა.

შესვენების შემდეგ რუსთაველთა კარში დაშავებული ბედიაშვილის ნაცვლად ზურაბ ბათიაშვილი ჩადგა და მასაც არაერთი უსიამოვნო ეპიზოდის გადატანა მოუხდა. მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, ჟულიენ ფე-



რემ ჯარიმა უზადოდ რომ შეასრულა და ანგარიში გამანადგურებელი გახადა.

„მეტალურგმა" კიდევ გაიბრძოლა და ირაკლი მოდებაძის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გოლად ლუკა რაზმაძემ აქცია, მაგრამ ეს საქმეს არ შველოდა.

70-ე წუთზე ჯონათან პიტროიპამ ბრწყინვალე დრიბლინგით „მეტალურგის" მთელ დაცვას თავბრუ დაახვია, ვიქტორ-უგო მონტანოს „კედელი" გაუთამაშა და მასპინძელთა ტანჯვას წერტილი დაუსვა.

ბოლო წუთები კი ფორმალობას დაემსგავსა — ორივე გუნდს ერთი სული ჰქონდა, როდის ამოიწურებოდა მატჩისთვის განკუთვნილი დრო.

„რენი" კი აუცილებლად უნდა შევაქოთ. ფრანგებმა ლამაზად და კომბინაციურად ითამაშეს და, გულახდილად უნდა ვთქვათ, შესანიშნავი სანახაობით გვასიამოვნეს. მათი მეტოქის ნახევარზე ყველა გადასვლა სახიფათო მომენტით მთავრდებოდა. ასეთი დონის გუნდი საქართველოში დიდი ხანია არ გვინახავს.

„მეტალურგისთვის" კი ევროსეზონი დასრულებულია, ორი ეტაპის გავლით რუსთაველებმა ქართულ ყულაბას თავისი წილი სარეიტინგო ქულები შესძინეს და ესეც საქმეა.

მატჩისშემდგომი პრესკონფერენციები მეტისმეტად მოკლე გამოდგა. არც არის გასაკვირი, ბევრი სათქმელი არც გამარჯვებულს ჰქონდა და არც — დამარცხებულს.

**არმაზ ჯელაძე, „მეტალურგის" მთავარი მწვრთნელი:**

— რა გვეთქმის, ასეთი დონის მეტოქესთან ტოლსწორად სათამაშოდ მზად არ აღმოვჩნდით. ყველა თვალსაზრისით „რენი" „მეტალურგზე" გაცილებით ძლიერი გუნდია. ბევრი ვეცადეთ, მაგრამ ვერაფერს გავხდით.

ჩვენთვის ეს სასარგებლო გაკვეთილია. შევეცდებით, სტუმრადაც ვიბრძოლოთ და შედარებით მისაღებ შედეგს მივაღწიოთ.

**ფრედერიკ ანტონეტი, „რენის" მთავარი მწვრთნელი:**

— ჩემი გუნდის თამაშით ბოლომდე კმაყოფილი არ ვარ, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ეს ჩვენთვის სეზონის პირველი ოფიციალური შეხვედრა იყო, ბიჭების მიმართ საყვედურს ვერ ვიტყვი. შედეგი კი, რაღა თქმა უნდა, შესანიშნავია.

პ.ს. მატჩზე მყოფი პოლიციელების გასაგონად: თუ ფეხბურთზე არასდროს ყოფილხართ, სხვას მაინც დაეკითხეთ, რა და როგორ ხდება. ამ მატჩზე შეგნებულად არ დავჯექი პრესისთვის გამოყოფილ ადგილზე და რიგით გულშემატკივრებში ჯდომა ვარჩიე. მანამდეც ბევრი ითქვა, რომ პოლიციელებს გულშემატკივრებთან მიმართებით ცოტა ზედმეტი მოსდიოდათ. ასე მოხდა ამჯერადაც — ძალიან ბევრი რამ დავინახე ისეთი, რამაც მართლა გამაოცა — პირველ რიგში, წყლის დალევის აკრძალვა. გასაგებია, რომ სტადიონზე ბოთლის შეტანა აკრძალულია, მაგრამ ამ სიცხეში ადამიანი თავისი საყვარელი გუნდის საგულშემატკივროდ რომ მოდის, წყურვილით მოკლა, ცოტა არაადამიანურია. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც უყურებ, რომ მატჩის მთავარი მსაჯი ორჯერ წყვეტს თამაშს და ფეხბურთელებსაც და თავის თავსაც სულის მოთქმის საშუალებას აძლევს. იქ იმისთვის ხართ, რომ წესრიგი დაიცვათ და არა იმის გამო, რომ დებოში ატეხოთ. მსგავსი ფაქტი კი რუსთაველთა მატჩზე მრავლად იყო.

დაიმახსოვრეთ: პოლიციელი, გულშემატკივრისგან განსხვავებით, სტადიონზე სამუშაოდაა მისული და მისი საქმე სკამზე ჯდომა და „სემიჩკის ფურთხება" კი არა, თვალის მოუწყვეტლად ტრიბუნისკენ ყურება და ვითარების კონტროლია.

რაც მთავარია: თუ წყლის დალევა აკრძალულია, რატომ არის დაშვებული მისი გაყიდვა სტადიონის ტერიტორიაზე და თვით ტრიბუნებზეც კი?

გარდა ამისა, გულშემატკივრის ნებაა, ფეხბურთს დამჯდარი უყურებს თუ ფეხზე მდგომი. ამ დროს ადამიანი ემოციაშია და, თუ მის ადგილზე არასდროს ყოფილხართ, ამას ვერასდროს მიხვდებით. ჰო, კიდევ ეს სტადიონია და ალბათ ერთადერთი ადგილი მთელ მსოფლიოში, სადაც გინება „მოსული პონტია". ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, მსაჯის გინების გამო მსოფლიოში ვინმე დაეჭირონთ და მაინცდამაინც, თუ თქვენ გინდათ, პირველები იყოთ, მგონი, არაფერი გამოგივათ. პირიქით, გულშემატკივართა აბობოქრებულ ტალღასთან მოგიწევთ „დატაკება".

# „დინამომ" ისლანდიაში პლეი-ოფი დაიბევა

**რეიკიავიკი (ისლანდია) — დინამო (საქართველო) 1:4**

**რეიკიავიკი:** ჰალდორსონი, გ. სიგურდსონი, ოლაფსონი, ფრიდგეირსონი, ბ. სიგურდსონი (ე. ჯონსონი 65), ფინბოგასონი, ორნ ჰაუკსონი (გ. ჯონსონი 75), სნორასონი (იოსეპსონი 80), არნარსონი, გუნარსონი, ბალდვინსონი

**დინამო:** ლორია, ჰომოლა, თომაშვილი, რეხვიაშვილი, კვეკვესკირი (ფირცხალავა 80), ჩისკო (ჯილაური 70), ოდიკაძე, კახელიშვილი, კოშკაძე, იაგუე, კოტო (ლექვთაძე 65)

**გოლები:** ბალდვინსონი (2), 1:1 კახელიშვილი (38), 1:2 იაგუე (50), ჩისკო (61, პენ), ლექვთაძე (67)

ისლანდიურ მატჩი „დინამომ" ორრაუნდიანი მატჩის ბედი გადაწყვიტა. თუმცა, სასიამოვნო ის უფროა, რომ მოკლე ხანში სერიოზულ პროგრესს განიცდისს. ალექს გარსიას შეგირდები გაცილებით გააზრებულ ფეხბურთს თამაშობენ, ვიდრე ამას ბოლო პერიოდში ახერხებდნენ.

ყველაზე ცუდი ის არის, რომ ამ ყველაფრის ნახვის საშუალება არ მოგვეცა და ზემოთ ნათქვამ სიტყვებს ისევ ისლანდიური ვებგვერდების ცნობით ვაკეთებთ. მთელი მსოფლიო პროგრესს განიცდის, ჩვენ კი საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის თამაშზე ანალიზის გაკეთება მხოლოდ მეტოქე გუნდის ქვეყნის ინტერნეტპორტალების საშუალებით გვიხდება. 21-ე საუკუნეში კი მსგავსი რამ არ უნდა გვიხდებოდეს.

— კრ-ს საფეხბურთო გაკვეთილი ჩაუტარეს და ამით ჩვენი ევრომოგზაურობა დასრულდა, — ვკითხულობთ ერთ-ერთ ისლანდიურ ვებგვერდზე და ადვილი მისახვედრია, რომ „კრ" კლუბ „რეიკიავიკის" შემოკლებული სახელია და ფანები ყველაზე ხშირად ასე უწოდებენ მათ კლუბს.

ისევ ინტერნეტპორტალების მეშვეობით კიდევ ის ვიცით, რომ ისლანდიელები „არასტუმართმოყვარედ" დაგვხვდნენ, გამარჯობის თქმა არ გვაცალეს და უკვე მე-2 წუთზე გუდიონ ბალდვინსონმა ლორიას კარში გოლის გატანა მოახერხა. ასეთი ცუდი დასაწყისის შემდეგ ძნელი იყო იმის წარმოდგენა, რაც შემდეგში მოხდა, თუმცა...



ისლანდიური ვებგვერდების ცნობით, მალე ანგარიშში 2:0 უნდა გამხდარიყო, მაგრამ მასპინძლებმა შანსი ვერ გამოიყენეს და თავადვე აღიარებენ, რომ ამის შემდეგ მოედანზე ერთი გუნდი „დომინირებდა" და ეს თბილისის „დინამო" იყო.

ქართველთა საპასუხო გოლს კი ნახევარ საათზე მეტი დააგვიანდა. 38-ე წუთზე თავი გიორგი კახელიშვილმა გამოიჩინა — 1:1 და ტაიმიც ასე დასრულდა.

მეორე ტაიმში საყაიმო ანგარიშმა მხოლოდ 5 წუთი გაძლო — ისლანდიელთა თქმით, ოდიკაძეს საოცრად კარგი პასი გაუკეთებია იაგუესთვის და ესპანელი ლეგიონერი უკვე მეორე თამაშია თანაგუნდელს გარჯას უფასებს — 1:2.

ზუსტად 10 წუთში მასპინძელთა კარში პენალტი დაინიშნა, რომლის დარტყმა ამჯერად ოდიკაძის ნაცვლად ჩისკომ ითავა და — 1:3.

მე-4, „რეიკიავიკის" გამანადგურებელი გოლი ირაკლი ლექვთაძემ მოედანზე შესვლისთანავე, პირველი შეხებით გაიტანა — 1:4.

„დინამომ" ძალზე იოლად დაამარცხა ისლანდიის ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი და ამ მატჩმა შორეული 1981 წელი გაგვახსენა, როდესაც „დინამომ" ასევე სტუმრად და ამავე ანგარიშით ინგლისური „ვესტ ჰემი" დაამარცხა. თუმცა, იმ წელს დინამოელებმა თასების მფლობელთა თასის მოპოვება შეძლეს, წელს კი...

თუმცა, არ გვინდა, ყველაფერი ნოსტალგიურ ნოტზე დავასრულოთ და ისევ ისლანდიურ პრესას გადავავლოთ თვალი:

— დარჩენილ დროში კრ-მ ვერაფერი შექმნა. ის კი არა, ქართველებს უნდა ვუმადლოდეთ, რომ მათ მეხუთეც არ გაგვიტანეს, — წერს იქაური მედია.

— უეფას ვებგვერდის მიხედვით, „რეიკიავიკმა" 8-ჯერ დაარტყა კარში ზუსტად, „დინამომ" — 7-ჯერ, ჩვენებმა 6 კუთხური მოაწოდეს, მეტოქემ — 2, „დინამო" მხოლოდ 12-ჯერ დაჯარიმდა, „რეიკიავიკი" — 15-ჯერ.

**მატჩის შემდეგ:**

**გიორგი ნემსაძე, „დინამოს" სპორტული დირექტორი:**

— მატჩამდე საკმაოდ ფრთხილ პროგნოზებს ვაკეთებდით და ყოველივე ეს შეხვედრამაც დაადასტურა. „რეიკიავიკი" სერიოზული მეტოქე აღმოჩნდა. იმის მიუხედავად, რომ ჩრდილოევროპული გუნდია, ბურთსაც კარგად „აგორებდნენ" და მატჩის დასაწყისშიც მძლავრად შემოგვიტიეს, „დინამომ" სწორედ ის ფეხბურთი დაუპირისპირა მეტოქეს, ქართველი გულშემატკივრისთვის ყველაზე მისაღები რომ არის — ტექნიკური და მოკლე პასებზე აწყობილი. ამ ქართულ-ესპანურმა სათამაშო სტილმა კი ის შედეგი გამოიღო, რომ მატჩის ბოლომდე სრულ უპირატესობას ვფლობდით და 4:1-ის მერეც რამდენიმე კარგი მომენტი გვქონდა. მოკლედ, ეს ის შემთხვევაა, როცა შედეგითაც და თამაშის ხარისხითაც ყველა კმაყოფილი ვართ.

# რუმენიგე და „ბაიერნი" ფიფას წინააღმდეგ

**დასაწყისი მე-16 გვერდზე**

მე მზად ვარ რევოლუციისთვის და ვფიქრობ, რევოლუცია ამ უმსგავსობის დამარცხების ერთადერთი გზაა, — განუცხადა რუმენიგემ ინგლისურ გაზეთ „გარდიანს".

„ბაიერნის" ბოსის აზრით, ერთდროულად ამდენი კორუფციული სკანდალი უკვე ნამეტანია, რომლის მოთმენაც ფეხბურთის წინაშე დიდი დანაშაული იქნება. რუმენიგეს აზრით, მოვიდა დრო, ფიფას კორუმპირებული ჩინოვნიკების წინააღმდეგ მთელმა საფეხბურთო სამყარომ აიმაღლოს ხმა, თუმცა, იმასაც ამბობს, რომ ამ სიბინძურისთვის ბოლოს მოღება ყველას არ ენდომება, რადგან რეაქცია ჯაჭვურია და კორუფციულ სკანდალში ძალიან ბევრი ვინმეა გარეული.

— როცა ხედავ, რომ რაღაც ვერ არის წესრიგში და ბინძურად კეთდება, შენი ვალია, ჩაერიო და სიტუაცია უკეთესობისკენ შეცვალო. ფიფაში და ფიფას გარშემო გაბატონებული კორუფციით მხოლოდ მიუნხენის „ბაიერნი", გერმანული ფეხბურთი, ჩვენი ქომაგები და სხვა სუფთა საფეხბურთო სტრუქტურები კი არ ზარალდებიან, არამედ ისინიც, ვინც უშუალოდ დამნაშავეა, რადგან ჭაობი მუდმივად ღრმავდება. ასე რომ, სასწრაფოდ რამე თუ არ შევცვალეთ, ძალიან მალე ფეხბურთი დაკარგავს იმას, რამაც სპორტის ეს სახეობა უპირველესად აქცია. ზეპ ბლატერი ამბობს, რომ ყველაფრის დალაგება და გამოსწორება უნდა, მაგრამ, თუნდაც ის ფაქტი, რომ მისი არავის სჯერა, უკვე საკმარისად სერიოზული საბუთია იმისა, რომ რევოლუციაზე იფიქრო და იზრუნო. ჩემი აზრით, სალაპარაკო ბევრი აღარაფერია. ფეხბურთს ყველა სიბინძურე უნდა მოვაშოროთ. დღითიდღე ვრწმუნდები იმაში, რომ ფიფას შეფებისთვის დღეს ის უფრო მნიშვნელოვანია, სად გაიმართება მომდევნოს მომდევნო მუნდიალი, ვიდრე ის, რომ ფეხბურთმა თავისი სახე და პოპულარობა შეინარჩუნოს. ცალკე სალაპარაკო თემაა ისიც, რომ ფიფა საერთოდ აღარ სცემს პატივს საკლუბო ფეხბურთს, არადა, კლუბები ფიფას შემოსავლის ერთ-ერთი უმთავრესი წყაროა.

**მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა**

# ალექს ფერგიუსონი: „ისევ პატარა ბავშვივით ვხარობ“

**ალბათ ფეხბურთის გულშემატკივართათვის არ იქნება საჭირო, სერ ალექს ფერგიუსონის შრომის წიგნაკში ჩაიხედოს. შოტლანდიელი სპეციალისტი ამ წლის ბოლოს „მანჩესტერში“ მუშაობის 25 წლისთავს აღნიშნავს. არც მის მიერ მოპოვებულ ტიტულებზე გავამახვილებთ ყურადღებას.**

ამ მწვრთნელმა ნათლად დაამსხვრია უაზროდ გამონათქვამი სტერეოტიპი — კარგი მწვრთნელი ერთ გუნდში დიდხანს არ უნდა ჩერდებოდეს. თუკი სერ ალექსი მანჩესტერულ კლუბში 25 წელია მუშაობს, მასზე აუგის თქმა მხოლოდ საქმეში ჩაუხედავ კაცს თუ შეეძლება.

ფერგიუსონი კვლავინდებურად ენთუზიაზმით უძღვება ოლდტრაფორდელთა მწვრთნელობას და კიდევ ერთი ახალი სეზონისთვის ემზადება.

*— ახალი სეზონი როგორ გესახებათ? გუნდში ბევრი სირთულე დაგროვდა?*

— ძირითადი შემადგენლობის 5 ფეხბურთელი — ბრაუნი, ო□ში, ვან დერ სარი, სქოულზი და გარი ნევილი — წავიდნენ. ერთი შეხედვით, ეს აუნაზღაურებელი დანაკლისია და კითხვაც ამგვარად დამისვით, მაგრამ ამ ბიჭების სრულფასოვნად შემცვლელებს ვეძებთ. დაგვიბრუნდნენ განათხოვრებული კლევერლი და უელბეკი, შევიძინეთ დავიდ დე ხეა, ეშლი იანგი და ფილ ჯონსი. სადღეისოდ გუნდში 11 ფეხბურთელი გვყავს, რომელთაც 22 წელი ჯერ არ შესრულებიათ. ასე რომ, ახალი გუნდის შენებას შევუდექით. ისეთი გამოცდილი მოთამაშეები, როგორებიც ნემანია ვიდიჩი, პატრის ევრა და რიო ფერდინანდი არიან, კვლავინდებურად მონდომებით რომ ემზადებიან ჩვენთან ერთად და ახალგაზრდებს მონდომებისა და ოსტატობის მაგალითს უჩვენებენ. საგანგებოდ უნდა აღვნიშნო 37 წლის რაიან გიგზის ენთუზიაზმი, აგრეთვე მაიკლ კერიკისა და მაიკლ ოუენის დაუცხრომელი სურვილი. ჩემ მიერ ჩამოთვლილ გამოცდილ მოთამაშეებთან გვერდიგვერდ ყოფნის პირობებში ახალგაზრდა მოთამაშეები კლასს კიდევ უფრო აიმაღლებენ. გუნდში მშვენიერი ატმოსფეროა, ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრების სურვილი კი ფეხბურთელებს მონდომებით წვრთნისკენ უბიძგებს.



*— მალე 25 წელი შესრულდება, რაც „მანჩესტერ იუნაიტედის“ მთავარი მწვრთნელი ხართ.*

— ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი თარიღი „ოლდ ტრაფორდზე“ მუშაობის 10 წლის იუბილე გახლდათ. მას შემდეგ კი წლები ისე სწრაფად გარბიან, უკან მოხედვისა და სამუშაოს შეჯამების დროს არ მიტოვებენ. ერთია, კვლავინდებურად წინ ვიხედები და გუნდს სამომავლო წარმატებებისთვის ვამზადებ.

*— წლის ბოლოს 70 წელი შეგისრულდებათ. ფეხბურთიდან წასვლის დრო ხომ არ დაგიდგათ?*

— ჯერჯერობით ამაზე არ ვფიქრობ.

*— რამდენიმე ხნის წინ რობერტო მანჩინიმ განაცხადა, რომ თქვენი შურს — სერ ალექსი ისეთივე ემოციით აღნიშნავს თავისი გუნდის ნებისმიერ გოლს, როგორც 1986-ში, როცა მთავარ მწვრთნელად ახალი დანიშნული იყოო. „მანჩესტერის“ წარმატება კვლავინდებურად ზუსტად იმავე გრძნობას აღძრავს თქვენში, როგორც 25 წლის წინ?*

— ასეა. ისევ პატარა ბავშვივით ვხარობ, როცა ჩემი გუნდი მნიშვნელოვან ბურთს გაიტანს. ემოციური ადამიანი ვარ და ამას ჟამთასვლა ვერ შეცვლის, თანაც შოტლანდიელი ვარ და ჩემს ხალხს საკუთარი განცდის დამალვა არ სჩვევია.

*— შემადგენლობის რადიკალური ცვლილება პრობლემებს არ შეგიქმნით?*

— არა. ერთადერთი, მეკარის პოზიცია მადარდებს. დე ხეა უნიჭიერესი მეკარეა და ესპანეთის პრიმერა დივიზიონში თამაშის გამოცდილებაც აქვს, მაგრამ ინგლისური პრემიერლიგა თავისებურ სპეციფიკას მოითხოვს და დე ხეას საადაპტაციოდ დრო დასჭირდება. მის შესაძლებლობებში კი ეჭვი ოდნავადაც არ მეპარება — ღრმად მწამს, დე ხეა ჩვენი უპირველესი მეკარე დიდი ხნით გახდება.

*— გულშემატკივრები და სპეციალისტები პროგნოზირებენ, რომ ახალ სეზონში ჩემპიონობისთვის მებრძოლ გუნდთა რაოდენობა გაიზრდება.*

— სრულად ვეთანხმები მათ თვალსაზრისს. „ლივერპული“ და „სიტი“ კიდევ უფრო მომძლავრდნენ, „არსენალი“, ტრადიციულად, ოპონირებას გვიწევს. „იუნაიტედი“ მზადაა, ნებისმიერი კლუბის გამოწვევა მიიღოს.

*— რას ფიქრობთ „ჩელსის“ ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებაზე გუნდის მთავარ მწვრთნელად 33 წლის სპეციალისტის დანიშვნის თაობაზე?*

— ჩემთვის ეს სიურპრიზი გახლდათ. თავად მწვრთნელობა 32 წლისამ დავიწყე, თუმცა, ჩემთან შედარებით, ანდრე ვილაშ-ბოაში გაცილებით უკეთეს მდგომარეობაშია. როცა დამრიგებლობას ვიწყებდი, ასისტენტად ერთადერთი ადამიანი, ფიზმომზადების მწვრთნელი მყავდა, პორტუგალიელს კი სამწვრთნელო შტაბში უამრავი გამოცდილი ადამიანის მიწვევის საშუალება აქვს. ამასთან, ანდრეს პრემიერლიგის ყველაზე „ხანდაზმულ“ გუნდთან მოუწევს მუშაობა. დროგბას, ტერის, ლამპარდს, ჩეხს, კოულს უზარმაზარი გამოცდილება აქვთ დაგროვილი და ვფიქრობ, ისინი ვილაშ-ბოაშს დახმარებას გაუწევენ.

*— წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალში „ბარსელონასთან“ დამარცხდით. პეპ გვარდიოლას გუნდი მართლა ერთი თავით ყველაზე მაღლა დგას?*

— ამაზე საუბარი არ მსურს. ჩვენი მიზანი მომავალ წელს მიუნხენში ჩასატარებელ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლაა.

*— „ალიანს არენაზე“ კვლავ „ბარსელონა“ რომ დაგიპირისპირდეთ, რევანშის აღების შანსი გექნებათ?*

— წლევანდელი ფინალი კარგად გავაანალიზეთ — დღეს მხოლოდ ამ პასუხით შემოვიფარგლები.

*— პოლ სქოულზის შემცვლელად რომელ ფეხბურთელს მიიჩნევთ?*

— ამ საკითხში ჯერჯერობით ჩამოყალიბებული არ ვარ. სეზონის დაწყებამდე რომელიმე მოთამაშეს შევარჩევ.

*— რა ხდება ვესლი სნეიდერის „ოლდ ტრაფორდზე“ გადასვლასთან დაკავშირებით? მართალია, რომ თითქოს „ინტერი“ ბევრ დაბრკოლებას გიქმნით?*

— სნეიდერთან დაკავშირებით ჩახლართული სიტუაციაა. სადღეისოდ მეტის თქმას ნუ მაიძულებთ.

# ზინედინ ზიდანი: „დრო წარმოუდგენლად და დაუნდობლად ჩქარა გარბის“

გულშემატკივართა საკმაოდ დიდი ნაწილისთვის პლანეტის ახლო წარსულის საუკეთესო ფეხბურთელი ზინედინ ზიდანი მადრიდის „რეალის“ საფეხბურთო დირექტორი გახდა.

„ზიზუს“ ინტერვიუ კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.



*— რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ზინედინ ზიდანს მადრიდის „რეალისთვის“?*

— ყველაფერს დრო გვიჩვენებს. თუმცა, ვიტყვი, რომ კარგად ვიცნობ სამეფო კლუბს, ვიცი და მესმის მისი ღირებულებები. გუნდში მრავლად არიან ახალგაზრდა ფეხბურთელები, რომლებიც, ღრმად მწამს, მსოფლიოს ერთ-ერთ გრანდს ისინი დიდ სამსახურსაც გაუწევენ. დარწმუნებული ვარ, გუნდის თამაშში საკუთარ განუმეორებელ შტრიხებსაც შეიტანენ.

*— თქვენს სპორტულ დირექტორად დანიშვნას მოთამაშეები როგორ შეხვდნენ?*

— დადებითად რომ გიპასუხოთ, ჩემგან არასწორი იქნება. სამწვრთნელო შტაბსა და ფეხბურთელებთან გულღია და საქმიანი კავშირი მაქვს.

*— მოურინიოს სამწვრთნელო პოტენციალზე რა აზრის ხართ?*

— წლების განმავლობაში „რეალს“ ზუსტად ისეთი მწვრთნელი აკლდა, როგორიც მოურინიოა. მოურინიო ზედმიწევნით ზუსტად ერკვევა საფეხბურთო ნიუანსებში და მისი რაციონალური და სწორი ხედვა აქვს. ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია ნებისმიერი მწვრთნელისთვის. რაც მთავარია, პორტუგალიელი მტკიცე ხასიათითა და ნერვებით გამოირჩევა. ამასთან, მან კონკრეტულად იცის, რა მიზანი უნდა დაუსახოს ამა თუ იმ ფეხბურთელს ან მთლიანად გუნდს და როგორ მიაღწიოს დაგეგმილს. ზუსტად ამგვარი მწვრთნელი გვჭირდებოდა „სანტიაგო ბერნაბეუზე“. სადღეისოდ „რეალი“ კარგადაა დაკომპლექტებული და მზადაა იმ შედეგის მისაღწევად, რომელსაც მისგან ერთგული გულშემატკივარი ითხოვს. მოურინიო მასზე დაკისრებულ ამოცანას თავს პირნათლად გაართმევს.

*— ამის თქმის საფუძველს ისიც ხომ არ გაძლევთ, რომ, როგორც წესი, მოურინიო გუნდთან მუშაობისას უკეთეს შედეგს მეორე სეზონში აღწევს ხოლმე?*

— ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ მოურინიომ „რეალში“ სადებიუტო წელი ჩააგდო. ჩვენთან კარგად ვიცით, რა სირთულეები გვიშლის ხელს სასურველი შედეგის მიღწევაში და მათ გადასალახად არაფერს დავიშურებთ. „რეალმა“ ყოველი კონკრეტული მატჩი და ტურნირი უნდა მოიგოს. ჟოზე მოურინიოსთან ერთად ამას შევძლებთ.

*— ამას წინათ „რეალის“ მწვრთნელმა განაცხადა, რომ გუნდის სრულად დასაკომპლექტებლად მას ერთი მაღალი კლასის თავდამსხმელი აკლია.*

— ჩემი აზრით, „რეალი“ უკვე მშვენივრადაა დაკომპლექტებული. თუმცა, ერთიცაა — მთავარმა მწვრთნელმა ყოველთვის ყველაზე უკეთ იცის თავისი გუნდის შემადგენლობის ძლიერი და სუსტი მხარე. ჟოზეს სეზონის დაწყებამდე არაერთხელ დაველაპარაკებით და ერთობლივ გეგმასაც დავსახავთ.

*— გუნდმა ახალი სეზონისთვის ლისაბონის „ბენფიკას“ 23 წლის უკანახაზელ ფაბიო კოენტრაოში 30 მილიონი ევრო გადაიხადეთ. ზედმეტად ძვირი ტრანსფერი ხომ არაა?*

— არანაირად. კოენტრაოს რამდენიმე თამაში მაქვს ნანახი და მისი „რეალში“ მოყვანის სანაცვლოდ გაღებულ ფულს გადაყრილად არ ვთვლი. როდესაც „რეალი“ ამა თუ იმ ფეხბურთელს ყიდულობს, ყოველთვის ხაზგასმით ამბობენ, რომ კლუბმა არანორმალურად დიდი ხარჯი გასწია. მაგრამ იწყება სეზონი და ნებისმიერი შეძენილი მოთამაშე ამტკიცებს, რომ ხელმძღვანელობა და მწვრთნელები არ შემცდარან.

*— მოურინიოს აზრი, ასე თუ ისე, ვიცით. პირადად თქვენ რას ფიქრობთ „რეალის“ შემადგენლობაზე?*

— ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი გვყავს. ისინი მონდომებული არიან, რაღაც ახალიც შეისწავლონ და სათამაშო კლასიც აიმაღლონ. მთავარი კი ისაა, რომ მათ კარგად ესმით „რეალის“ სრულფასოვანი წევრობის მნიშვნელობა და პასუხისმგებლობა. ურთულესი სეზონი გველის. როგორც საშინაო, ასევე საერთაშორისო არენაზე მხოლოდ უმაღლესი შედეგისთვის ვიბრძოლებთ. „რეალს“ საამისო პოტენციალიც აქვს და ძალაც შესწევს.

*— შარშანდელთან შედარებით მაინც რის ხარჯზე მომძლავრდა „რეალის“ შემადგენლობა?*

— განხორციელებული ტრანსფერების წყალობით შუა ხაზიც გაძლიერდა და შეტევითი პოტენციალიც. ამაში ყველანი სეზონის მსვლელობისას დავრწმუნდებით.

*— შარშან მადრიდის „რეალმა“ მხოლოდ ესპანეთის „სამეფო თასი“ მოიგო. როგორ ფიქრობთ, გუნდი მეტს იმსახურებდა?*

— დიახ, ასეა. გადახედეთ პრიმერა დივიზიონის სატურნირო ცხრილს. 38 მატჩში გუნდმა 92 ქულა დააგროვა და ყველაზე მეტი — 102 გოლი გაიტანა. მომავალ სეზონში კიდევ უფრო უკეთესად თამაშს ვგეგმავთ და, ცხადია, მხოლოდ ჩემპიონობა დაგვაკმაყოფილებს. მიმდინარე წინასასეზონო მზადებისას ამის ფუნდამენტს ვქმნით.

*— 2012-ში 10 წელი ხდება მას შემდეგ, რაც მადრიდის „რეალმა“ მეცხრედ და ჯერჯერობით უკანასკნელად მოიპოვა ჩემპიონთა ლიგის თასი. თანაც ეს თქვენი უშუალო მონაწილეობით მოხდა — ლევერკუზენის „ბაიერს“ ულამაზესი გოლი გაუტანეთ.*

— დრო წარმოუდგენლად და დაუნდობლად ჩქარა გარბის. იმედია, წელს ჩვენს ერთგულ გულშემატკივარს ტიტულებით გავახარებთ. გულით გამიხარდება, თუკი რომელიმე მადრიდელი ფეხბურთელი იმაზე უფრო მნიშვნელოვან და ეფექტურ გოლს გაიტანს, რომელიც თქვენ ახსენეთ.

*— ბოლო კითხვას დაგისვამთ — როგორი განწყობით ხვდება ახალ სეზონს მადრიდის „რეალის“ საფეხბურთო დირექტორი?*

— ყოველდღიურად ვესწრები გუნდის საწვრთნელ პროცესს. ფეხბურთელების მონდომება, ვარჯიშების ინტენსივობა და მწვრთნელების კვალიფიკაცია ოპტიმისტურად განმაწყობს.

# ლუის სესარ მენოტი: „მოურინიოს მსგავსი ძალიან ბევრია, გვარდიოლა კი ერთადერთია“

ლეგენდარულმა მწვრთნელმა ლუის სესარ მენოტიმ ესპანურ „ელ პაისს“ ინტერვიუ მისცა, სადაც ბევრ საინტერესო ამბავზე ილაპარაკა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მენოტიმ ერთმანეთს შეადარა ხოსეპ გვარდიოლა და ჟოზე მოურინიო, რაც, დაგვეთანხმებით, სადღეისოდ ყველაზე აქტუალური თემაა.

**მენოტი:**

— ამას წინათ ჩემი მეგობარი ესპანეთში გაემგზავრა, მადრიდში ის მოურინიოს ვარჯიშს დააკვირდა, შემდეგ კი პეპ გვარდიოლას მიერ ჩატარებულ პროცესსაც დაესწრო. მან მითხრა, რომ ეს ვარჯიშები, პრაქტიკულად, ერთნაირია. პრინციპში, ისინი სტილით ძალიან ჰგვანან ერთმანეთს, აი, მინდორზე კი, მაშინ როცა ნამდვილი დრო დგება, მათ საერთო უკვე აღარაფერი აქვთ. ისეთი, როგორიც მოურინიოა, ძალიან ბევრია, გვარდიოლა კი ერთადერთია. „ბარსელონამ“ და ესპანეთის ნაკრებმა ფეხბურთში დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ, რისთვისაც მათი მადლობელი ვარ. ლუის არაგონესმა, ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტა, ჯობია, ტორერო გახდე, ვიდრე ხარი. პეპს მოურინიოსთან ერთი უმთავრესი უპირატესობა აქვს — წარსული. გვარდიოლას გონებაში არის ის დეტალები, რაც მას წარსულშიც ეხმარებოდა და ახლაც ასე ხდება, ხოლო ვისაც ეს წარსული არ აქვს, მისი დღევანდელობაც ცარიელი ფურცელია. მადრიდელები ყიდულობენ და ყიდულობენ საუკეთესო ფეხბურთელებს. ბოლოს შეიძლება ისე მოხდეს, რომ ყველა საუკეთესო მართლა შეკრიბონ. მათ შეეძლებათ სუპერკლასიკოს მოგება, მაგრამ ის 5:0 „კამპ ნოუზე“ ყველას სამუდამოდ დაამახსოვრდება. ხანდახან მეჩვენება, რომ ცხოვრებაში ასეთი თამაში არასოდეს მინახავს. ამ შეხვედრამ მოკლა მოურინიო და მას ეს დღე ცხოვრების ბოლომდე ემახსოვრება.

*— ნოემბრის კლასიკოს შემდეგ თქვენ ამბობდით, რომ მოურინიოს შეეშინდა.*

— ჩემს რაიონში ასეთ რამეს შიშისგან ჩასვრას უწოდებენ. მას მომდევნო კლასიკოში ისე შეეშინდა, როცა იგუაინი, ადებაიორი, ბენზემა და კაკა სათადარიგოთა სკამზე დატოვა. ეს ყველაზე დიდი ლაჩრობა იყო, რაც კი გრანდების ისტორიაში მომხდარა, „რეალისთვის“ კი ის საერთოდ გაუგონარი რამე იყო.

*— როგორი შეგრძნება იყო, როცა მოწევას თავი დაანებეთ?*

— ცუდი! მეუბნებოდნენ, რომ კრიზისი ერთი თვე გაგრძელდებოდა, შემდეგ კი... არაფერი ამის მსგავსი. სულ უფრო მეტად და მეტად მინდებოდა, რომ უფრო მეტი მომეწია, ვიდრე ვეწეოდი. ექიმები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ჩვენი ცხოვრება რაც შეიძლება ხანგრძლივი იყოს და შედარებით ნაკლებად მომხიბლავი. ისინი ამახინჯებენ ჩვენს ცხოვრებას, აი, რას აკეთებენ ისინი. ქირურგებზე კიდევ საერთოდ ხმას არ ამოვიღებ. მათ აქვთ რაღაც უცნაური მანქანები, გაიხედავ, გამოიხედავ და უკვე ნაოპერაციევი ხარ. დამთავრდა ღრმა და ხანგრძლივი მეგობრობის ეპოქა. ახლა ხანდახან სისხლს საოპერაციოშიც კი ვერ დაინახავთ.

*— ოპერაციის შემდეგ თავს როგორ გრძნობდით?*

**08.00** ან. ფილმი "პუმბა და ტიმონი" **08.30** საბ. ფილმი "მიუზიკლი, სიყვარული, სპორტი 2" **09.00** ქრონიკა **10.30** თამაზ კვაჭანტირაძის სასიტყვეთი **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ან. ფილმი "ვინი ჰუპის თავგადასავალი" **11.45** სერ. **"შუა ქალაქში"** **12.35** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **14.30** რემონტი **15.00** ბათუმი ლაივი **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **20.30** სპეც. რეპორტაჟი **21.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **22.00** იუმორინა **00.15** ყოფილი ცოლების კლუბი **01.30** სერ. **"გამომძიებელი ქალები"** (12) **02.45** მხ. ფილმი **"ევროპელი ჟიგოლო"** (12) (რ. შნაიდერი) (სუბტ.) **04.05** მხ. ფილმი **"შარადა"** (ო. ჰეპბერნი) (სუბტ.)

**08.00** მხ. ფილმი **10.00** ანიმაცია "ტომი და ჯერი" **11.00** ფარული კამერა **11.30** პულსი **12.00** სერ. **"მეათე სამეფო"** **13.00** "იმედის ფსონი" პირდაპირი **14.10** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **17.30** მხ. ფილმი **19.30** მხ. ფილმი **21.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **05.00** მხ. ფილმი

**08.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30** "დრო" **09.00, 23.00** სერ. **"სოფია ცოტა მადროვე"** **09.30** ესტაფეტა **10.00** დილის ტალღა **12.00** ფერისცვალება **12.30, 21.00** სერ. **"სინდისის საკითხი"** **13.15** სერ. **"მეგობრები"** **15.00** სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** **16.00** დოკ. ფილმი **18.00** დოკ. ფილმი **19.00** ქარფ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება

**08.30** ჩვენი ფონდი **08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **09.05** განთიადი (კოლაჟი) **10.05, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.25** ჟურნალისტის დღიური **10.50** კვირიაკე **12.15** მხ. ფილმი **"ყველაზე სწრაფები მსოფლიოში"** **13.30** პერსპექტივა **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.20** ოპერა **"სტეფალიო"** **17.30** დოკ.ფ."ველური ბუნება" **18.05** სატ. არქივიდან **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** ქართული ალბომი **19.35** მხ.ფ.**"შეხვედრა მთაში"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** კარაბადინი **22.20** თბილისის ტაძრები **22.30** მოკ. ფ. **"მეზობლები"** **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** "შარავანდედი" **00.35** მხ. ფილმი **"რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე"**

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

## კვირა 7 აგვისტო

**08.00** პლანეტა ბასტიბუბუ **10.00** საბ. ფილმი **"შრეკი 3"** **12.00, 16.00, 20.00, 03.25** მოამბე **12.15** მხ. ფ. **"პატარა ელფი"** **14.00** ჩვენი ფერმა **14.30** სი ბემოლი **15.30** მოგზაურთა დღიური **16.15** ჩვენი ეზო **17.30** ვაშინგტონი დღეს **18.00** კონცერტი: პ. ბურჭულაძე და თ. ივერი **20.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **20.45** **ფეხბურთი**. საქ. ჩემპიონატი. 1-ლი წრე: "ტორპედო" – "ზესტაფონი" **22.00** დოკ. ფილმი "რაგბიში მსოფლიო ჩემპიონატის კლასიკური მატჩები" **00.00** "კავკასუს ლაივი" **01.00** მხ. ფილმი **"სეიფების გამტანი"** (ე. ნორტონი) (სუბტ.) **03.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **04.30** ვ. სანაიას რეპორტაჟი **05.30** მხ. ფილმი **"ჩინური უბანი"** (12) (სუბტ.)

**08.00** დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" **09.00** ბრიფინგის დროით **10.00** თავისუფალი ტრიბუნა **15.00** სპექტაკლი **"მამა"** **17.00** ისტორია **18.00** დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" **19.00** საუკუნის პორტრეტები **20.00** ვ. სანაიას რეპორტაჟი **21.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **21.30** კონცერტი: გ. სალარაძის საღამო **23.00** მხ. ფ. **"ჩინური უბანი"**

**08.00** "კურიერი პ.ს." დაიჯესტი **08.30** სერ."ლეგენდა მაძიებელზე" **11.00** გუნდი **11.30** მულტფილმი "მხიარული ფერმა" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.30** ვაკანსია **13.00** მხ. ფილმი **15.20** სერ. **"სიამაყე"** **17.25** ავტომარიაჟი **18.30** სიცილის ზონა **19.00** ეკი-ვოკი **20.00** ეთამაშე ვარსკვლავს **21.00** კომედი შოუ **22.00** სერ. **"სამხრეთის დედოფალი"** **23.00** კონცერტი – "სუხიშვილები" **00.00** მხ. ფილმი (სუბტ.) **02.20** მხ. ფილმი (სუბტ.)

**08.00** ან. ფილმი "პუმბა და ტიმონი" **08.30** მხ. ფ. **"დიდი ბავშვი"** **09.00** ქრონიკა **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ან. ფილმი "ვინი ჰუპის თავგადასავალი" **11.45** სერ. **"რობინზონ კრუზოს საოცარი თავგადასავალი"** **12.35** სერ. **"უკანასკნელი მოწმე"** მე-3ს. **14.30** სერ. **"პომპეი"** **15.00** საბ. გადაცემა "თავდაყირა" **17.40** "დათა თუთაშხია" 1-ლი ს. **19.05** იუმორინა **20.15** იმედის გმირები **20.30** მუსიკალური ლიგა **22.00** მხ. ფილმი **"აგვისტოს 5 დღე"** (12) **00.00** ღამის შოუ **01.00** სერ. **"გამომძიებელი ქალები"** მე-10ს. (12) **02.10** მხ. ფილმი **"ლამაზი მერის ამბავი"** (12) (კ. დიასი) (სუბტ.) **04.05** მხ. ფილმი **"ვარსკვლავის დაბადება"** (ჰ. დაფი) (სუბტ.)

**08.00** მხ. ფილმი **10.00** ანიმაცია "ტომი და ჯერი" **11.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **11.30** პულსი **12.00** სერ. **"მეათე სამეფო"** **13.00** "იმედის ფსონი" პირდაპირი **14.10** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **15.30** მხ. ფილმი **18.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **19.00** ფარული კამერა **20.00** მზის კინოკლუბი. **23.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **05.00** მხ. ფილმი (სუბტ.)

**08.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30** "დრო" **09.00, 23.00** სერ. **"სოფია ცოტა მადროვე"** **10.00** დილის ტალღა **12.00** ესტაფეტა **12.40, 21.00** სერ. **"სინდისის საკითხი"** **13.00** დოკ. ფილმი **15.00** სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** **16.00** ქართ. ფილმი **18.00** დოკ. ფილმი **19.35** სერ. **"მეგობრები"** **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება

**08.30** თბილისის ტაძრები **08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** საეკლესიო კალენდარი **09.05** განთიადი (კოლაჟი) **10.05, 19.00, 22.00** სიახლენი **10.25** მოკ. ფილმი **"მეზობლები"** **10.50** სატ. არქივიდან **11.35** ქართული ალბომი **12.15** მხ. ფილმი **"შეხვედრა მთაში"** **13.30** ქართული მულტფილმი **13.40** სათავეებთან **14.30** კარაბადინი **15.05** პატრიარქის ქადაგება **15.20** მგზავრები წუთისოფლისა **15.50** მხ. ფილმი **"რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე"** **17.20** სალვთისმეტყველო საუბრები **18.00** პატრიარქის ქადაგება **18.25** დროის ჩანაწერები **19.05** გზა, რომლითაც ვიარე **19.30** მხ. ფილმი **"რობინზონიადა ანუ ჩემი ინგლისელი პაპა"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** კვირიაკე **22.40** დრო და ადამიანები **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** გაცოცხლებული წარსული **00.05** პატრიარქის ქადაგება **00.35** ოპერა **"სტეფალიო"**

# ოჯახი მულმა დამინგრია

**უკვე ორი წელია თეონა საყვარელ ადამიანს დაშორდა. ამ ყველაფერში ის თავის მულს ადანაშაულებს. როგორც თავად ამბობს, მისი ქმრის დამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მათი ოჯახი დაენგრია და თეონა სახლიდან გაეგდო.**



თეონა დიდსულოვანი აღმოჩნდა, რადგან წლების მანძილზე ითმენდა ყველაფერს, რასაც მისი შინაბერა მული კადრულობდა, თუმცა საბოლოოდ მოთმინების ფიალა აევსო და ქმარი არჩევანის წინაშე დააყენა — ან საყვარელი მეუღლე, ან საყვარელი და. ქმარმაც საბოლოოდ არჩევანი დედმამიშვილზე გააკეთა და ცოლს კარისკენ მიუთითა.

**თეონა:**

— უკვე ორი წელია ჩემს ქმარს გავშორდი. მისგან წამოსვლა საშინლად განვიცადე, ეს ჩემთვის ნამდვილად დიდ ტკივილი იყო, მაგრამ მეტის მოთმენა მართლა აღარ შემეძლო. სადამდეც გავუძელი ვითმინე, ბოლოს კი ყველაფერმა ერთად ამომასხა და ჩემი სათქმელიც ვთქვი, რაც, რა თქმა უნდა, ბევრისთვის მოსაწონი არ აღმოჩნდა. შედეგად კი ის მივიღე, რომ ჩემმა საყვარელმა ადამიანმა კარისკენ მიმითითა და ოჯახიდან გამომაგდო.

ხვიჩას სიყვარულით გავყევი. ძალიან მიხაროდა, რომ ჩემი რჩეული ჩემმა ოჯახმაც მოიწონა და ჩემი არჩევანით ყველა კმაყოფილი იყო. მამაჩემს ძალიან ეამაყებოდა, რომ კარგ ადამიანს შევხვდი, ხშირად ამბობდა, ჩემი სიმწრით გაზრდილი შვილი კარგ პატრონს ჩავაბარე და ამაზე დიდი ბედნიერება არც მინდაო. მე და ხვიჩა ერთმანეთს უსიტყვოდ ვუგებდით, ჩვენს შორის უთანხმოება წლების განმავლობაში არ ყოფილა, სანამ ჩემს ცხოვრებაში მისი და არ გამოჩნდა.

***— სად იყო აქამდე მისი და?***

— მისი და წლების განმავლობაში უცხოეთში ცხოვრობდა. მას ვირტუალურად ვიცნობდი. ერთმანეთს ინტერნეტის საშუალებით ვეკონტაქტებოდით და როგორც თავად მწერდა, ძმის არჩევანით საკმაოდ კმაყოფილი იყო. ჩემი მული ჩემს ქმარზე 14 წლით არის უფროსი. ჩემს დედამთილს და მამამთლის შვილი დიდხანს არ უჩნდებოდათ. ჩემი მულის შემდეგ კი მეორე შვილს კიდევ 14 წელი ელოდნენ. მიხაროდა, მულის მოწონება რომ დავიმსახურე და ყველანაირად ვგულშემატკივრობდი. ჩემი მული უკვე იქ მუშაობდა, წლების განმავლობაში იქ ცხოვრობდა და როგორც თავად გვწერდა, საერთოდ არ აპირებდა საქართველოში ჩამოსვლას, პირიქით, ჩვენც თავისთან გვეპატიჟებოდა, აქ მაინც სულ სხვა ცხოვრებაა, ჩამოდით და ერთად კიედვ უფრო ბედნიერები ვიქნებითო.

ჩემი ქმარი თავიდან ძალიან აღფრთოვანებული იყო თავისი დის შეთავაზებით, ხშირად მეუბნებოდა, ჩავიდეთ მაიკოსთან, არაფერს დაგვაკლებს, უკვე დიდი ხანია იქ ცხოვრობს და ჩვენც კარგად დაგვაბინავებსო. თავიდან თითქოს მინდოდა უცხოეთში წასვლა, ჩემი ქმრის იდეაც მომწონდა, მაგრამ შემდეგ თავი შევიკავე, დიპლომატიურად ისე მოვახერხე, რომ ჩემს ქმარს უცხოეთში წასვლა საერთოდ გადავაფიქრებინე.

***— რა იყო ამის მიზეზი?***

— ის, რომ ჩემი მშობლების ასე უპატრონოდ დატოვება არ შემეძლო. მათ ჩემს მეტი არავინ ჰყავთ, ამიტომ ჩემს გარეშე ცხოვრება ძალიან გაუჭირდებოდათ. ჩემი უარი იმითაც გავამართლე, რომ ორსულად ვიყავი და ჩემთვის ასე შორ გზაზე მგზავრობა არაფრით არ შეიძლებოდა. მოკლედ, უცხოეთში ჩვენ წასვლა ჩაიშალა. ჩემი დედამთილ-მამამთილიც გახარებულები იყვნენ, ერთი შვილი რომ გადაგვეკარგა უცხოეთში ის არ გვეყოფა, ახლა კიდევ ჩვენი ნანატრი ბიჭიც წავიდეს ჩვენგანო.

საბოლოოდ დავრჩით საქართველოში. ჩემი მული ისევ აქტიურად გვწერდა, გვირეკავდა, მაგრამ მე საერთოდ არ მკითხულობდა. თავიდან ამისთვის დიდი ყურადღება არ მიმიქცევია, რადგან პატარა მყავდა და მხოლოდ მის მოვლაზე ვიყავი გადართული. მასთან სალაპარაკოდ ისე ხშირად ვეღარ ვიცლიდი და მხოლოდ ჩემს ქმარს ვაბარებდი მოკითხვას.

სრულიად მოულოდნელად, ჩემმა მულმა მოგვწერა ვთხოვდები და ძალიან კარგ ადამიანს მივყვები ცოლადო. ეს ამბავი მართლა გაგვიხარდა, იმიტომ რომ ლამის 40 წელს იყო მიღწეული და მისთვის ოჯახი ახლა უმთავრესი იყო. ვიღაც ბიჭის სურათები გამოგვიგზავნა, ეს არის ჩემი რჩეულიაო. არა უშავდა კარგი კაცი იყო, მაგრამ რატომღაც მიჭირდა იმის დაჯერება, რომ ჩემი მული თხოვდებოდა. ჩემმა ქმარმა მოუბოდიშა, ვერ ჩამოვალ და შენს ბედნიერებას ვერ გავიზიარებ, სამსახურიდან არ მიშვებენო. მასაც არ გაუპროტესტებია, არა უშავს, შენ საქმე არ გაგიფუჭდეს და ქორწილს უშენოდაც ჩავატარებთო.

ქორწილამდე ერთი კვირაც არ იყო დარჩენილი, რომ სრულიად მოულოდნელად ჩემი მული სახლში მოგვადგა. განადგურებული და გაუბედურებული ჩანდა. ადამიანს აღარ გავდა, დედამთილმა რომ ჰკითხა რა დაგემართაო, მწარედ ატირდა. მომატყუეს, ძალიან დამცირებული ვარო. როგორც გავარკვიეთ, ის კაცი ქართველი ყოფილა, რადგან ჩემი მული უკვე უცხოეთის მოქალაქე იყო, მასზე ქორწინება ამიტომაც გადაუწყვეტია, მაგრამ სრულიად მოულოდნელად ამ კაცის ცოლი გამოჩენილა და ისეთი ამბავი აუტეხავს, ჩემი მული სულ თმებით უთრევია. ჩემი ქმრის შებმა როგორ გაბედეო. იქ ამბები ყოფილა, დედა შვილს არ აიყვანდა თურმე. შემეცოდა ჩემი მული, მართლა შემეცოდა, როგორც ადამიანი და პირველ რიგში, როგორც ქალი.

მისი საქართველოში დაბრუნების შემდეგ ჩემი მული ჩვენთან დასახლდა. თავიდან სამსახურს აქტიურად ეძებდა, მაგრამ წესიერი ვერაფერი ნახა, მერე უკვე თანდათან უკლო სამსახურის ძებნას და საბოლოოდ სულ ფეხებზე დაიკიდა. ყოველდღე მარტო მისი სიგარეტის ყიდვას ვერ ავუდიოდით. ორი კოლოფი სიგარეტი არ ყოფნიდა დღეში. ჩემს ქმარსაც არ ჰქონდა ისეთი ბევრი ანაზღაურება, რომ მის ამხელა ხარჯებს გაწვდომოდა. მარტო სიგარეტი არ იყო, სულ ნაირ-ნაირ კერძებს ითხოვდა და ელეიმენტარულ წვნიანს ისე ამრეზით უყურებდა, გული შეგიწუხდებოდათ.

ნებისმიერ წვრილმანზე გამომეკიდებოდა ხოლმე, ასე არ უნდა გააკეთო, ეს არასწორია, არაფერი შენ არ იციო. ისე ტექნიკურად გამომლანძღავდა, აზრზე მოსვლას ვერ ვასწრებდი. ბოლოს მისი პრეტენზიებით რომ დავიღალე, ჩხუბი მოგვივიდა. ვუთხარი, რომ ჩემს საქმეს როგორც მინდოდა ისე გავაკეთებდი და თავისი საქმე თვითონ უნდა სცოდნოდა. ამაზე ხმამაღლა მიყვირა, შენზე ორი წლით მაინც არ ვარ უფროსი, ასე როგორ მელაპარაკებიო.

იმ საღამოს ჩემი ქმრისთვის არაფერი მითქვამს, სამაგიეროდ, ჩემი მული დახვდა გაბუსხუნებული. არ ვიცი მან რამე უთხრა თუ არა, მაგრამ იმ დღის შემდეგ მოსვენება დავკარგე. სულ დაძაბული ვიყავი, ჩემი ქმრისთვივს არაფერი მეწყენინებინა, სულ ვნერვიულობდი, რომ მისი არმოსაწონი არაფერი გამეკეთებინა. ჩემი მული კი ამით სარგებლობდა და დღითიდღე მის თავხედობას საზღვარი არ ჰქონდა. მაიძულებდა ის საქმე მეკეთებინა, რაც ჩემი გასაკეთებელი სულაც არ იყო. მე კი ჩემი ქმრის სიყვარულით და ხათრით ხმას არ ვიღებდი და ამაში შევცდი. თურმე ყველაფერი მოსვლისთანავე უნდა მეთქვა, არაფერი არ უნდა დამემალა, რომ მას სიმართლე ჩემგან გაეგო და არა თავისი საყვარელი დისგან.

სანამ ხვიჩასგან წამოვიდოდი, მე და ჩემმა მულმა ერთადერთხელ და სერიოზულად ვიჩხუბეთ. რაც კი გულში მედო ყველფერი ვუთხარი და ისიც გავუმხილე, თუ გინდა შენი ძმა რომ მოვა, ყველაფერი დაწვრილებით მოუყევი-მეთქი.

ასეც მოხდა. ჩემი ქმარი სამსახუროიდან მოვიდა თუ არა, ჩემი მული მიახტა და ყველაფერი ჩაუკაკლა, მხოლოდ ისე კი არა, როგორც სინამდვილეში იყო, არამედ ისე, როგორც თვითონ აწყობდა.

ჩემს ქმარს ბევრი არ უფიქრია, მითხრა, ასეთი ცოლი არ მჭირდება, შეგიძლია შენი ნივთები ჩაალაგო, კარი აგერ არის და აქედან წახვიდეო. ამის თქმას იმდენად არ მოველოდი, რომ ხმა ვეღარ ამოვიღე. სათქმელიც არ მითქვამს, არც სიმართლე მომიყოლია, რობოტივით ჩვენს ოთახში შევედი, ჩემი ნითვები ავიღე და ჩემს მშობლებთან წამოვედი.

**თიკო ნინიაშვილი**

# რა ჩავიცვათ ზღვაზე?

ზაფხულში, როცა საშინლად ცხელა, უმჯობესია მაქსიმალურად აარიდოთ თავი ჩახურებას. მნიშვნელოვანია, როგორ საცურაო კოსტიუმს, როგორ სამოსს ჩაიცვამთ, რომ თავი სიცხეში კიდევ უფრო ცუდად არ იგრძნოთ.

როცა ახალ საცურაო კოსტიუმს ირჩევთ, უნდა გაითვალისწინოთ, სად აპირებთ მის ჩაცმას — გასარუჯად, წყალში, საცურაოდ, თუ კლუბში, ცეკვის დროს. თუ კლუბში გინდათ საცურაო კოსტიუმით წახვიდეთ, აირჩიეთ მიკროფიბრის ან პოლიამიდისგან დამზადებული ორნაწილიანი კოსტიუმი, რომელიც მორთული იქნება დეკორატიული დეტალებით — თასმებით, აპლიკაციებით ან პლისეთი.

არსებობს საინტერესო დეტალი — ე.წ. „უჩინარი„ სამაგრები ბიუსტჰალტერზე. ისინი მიმაგრებულია გარეგანი ნაკერის გარეშე და მკერდს უზადოდ უნარჩუნებს ფორმას. თუ სიმსუქნის დამალვა გსურთ, შეარჩიეთ მთლიანი ორმაგი საცურაო სამოსი, რომელსაც შიგნიდან კორსეტის ბადე ექნება ჩაკერებული.

გასარუჯად საუკეთესოა მიკრომოდელი, რომელიც მაქსიმალურად აშიშვლებს სხეულს, მაგრამ თუ იდეალური ფორმები არ გაქვთ, უპირაქესობა მიანიჭეთ კლასიკური საფარველის მქონე საცურაო კოსტიუმს, მხოლოდ გაითვალისწინეთ, ის ისეთი ქსოვილისგან უნდა იყოს დამზადებული, რომელიც ატარებს ულტრაიისფერ სხივებს. ასეთ დროს ნამზეური თანაბარი იქნება.

თუ მზის სხივებისადმი მგრძნობიარე ხართ, შეგიძლიათ შეიძინოთ უკანასკნელი გამოგონება — თავისებური სტილისბიკინი, რომელიც ერთი ტონის ქსოვილისგან არის დამზადებული და მუქი ლაქებით იფარება, თუ მეტისმეტად ბევრ დროს გაატარებთ სანაპიროზე.





საცურაოდ უმჯობესია დაფარული მთლიანი კოსტიუმი. ის მოხერხებულად ზის სხეულზე. ყოველი გაცურვის შემდეგ სამოსი აუცილებლად გაავლეთ ჩვეულებრივ წყალში. წინააღმდეგ შემთხვევაში ქსოვილი დაკარგავს დრეკადობას და ფერს.

სიცხეში ჩაიცვით ნატურალური — ბამბის ან აბრეშუმის — ქსოვილის ტანსაცმელი. უპირატესობა მიანიჭეთ ღია ფერებს, რადგან მუქი ფერები მზეს იზიდავს, ამიტომ თუკი შავი ფერის სამოსს ჩაიცვამთ, კიდევ უფრო დაგცხებათ. ყველაზე კომფორტულად ზაფხულში თავს ჭრელ სარაფანსა და მაქსიმალურად ღია სანდლებში იგრძნობთ.

რაც შეეხება ფეხსაცმელს, თქვენმა ფეხებმა რომ ისუნთქონ, ღია ფეხსაცმელი უნდა შეარჩიოთ. თუკი ზღვაზე მიდიხართ და ფეხზე ჩასაცმელს არჩევთ, არ დაივიწყოთ, რეზინის ქოშებიდან შეიძლება ფეხი ამოგისრიალდეთ, ამიტომ მაქსიმალური სიფრთხილე გამოიჩინეთ. პლასტმასისა და ლითონის დეტალები კანს აღიზიანებს, ამიტომ ფეხსაცმელს ასეთი დეტალები არ უნდა ჰქონდეს. მართალია, სპორტული ფეხსაცმელი საკმაოდ მოხერხებულია, მაგრამ ზაფხულის ცხელ სეზონზე მისი გამოყენება რეკომენდებული არ არის.

რაც შეეხება საზაფხულო მოდას, წელს მოდაშია ყველაზე კაშკაშა და ნათელი ფერებით დამშვენებული კოსტიუმები. მთავარია ისინი ერთმანეთს ეგმოვნებით შეუხამოთ და პლაჟზე თქვენ მაქსიმალური ყურადღების ცენტრში იქნებით.

**თიკო ნინიაშვილი**

## სასარგებლო რჩევები

# თუ პარაზიტი სოკოები გვიტევენ

ზაფხულის დადგომისთვანავე ადამიანები საცურაო აუზებსა და ზღვას მიაშურებენ ხოლმე. ის კი არ იციან, რომ ამ დროს კანის დაავადება სოუკო ყველაზე მეტად აქტიურდება და ამ დაავადების შესაძენად საკმარისია იატაკზე ან ქვიშის პლაჟზე ფეხშიშველმა გაიაროთ.

ეს მავნე მიკროორგანიზმები აქტუალურია მათთვის, ვისაც ქრონიკული ადავადებები და ვქედა კიდურებში სისხლის მიწოდებასთან დაკავშირებით პრობლემები აქვს. თუკი სრულიად ჯანმრთელი ბრძანდებით და თქვენი იმუნიტეტი საგრძნობლად მაღალია, ამ დაავადებისგან დაცული მაინც არ ხართ.

დაიმახსოვრეთ, სოკოს დაავადების თავიდან აცილება საკმაოდ ადვილია, მისგან განკურნება კი — ძნელი. სამწუხაროდ, პარაზიტი სოკო ძალიან ებვრია, მისი 500 სახეობა არსებობს. ზოგიეკრთი მათგანი მხოლოდ კანის ზედაპირის დაავადებას არ ჯერდება და ხშირად კუნთებში, ძვლებში, ფილტვებსა და შინაგან ორგანოებშიც აღწევს. თუკი ადამიანი მაქსიმალურად ყურადღებით იქნება, ამ დაავადების ასე გართულებას თავიდან აუცილებლად აიცილებს.



სოკოს საყვარელი ადგილები ფეხისგულები, ფეხის ფრჩხილები, თითებშუა არეალი, საზარდულის ნაკეცი და მკერდის ქვეშ კანის ნაკეცია. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მსუქანი ქალებშია აქტუალური. მართალია სოკოს ადამიანის სიკვდილის გამოწვევა არ შეუძლია, მაგრამ დიდი უსიამოვნებები კი ნამდვილად შეუძლია გამოიწვიოს. სოკოთი დაავადების შემდეგ ფრჩხილების ფშვნა და გამკრთალება იწყება. ქუსლების დასკდომა და თითებსშუა ქავილი სოკოთი დაავადების ერთ-ერთი უტყუარი ნიშანია. თუკი პროცესი ანთებითში გადავიდა, მაშინ კანზე ბუშტუკები ჩნდება და სკდება. ეს პროცესი კი საკმაოდ მტკივნეულია.

თუკი სოკოს ინფექცია აღმოგაჩნდათ, არავითარ ეშმთხვევაში არ დაიწყოთ თვითმკურნალობა. აუცილებელია კანის ექიმს მიმართოთ. სპეციალისტი მკურნალობის სწორ კურსს დაგინიშნავთ და ყოველგვარ გართულებას თავიდან აიცილებთ. თუკი სოკო თვქენს კანზე მაქსიმუმ ერთი წელია ადბინავდა, შესაძლებელია თქვენი განკურნება სოკოსსაწინააღმდეგო გარეგანმა საშუალებებმა — ჟელემ, მალამომ — ეფექტი მოგცეთ, მაგრამ თუ უკვე დიდი ხანია სოკო გაქვთ, მაშინ ექიმი უკვე შინაგანი დანიშნულების პრეპარატებს შეგირჩევთ.

არ დაგავიწყდეთ, სოკოს მკურნალობა ხანგრძლივია, ამიტომ მაქსიმალური მოთმინება გმართებთ. შესაძლოა მკურნალობა რამდენიმე თვესაც კი გაგრძელდეს, როცა სოკო უკვე თქვენს კანზე საფუძვლიანად არის მოდებული.

იმისათვის, რომ სოკოთი დაავადება თაივდან აიცილოთ, გთავაზობთ რამდენიმე პრაქტიკულ რჩევას:

1. წყლის ყოველი პროცედურის შემდეგ იღლიებში, საზარდულსა და თითებს შორის კარგად გაიმშრალეთ კანი. პირსახოცთვან ერთად ამ ადგილების გასაშრობად შეგიძლიათ თმის ფენიც გამოიყენოთ.

2. დასასვენებლად გამგზავრებისას აუცილებელია თან წაიღოთვ საშინაო ჩუსტები. არ იაროთ ფეხშიშველმა სასტუმროს ნომერში. არც სააბაზანოში შეხვიდეთ ჩუსტების გარეშე. იგივეს გირჩევთ სახლში ყოფნის დროსაც — ქთვენი აბაზანის ხალიჩა რაც შეიძლება ხშირად გარეცხეთ, რომ მასში თვალით უხილავმა მიკრობებმა ბინა არ დაიდონ.

3. ზღვაში ან აუზში ბყანაობის შემდეგ ფუხისგულებზე, ქუსლებზე, თითებსშუა და ფრჩხილებზე არ დაგავიწდეთ ანტისეპტიკური კრემის წასმა.

4. არ იაროთ სილაში ფეხშიშველმა, რადგან ეს უსაფრთხო ნამდვილად არ არის. არასოდეს დაწვეთ გასარუჯად სილაში, არც პირსახოცი დაიფინოთ ქვეშ, რადგან სილაში უამრავი თვალით უხილავი მიკრობია, ასევე მრავლად არის სოკოთი დასნებოვნებული კანის კერცლი და ფრჩხილის ნამტვრევი. უმჯობესია პლაჟზე დახურული ფეხსაცმლით იაროთ.

5. აუცილებელია პერიოდულად ფეხსაცმელს დეზინფექცია გაუკეთოთ. 100 პროცენტიან ეფექტს მიიღებთ, თუკი მის შიდა მხარეს ფორმალინის ხსნარით გაწმინდავთ. ჩადეთ ფეხსაცმელი პოლიეთილენის პარკში და მხოლოდ ამის შემდეგ გაანიავეთ, ასე ფეხსაცმელში სუნი გაქრება.

6 ზაფხულში არ იაროთ ვიწრო და მოუხერხებელი ფეხსაცმლით. არ არის სასურველი რეზინის ფეხსაცმელებიც. ფეხის ჭარბი ოფლიანობის დროს სასურველია ტალკი ან სპეციალური დეზოდორანტი აგმოიყენოთ.

7. ფეხსაცმლის ჩაცმამდე ფეხები სოკოს საწინააღმდეგო სითხით ან კრემით დაიმუშავეთ, ფეხსაცმელში კი სოკოს საწინააღმდეგო ფხვნილი ჩაყარეთ.

**თიკო ნინიაშვილი**

# აშშ-ის წარმომადგენელთა პალატამ სახელმწიფო ვალის კანონპროექტის განხილვა გადადო

აშშ-ის წარმომადგენელთა პალატამ რესპუბლიკელთა უმრავლესობაში არსებული უთანხმოების გამო აშშ-ის სახელმწიფო ვალის მაქსიმალური ოდენობის გაზრდის კანონის კენჭისყრისაგან თავი შეიკავა.

კანონპროექტი, რომელიც წარმომადგენელთა პალატის სპიკერმა ჯონ ბეინერმა წარადგინა, ვალის მაქსიმალური ოდენობის მხოლოდ რამდენიმე თვით გაზრდასა და პარალელურად ფედერალური ხარჯების მნიშვნელოვან შემცირებას ითვალისწინებდა.



მის გეგმას მხარი დაუჭირეს ბარაქ ობამას ადმინისტრაციამ და სენატის დემოკრატიულმა უმრავლესობამ. აღსანიშნავია, რომ მრავალმა რესპუბლიკელმა კონგრესმენმა ბაინერის გეგმა არასაკმარისად რადიკალურად მიიჩნიეს.

იმ შემთხვევაში, თუკი კონგრესმა აღნიშნული კანონი 2 აგვისტომდე არ მიიღო, აშშ-ს დეფოლტი ელოდება, მთავრობა ვერ შეძლებს თავისი ვალდებულებების შესრულებას, მათ შორის უკვე არსებული ვალების მომსახურების თვალსაზრისით.

აშშ-ის ფინანსთა სამინისტრომ უკვე განაცხადა, რომ აშშ-ის მთავრობა ვერ შეძლებს ხარჯების დაფარვას, თუკი სამშაბათამდე ვალების მაქსიმუმი, რომელიც ამჟამად 14.3 ტრილიონ დოლარს აღწევს, არ გაიზრდება.

მსოფლიო სავალუტო ფონდის წარმომადგენლებმა, თავის მხრივ, განაცხადეს, რომ იმ შემთხვევაში, თუკი ვალის მაქსიმუმი არ გაიზრდება, არსებული ვითარება მსოფლიოში დოლარის მდგომარეობაზე მოახდენს ზეგავლენას.

ერთ-ერთ ასეთ შედეგად შეიძლება იქცეს დოლარის, როგორც სარეზერვო ვალუტის პოზიციების შესუსტება.

ბეინერის კანონპროექტი 10 წლის განმავლობაში ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტის 900 მილიარდი დოლარით შემცირებას ითვალისწინებს.

პრეზიდენტი ბარაქ ობამა სხვა გეგმას უჭერს მხარს, რომლის ავტორიც სენატში დემოკრატების ლიდერი გარი რიდი გახლავთ. ეს გეგმა სახელმწიფო ვალის 2.7 ტრილიონ დოლარამდე გაზრდას და დეფიციტის 2.2 ტრილიონ დოლარით შემცირებას ითვალისწინებს.

ექსპერტების ვარაუდით, წარმომადგენელთა პალატა ამ გეგმას მისი ამჟამინდელი სახით არ დაამტკიცებს.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში აშშ-ის კონგრესმა სახელმწიფო ვალის ლიმიტი ასამდე მაინც გაზრდა და ამას დისკუსიები არ გამოუწვევია. 2011 წელს კონგრესში არჩეულმა რესპუბლიკელმა კონგრესმენებმა დემოკრატ პრეზიდენტ ბარაქ ობამას სანაცვლოდ სოციალური პოლიტიკის შეცვლა, კერძოდ, ფედერალური ხარჯების მნიშვნელოვანი შემცირება და ჯანდაცვის რეფორმის შეჩერება მოსთხოვეს.

**გაზეთმა „ახალმა თაობამ“ შეიცვალა მისამართი. განცხადებები მიიღება ორშაბათს, 1 აგვისტოს, 13 საათიდან. მისამართი: ჩუბინაშვილის (ყოფილი ორჯონიკი ის ქუჩა №59, მე-3 სართული.**

## სამგლოვიარო განცხადებები

### გიგა გამცემლიძის მოგონება

გიგა, ჩვენო თანშეზრდილო ბიძაშვილო, ჩვენო ძმაო! 30 ივლისს 25 წლის გახდებოდი, მაგრამ 5 წელია, სასუფეველში დაიდე ბინა და შენს დაბადების დღეს უშენოდ ვხვდებით.

ბედმა თუ განგებამ სულ ახალგაზრდას დაგატოვებინა საქართველო. შორეულ საბერძნეთში მყოფს უდიდესი სურვილი გქონდა, 20 წლის იუბილე სამშობლოში გადაგეხადა საყვარელ ადამიანებთან ერთად, მაგრამ ტრაგიკულმა შემთხვევამ ყველაფერი უკუღმა დაატრიალა. მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა შენი ტრაგიკული აღსასრული, რომელმაც სულით ხორცამდე შეძრა ჩვენი სანათესაო.

შენი ცხედარი საბერძნეთიდან ჩამოვასვენეთ და კრძალვით მივაბარეთ შენთვის საყვარელ მონატრებულ მაქათუბნის მიწას.

20 წლის იუბილეზე შენი სული უკვე ორმოცი დღის წარმდგარი იყო უფლის წინაშე.

შენი მშობლები და საყვარელი დაიკო მერი საქართველოში დაბრუნდნენ. მერიმ მშვენიერი ქართული ოჯახი შექმნა, თავის შვილს შენი სახელი დაარქვა. პატარა გიგა გურგენაშვილი, სისხლი შენი და ხორცი შენი, სხვებთან ერთად არის გარანტი შენი სახელის უკვდავყოფისა და არდავიწყებისა.

მართალთა თანა განისვენოს სულმა შენმა.

*მარეხ და უჩა გამცემლი ეები ოჯახებით*

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო ღრმა მწუხარებას უცხადებს ამავე სამინისტროს განათლების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსს, ქალბატონ მანანა ქვაჩახიას დედის

**მერი შარანგია-ქვაჩახიას**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# დედამიწის მეზობლად ტროას ასტეროიდი აღმოაჩინეს

ასტრონომებმა დედამიწის მახლობლად აღმოაჩინეს ასტეროიდი, რომელიც მზის გარშემო დედამიწის ანალოგიურ, სტაბილურ ორბიტაზე ბრუნავს.




ასტეროიდის ზომები 300-400 მეტრია. იგი დედამიწას რაიმე საფრთხეს არ უქმნის.

მისი ორბიტის სტაბილურობა ნიშნავს, რომ იგი ე.წ. „ტროას ასტეროიდების“ რიცხვს განეკუთვნება. დღემდე ასეთი ასტეროიდები აღმოჩენილია იუპიტერის, ნეპტუნისა და მარსის მახლობლად.

ასტეროიდს სახელად „2010 თიქეი7“ უწოდეს. იგი ტელესკოპ „ვაიზ ნასას“ საშუალებით აღმოაჩინეს. შესაბამისი სტატია ჟურნალ „ნეიჩაში“ გამოქვეყნდა.

ტროას ასტეროიდების სტაბილურობა და პლანეტებთან მათი სიახლოვე სამომავლოდ ასტრონავტების გადასასხდომ ბაზებად მათი გადაქცევის მიზეზი შეიძლება გახდეს.

ამ თვალსაზრისით დედამიწის მახლობლად აღმოჩენილი ასტეროიდი იდეალური არ არის, რადგან დედამიწისაგან საკმაოდ შორს მდებარეობს და იქამდე მისაფრენად დიდი რაოდენობით საწვავი იქნება საჭირო.

მიუხედავად ამისა, თავად მისი აღმოჩენა მიანიშნებს, რომ დედამიწის მახლობლად ტროას სხვა ასტეროიდებიც შეიძლება არსებობდეს.

ტროას ასტეროიდების აღმოჩენა ძალიან რთულია, რადგან ისინი ცის ყველაზე განათებულ ადგილას მდებარეობენ.

სწორედ ამიტომ 2010 თიქეი ტელესკოპის საშუალებით აღმოაჩინეს, რომელიც კოსმოსურ სივრცეს ელექტრომაგნიტური გამოსხივების სპექტრის ინფრაწითელ უბანში სწავლობდა.

ტელესკოპი ვაიზ ნასა კოსმოსში 2009 წელს გაუშვეს და მას შემდეგ მან დედამიწის მახლობლად 500-მდე ობიექტი გამოიკვლია, მათგან 123-ის არსებობის შესახებ არაფერი იყო ცნობილი.

ახლად აღმოჩენილ ტროას ასტეროიდს საკმაოდ რთული ორბიტა აქვს. ამჟამად იგი დედამიწიდან 89 მილიონი კილომეტრის მოშორებით მდებარეობს. დედამიწას იგი 25 მილიონ კილომეტრზე მეტად არ უახლოვდება.

ასტრონომების ვარაუდით, ასტეროიდის ორბიტა მომავალი 10 ათასი წლის განმავლობაში სტაბილური იქნება.

როგორც უკვე ითქვა, ნეპტუნის, იუპიტერისა და მარსის მახლობლად მრავალი მსგავსი ობიექტია აღმოჩენილი. ისინი ე.წ. ლაგრანჟის წერტილებში მდებარეობს. ორი მასიური სხეულისაგან შემდგარ სისტემაში ლაგრანჟის წერტილებს უწოდებენ არეს, სადაც უმნიშვნელო მასის მქონე მესამე სხეული, რომელზეც ამ ორი მასიური სხეულის გრავიტაციის გარდა სხვა არაფერი მოქმედებს, განუსაზღვრელად დიდხანს შეიძლება დარჩეს.

იუპიტერის მახლობლად ათასობით მსგავსი ასტეროიდია აღმოჩენილი.

ტროას ასტეროიდების აღმოჩენა დედამიწიდან ძალიან ძნელია, რადგან ისინი ცაზე მზესთან ძალიან ახლოს არის. სამაგიეროდ მათი აღმოჩენა ადვილია კოსმოსიდან და ამის გამო მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ახლო მომავალში სხვა ტროას ასტეროიდების აღმოჩენასაც შეძლებენ.

# უკრაინის მაღაროში მომხდარმა აფეთქებამ 16 ადამიანი იმსხვერპლა

უკრაინაში, ლუგანსკის ოლქში, სუხოდოლსკაია ვასტოჩნაიას მაღაროზე მომხდარი აფეთქების შედეგად 16 მაღაროელი დაიღუპა. სამი მაღაროელი დამწვრობითა და სხვადასხვა ტრავმით საავადმყოფოში მოათავსეს.

უკრაინის საგანგებო ვითარებათა სამინისტროს ინფორმაციით, აფეთქება ადრე დილით 915 მ-ის სიღრმეზე მოხდა. ავარიულ უბანზე სულ 28 მაღაროელი მუშაობდა.

სამაშველო სამუშაოებში უკრაინის გასამხედროებული სამთო-სამაშველო სამსახურის განყოფილებაა ჩართული.

სამაშველო სამუშაოებს უკრაინის ენერგეტიკის მინისტრი იური ბოიკო ხელმძღვანელობს. ავარიის ადგილს პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩიც უნდა სწვეოდა.

მაღარო, სადაც აფეთქება მოხდა, სამრეწველო ჯგუფ „მეტინვესტს“ ეკუთვნის. ჯგუფის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ დაღუპულების ოჯახებს მილიონ გრივნა (125 ათასი დოლარი) კომპენსაციას გადაუხდიან.

უკრაინის მაღაროებში აფეთქებები საკმაოდ ხშირად ხდება. უმეტეს შემთხვევაში ავარიის მიზეზი ქანების ჩამონგრევა ან მეთანის მოულოდნელი გამოფრქვევაა.

უკანასკნელად მსხვილი ავარია ლუგანსკის ოლქის ქალაქ კრასნი ლუჩის მაღაროში მოხდა 2009 წლის თებერვალში. შედეგად ოთხი ადამიანი დაიღუპა.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ავარია, რომელმაც მნიშვნელოვანი მსხვერპლი გამოიწვია, უკრაინაში, დონეცკის ოლქში, ზასიადკოს მაღაროში მოხდა. მაშინ მეთანისა და ჰაერის ნარევის აფეთქების შედეგად 100-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

1999-დან 2007 წლამდე ამ მაღაროში 180-ზე მეტი მაღაროელი დაიღუპა. უკრაინული მაღაროები მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო მაღაროებად ითვლება.

ნაწილობრივ ავარიები ქვანახშირის მოპოვების რთულ გეოლოგიურ პირობებთან არის დაკავშირებული, ნაწილობრივ კი — მაღაროების სიძველით. 1990-იან წლებში მაღაროების მესამედი დახურეს, რადგან ისინი 100 წლის განმავლობაში იყო ექსპლუატაციაში.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

## ქალი და მამაკაცი

ტესტი



***1. თუ შესაძლებლობა გეძლევათ, გიყვართ საზოგადოებაში პირველი როლების თამაში?***
ა) დიახ (10); ბ) არა (0); გ) არ ვიცი (5).

***2. სადავო სიტუაციაში ახლობელი ადამიანის დახმარებას ელით?***
ა) დიახ (0); ბ) არა (10); გ) არ ვიცი (5).

***3. ნებისმიერ საკითხში ადვილად იღებთ გადაწყვეტილებას?***
ა) დიახ (10); ბ) არა (0); გ) არ ვიცი (5).

***4. შეგიძლიათ საკუთარი ავტორიტეტის დაცვა?***
ა) დიახ (10); ბ) არა (0); გ) არ ვიცი (5).

***5. თანაგრძნობის გამოწვევა თქვენში ძალიან ადვილია?***
ა) დიახ (0); ბ) არა (10); გ) არ ვიცი (5).

***6. ზრუნავთ საკუთარ გარეგნობაზე და ეს სიამოვნებას განიჭებთ?***
ა) დიახ (0); ბ) არა (10); გ) არ ვიცი (5).

***7. ცდილობთ შეეგუოთ გარემოებებს და იმპულსურად არ იმოქმედოთ?***
ა) დიახ (10); ბ) არა (0); გ) არ ვიცი (5).

***8. ხანდახან ეპრანჭებით საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებს?***
ა) დიახ (0); ბ) არა (10); გ) არ ვიცი (5).

***9. დამოუკიდებელი ხასიათით გამოირჩევით?***
ა) დიახ (10); ბ) არა (0); გ) არ ვიცი (5).

***10. სარკეს ყოველთვის თან ატარებთ?***
ა) დიახ (0); ბ) არა (10); გ) არ ვიცი (5).

***11. წყენა დიდხანს გახსოვთ და ყოველთვის სამაგიეროს უხდით?***
ა) დიახ (10); ბ) არა (0); გ) არ ვიცი (5).

***12. ვერ ინარჩუნებთ გულგრილობას ყველა სიტუაციაში?***
ა) დიახ (0); ბ) არა (10); გ) არ ვიცი (5).

**პასუხები**

**0-40 ქულა:** თქვენ ნამდვილი ქალი ხართ, რაც დღეისათვის მეტად იშვიათ მოვლენას წარმოადგენს. თუ გიყვართ შინ ტრიალი, ბავშვების აღზრდა და იმავდროულად ქალიც ბრძანდებით, მაშინ ნებისმიერი მამაკაცის განხორციელებული ოცნება ყოფილხართ.

**45-80 ქულა:** გარემოებების მიხედვით ხან მამაკაცურ თვისებებს ავლენთ, ხან — ქალურს. ერთმანეთს უხამებთ ხასიათის სირბილესა და სიმტკიცეს, კეთილგონიერებასა და ემოციურობას.

**85-120 ქულა:** ნამდვილი მამაკაცური ფსიქიკის პატრონი ბრძანდებით და თქვენი დამახასიათებელი თვისებებით — გაბედულობა, დამოუკიდებლობა — შეგიძლიათ გახდეთ ნებისმიერი სხვა ადამიანის საყრდენი და იცით, რატომ მოხვედით ამ ქვეყანაზე.

**გ. თ.**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. „კლდის ვეფხვად“ წოდებული ქართველი ალპინისტი; 2. ხმელთაშუა და მეწამული ზღვების დამაკავშირებელი ხელოვნური არხი; 3. მაიმუნის ძველი ქართული სახელწოდება; 4. უბანი თბილისში; 7. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 9. ქართველი კარიკატურისტი მხატვარი; 12. ნიშან-თვისებათა ერთობლიობა, რაიმეს შეფასების ან კლასიფიკაციისთვის; 14. პოპულარული ტყე-პარკი პარიზში; 15. მამლების ჩხუბი; 17. საზეიმო ხასიათის დიდი, ვოკალურ-ინსტრუმენტული მუსიკალური ნაწარმოები; 20. მაღალმთიანი სოფელი ახმეტის რაიონში.

**თარაზულად:** 5. ტემპერატურის შკალის გამომგონებელი შვედი ასტროფიზიკოსი; 6. ძვირფასი სარეწაო თევზი; 8. უმცროსი მეთაური, კაპიტნის თანაშემწე გემზე; 10. უბანი სოხუმში; 11. ირანსა და შუა აზიაში გავრცელებული გარეული ვირი; 13. ისტორიული ტყე-პარკი ვენაში; 16. ბატონის მიერ ეკლესიისთვის გადაცემული ყმა-გლეხი ფეოდალურ საქართველოში; 18. ბეჭედში ან ბროშში ჩასმული ორნამენტიანი თლილი ქვა; 19. საბერძნეთის მეორე სახელწოდება; 21. უზადო, უბიწო, უმწიკვლო; 22. წითელი, წვნიანი მარცვლების მქონე მაგარმერქნიანი ხილი; 23. ბუდიზმის ფუძემდებელი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მუტაცია; 2. ტაბა; 3. ბარბი; 4. ცვაიგი; 6. „ქრისტინე“; 9. ნოქარი; 13. მუხიანი; 14. შევროლე; 15. პალაცო; 17. „მედეა“; 18. შხარა; 20. რომი.

**თარაზულად:** 1. მეტეორი; 5. ქორქი; 7. ხარკოვი; 8. ტიბაანი; 10. მერია; 11. ბროლი; 12. ქოქოსი; 16. მერანო; 17. მუაში; 19. ხოკუ; 21. დაცანი; 22. ვეზირი; 23. როსინი; 24. „სეზარი“.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მოწამეთა; 2. ნარმა; 3. საბატერო; 4. ვინიცა; 7. ჩხუტი; 9. ფრაჟე; 12. ონომასტიკა; 14. ანკესი; 15. აგევზია; 17. „პატრული“; 20. ხომლი.

**თარაზულად:** 5. დოლომანი; 6. შლაგერი; 8. ზამბახი; 10. ესტაფეტა; 11. მთვარე; 13. „ობოლონი“; 16. სერფინგი; 18. კაკაო; 19. ლექსი; 21. ბონსაი; 22. „ნიუკასლი“; 23. პოპლიკა.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**30 ივლისი**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1,6688 | ევრო — 2,3929 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6721 | რუსული რუბლი — 0,0598 |

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 34-36, ღამით — 22-24

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 35-37, ღამით — 23-25

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 31-33, ღამით — 1§-21

## ამინდის პროგნოზი 30 ივლისისთვის




# ორშაბათიდან ორშაბათამდე!

ჟურნალი

ფასი: 69 თეთრი

## გუმბათი




ნუგზარ ერგემლიძე:
**„ჩემს ცხოვრებაში ბედისწერული ბევრი რამეა"**

ლელა მებურიშვილი:
**„ყველაზე გემრიელი ხაჭაპური ნიუ იორკში ვჭამე"**

**ზაალ სულაკაური ფულს არავის ასესხებს**



# 27 ივლისიდან

## ჟურნალ „სარკესთან"

## ერთად გამოვა

# „ქართული მწერლობის საუნჯის"

## მე-2 ტომი



## ასტროპროგნოზი

ყველამ გაითვალისწინეთ!

**30 ივლისი — ეს დღე მშვიდად გაატარეთ.**

**ვერძი** — პოზიტიური დღეა, ყველა საქმე გამოგდით. **კურო** — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, სხვები მოიცდიან. **ტყუპები** — წარმატებული დღეა, საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. **კირჩხიბი** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **ლომი** — პოზიტიური დღეა, დიდი გამარჯვება გელით. **ქალწული** — რისკი არ არის გამართლებული, დაისვენეთ მყუდრო სიტუაციაში. **სასწორი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **ღრიანკალი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **მშვილდოსანი** — არ აჩქარდეთ, საქმე მშვიდად აკეთეთ. **თხის რქა** — დაისვენეთ და გაერთეთ, დღეს ნუ გადაიტვირთებით. **მერწყული** — მშვენიერი დღეა, საღამო რომანტიკული შეხვედრით დასრულდება. **თევზები** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარი აზრი შეინარჩუნეთ.

**31 ივლისი — აქტიური ქმედების დღეა**

**ვერძი** — პოზიტიური დღეა, თამამად იმოქმედეთ. **კურო** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **ტყუპები** — არ აყვეთ პროვოკაციას, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად იცით. **ლომი** — ახალი წამოწყება გაამართლებს, იაქტიურეთ. **ქალწული** — ეს დღე მშვიდად გაატარეთ, მოერიდეთ რთულ სიტუაციას. **სასწორი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **ღრიანკალი** — საყიდლებზე წასვლა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ, საღამო მშვენიერი იქნება. **მშვილდოსანი** — ზედმეტად ნუ იაქტიურებთ, მაინც არაფერი გამოვა. **თხის რქა** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **მერწყული** — წარმატებული დღეა, თამამად იმოქმედეთ. **თევზები** — გზიდან ვიღაც ჩამოდის, მას თქვენთვის რაღაც ჩამოაქვს.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

# რუმენიგე და „ბაიერნი" ფიფას წინააღმდეგ



ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერს კარგ მომავალს არ უწინასწარმეტყველებენ. მსოფლიო ფეხბურთის შეფიც ახლა ხავსს ებღაუჭება და ცდილობს, წყლიდან მშრალად გამოვიდეს. ერთია, მას უკვე სერიოზული ძალა დაუპირისპირდა — კარლს ჰაინც რუმენიგე, მიუნხენის „ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტი.

— პირადად მე და ჩემი კოლეგები დიდხანს ველარ მოვითმენთ იმას, რომ ფეხბურთს მართავენ ადამიანები, რომლებიც სერიოზულად და სუფთად არ მუშაობენ.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ლითონის ფულის ერთ-ერთი მხარე; 2. ხორვატიის კუნძული ადრიატიკის ზღვაში, პოპულარული საკურორტო ზონა; 3. დაბალი ხარისხის ალმასი; 4. ჯეიმს ბონდის როლის შემსრულებელი ბრიტანელი მსახიობი მამაკაცი; 6. ბაქტერიების შთამნთქმელი უჯრედი ცოცხალ ორგანიზმში; 9. ბაყაყის ძველი ქართული სახელწოდება; 13. ბასრწვერიანი ძველებური ქართული საბრძოლო იარაღი; 14. ქართული ავიაკომპანია; 15. დოლი გრძელ დისტანციაზე საქართველოში; 17. რძის პროდუქტების მწარმოებელი ფინური ფირმა; 18. მოცარული დარტყმა ბილიარდში; 20. აბრეშუმის ჭია.

**თარაზულად:** 1. მოკლემეტრაჟიანი ქართული კინოკომედია; 5. მემკვიდრეობითი, საგვარეულო ტიტული დასავლეთ ევროპაში; 7. ცხოველთა სადგომი ზოოპარკში; 8. ჰაერის, აირის გაუხშოებული მდგომარეობა ჭურჭელში, სიცარიელე; 10. ტროპიკული ხილი; 11. საკონდიტრო ნაწარმი; 12. ჩვილი ბავშვის საწოლი; 16. ზღვის ყაჩაღი, მეკობრე; 17. ბრიტანული არაყი; 19. ფერადი თანდაყოლილი გამონაზარდი კანზე; 21. თანამედროვე ქართველი მოქანდაკე; 22. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 23. მთიანეთი შუა აზიაში; 24. ადგილი მაყურებელთა დარბაზში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



ლურჯი წითელი ყვითელი შავი